# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№198 (12574) 25 აგვისტო ორშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი




## შევჩენკო მაინც მილანში!

### არიგო საკი: ეს უკვე ნამდვილი სიგიჟეა

როგორც იქნა, „მილანმა“ „ჩელსის“ **ანდრეი შევჩენკო** გამოსტაცა. ბოლო დღეებში მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. ხუთშაბათს ტრანსფერი თითქმის მოგვარებული იყო და პარასკევს შევას უკვე „მილანელოში“ ელოდნენ. მაგრამ მეორე დღეს გაირკვა, რომ კლუბები გარიგების ფორმაზე ვერ შეთანხმდნენ და გარიგება ჩაშლილად გამოცხადდა. „მილანს“ იჯარის ვარიანტი აწყობდა, „ჩელსის“ კი ფეხბურთელის გაყიდვა. მაშინვე თამაშში „რომა“ ჩაერთო. გავრცელდა ცნობა, რომ ლონდონელთა პირობებზე „ჯალოროსი“ დათანხმდებოდა.

„რომას“ ხსენება იყო და, „მილანი“ გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა. საქმეს თავად **სილვიო ბერლუსკონიმ** მოჰკიდა ხელი. ის რამდენჯერმე პირადად **რომან აბრამოვიჩს** ესაუბრა. სწორედ ამ საუბრების შემდეგ გადაწყდა, რომ შევჩენკო „მილანში“ ბრუნდება. შაბათს ეს ინფორმაცია ორივე მხარემ დაადასტურა. გუშინვე, უკრაინელი საყვარელ ქალაქში ჩაფრინდა და სამედიცინო შემოწმება გაიარა. ხვალიდან ის უკვე **კარლო ანჩელოტის** განკარგულებაში იქნება.

მოკლედ, ყველა ბედნიერია. „მილანმა“ ფანებს საოცარი ზაფხული აჩუქა: **რონალდინიო, შევჩენკო...** როგორც **ადრიანო გალიანიმ** თქვა, „როსონერი“ მსოფლიოში ერთადერთი კლუბია, რომელშიც „ოქროს ბურთის“ სამი მფლობელი თამაშობს. გალიანიმ ესეც დაამატა:

*„ვფიქრობ, ანდრეი შეცდა, როცა „ჩელსიში“ წავიდა. მაგრამ მოდით, დღეს ამაზე აღარ ვისაუბროთ. მთავარია, ყველაფერი მოგვარდა. ლონდონელებთან ყველა საჭირო დეტალი შეთანხმებული და ხელმოწერილია. შევჩენკო „მილანში“ ვარჯიშს სამშაბათიდან შეუდგება. ჩვენ დავიბრუნეთ მოთამაშე, რომელმაც კლუბის ბოლო 50-წლიან ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. ტრანსფერში გადამწყვეტი როლი ითამაშა სილვიო ბერლუსკონიმ, რომელსაც მარტო მე დაახლოებით 50-ჯერ ვესაუბრე ტელეფონით. ამ გარიგებით შევჩენკო ფინანსურ მსხვერპლზე წავიდა და ეს უდავოდ დასაფასებელი ფაქტია. ის მიხვდა, რომ მისი სახლი აქ არის“.*

მოკლედ, „მილანმა“ შევჩენკო ერთი წლით ითხოვა. რაც შეეხება გარიგების ფინანსურ დეტალებს, მხარეები მას მკაცრად ასაიდუმლოებენ. ცნობილია, რომ ერთი წლის შემდეგ „როსონერის“ შევას გამოსყიდვის უფლება აქვს.

ყველა ბედნიერიაო, კი ვთქვით, მაგრამ აი, **არიგო საკი**, დიდი „მილანის“ ყოფილი თავკაცი, ბერლუსკონი-გალიანის სატრანსფერო პოლიტიკას სიგიჟეს უწოდებს. მრავლისმნახველი მწვრთნელი თვლის, რომ დღევანდელ „მილანს“ შევჩენკო არ სჭირდება. საკის თქმით, ანჩელოტისთვის პრიორიტეტი ცენტრალური მცველის ყიდვა იყო. ამას კარლეტო ხმამაღლაც აცხადებდა. მეჩვენება, რომ ბერლუსკონი და გალიანი მწვრთნელს გამოცდას უწყობენო, ასკვნის სინიორ არიგო.


გიორგი გელაშვილი


## მომავალ შეხვედრამდე!

# ლონდონში უკეთ, ვიდრე პეკინში

## ოლიმპიადა დასრულდა, ოლიმპიადა იწყება...

პეკინში ოლიმპიური ჩირაღდანი აღარ გიზგიზებს. მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური სპორტული ფორუმი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. სამშობლოს ბედით ტრავმირებულმა ქართულმა „დესანტმა“, საოცარი ფსიქოლოგიური მობილიზების ხარჯზე, თავისი გასაკეთებელი ოლიმპიადაზე გააკეთა - ათენის შედეგი გაუმჯობესებულია! ვინც როგორ შეძლო, ისე დაეხმარა ქვეყანას ამ უმძიმეს ვითარებაში და ჩვენს ხალხს სიხარულის ცრემლიც ბევრი აღვრევინა. ფაქტია, პოტენციალი არის, ოქროს მედლებით ბევრ სოლიდურ და განვითარებულ ქვეყანას გავუსწარით, მაგრამ ამაზე არ უნდა გავჩერდეთ და დღესვე დავსახოთ სამომავლო ორიენტირი - ლონდონში უკეთ, ვიდრე პეკინში. ცოტა დავისვენოთ, გავაანალიზოთ პეკინური მონაგარი და აქედანვე შევუდგეთ მზადებას ლონდონისთვის. მაშ ასე, ოლიმპიადა დასრულდა, ოლიმპიადა იწყება...


ბოლო პეკინური ამბები »»» 2-9




### საგოლიო

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩინეთი | 51 | 21 | 28 | 100 |
| 2. აშშ | 36 | 38 | 36 | 110 |
| 3. რუსეთი | 23 | 21 | 28 | 72 |
| 4. ბრიტანეთი | 19 | 13 | 15 | 47 |
| 5. გერმანია | 16 | 10 | 15 | 41 |
| 6. ავსტრალია | 14 | 15 | 17 | 46 |
| 7. ს. კორეა | 13 | 10 | 8 | 31 |
| 8. იაპონია | 9 | 6 | 10 | 25 |
| 9. იტალია | 8 | 10 | 10 | 28 |
| 10. საფრანგეთი | 7 | 16 | 17 | 40 |
| 11. უკრაინა | 7 | 5 | 15 | 27 |
| 12. ჰოლანდია | 7 | 5 | 4 | 16 |
| 13. იამაიკა | 6 | 3 | 2 | 11 |
| 14. ესპანეთი | 5 | 10 | 3 | 18 |
| 15. კენია | 5 | 5 | 4 | 14 |
| 16. ბელარუსი | 4 | 5 | 10 | 19 |
| 17. რუმინეთი | 4 | 1 | 3 | 8 |
| 18. ეთიოპია | 4 | 1 | 2 | 7 |
| 19. კანადა | 3 | 9 | 6 | 18 |
| 20. პოლონეთი | 3 | 6 | 1 | 10 |
| 21. უნგრეთი | 3 | 5 | 2 | 10 |
| 21. ნორვეგია | 3 | 5 | 2 | 10 |
| 23. ბრაზილია | 3 | 4 | 8 | 15 |
| 24. ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 25. სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| 26. ზელანდია | 3 | 1 | 5 | 9 |
| 27. საქართველო | 3 | 0 | 3 | 6 |
| 28. კუბა | 2 | 11 | 11 | 24 |
| 29. ყაზახეთი | 2 | 4 | 7 | 13 |
| 30. დანია | 2 | 2 | 3 | 7 |
| 31. მონღოლეთი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 31. ტაილანდი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 33. ჩრ. კორეა | 2 | 1 | 3 | 6 |
| 34. არგენტინა | 2 | 0 | 4 | 6 |
| 34. შვეიცარია | 2 | 0 | 4 | 6 |
| 36. მექსიკა | 2 | 0 | 1 | 3 |
| 37. თურქეთი | 1 | 4 | 3 | 8 |
| 38. ზიმბაბვე | 1 | 3 | 0 | 4 |
| 39. აზერბაიჯანი | 1 | 2 | 4 | 7 |
| 40. უზბეკეთი | 1 | 2 | 3 | 6 |
| 41. სლოვენია | 1 | 2 | 2 | 5 |
| 42. ბულგარეთი | 1 | 1 | 3 | 5 |
| 42. ინდონეზია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 44. ფინეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 45. ლატვია | 1 | 1 | 1 | 3 |
| 46. ბელგია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 46. დომინიკა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 46. ესტონეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 46. პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 50. ინდოეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 51. ირანი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 52. ბაჰრეინი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 52. კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 52. პანამა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 52. ტუნისი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 56. შვედეთი | 0 | 4 | 1 | 5 |
| 57. ხორვატია | 0 | 2 | 3 | 5 |
| 57. ლიტვა | 0 | 2 | 3 | 5 |
| 59. საბერძნეთი | 0 | 2 | 2 | 4 |
| 60. ტრინიდადი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 61. ნიგერია | 0 | 1 | 3 | 4 |
| 62. ავსტრია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 62. ირლანდია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 62. სერბეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 65. ალჟირი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 65. ბაჰამა | 0 | 1 | 1 | 2 |
| 65. კოლუმბია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 65. ყირგიზეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 65. მაროკო | 0 | 1 | 1 | 2 |
| 65. ტაჯიკეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 71. ჩილე | 0 | 1 | 0 | 1 |
| 71. ეკვადორი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 71. ისლანდია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 71. მალაიზია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 71. ანტილები | 0 | 1 | 0 | 1 |
| 71. სინგაპური | 0 | 1 | 0 | 1 |
| 71. ს. აფრიკა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 71. სუდანი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 71. ვიეტნამი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 80. სომხეთი | 0 | 0 | 6 | 6 |
| 81. ტაივანი | 0 | 0 | 4 | 4 |
| 82. ავღანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 82. ეგვიპტე | 0 | 0 | 1 | 1 |
| 82. ისრაელი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 82. მავრიტანია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 82. მოლდოვა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 82. ტოგო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 82. ვენესუელა | 0 | 0 | 1 | 1 |





## დროშა დაეშვა, ჩირაღდანიც ჩაქრა

## ამერიკელებმა მედროშეობა ხათუნა ქვრივიშვილს ანდეს


»»» 2






Beijing 2008

# ხათუნა ქვრივიშვილი ამერიკის ნაკრების მედროშედ

ნიკოლოზ ნეფარიძე
პეკინიდან

ამერიკის ნაკრებმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი მედალი მოიპოვა. დახურვის საზეიმო ცერემონიაზე ამ ქვეყნის გუნდის მედროშეობა მიანდეს ქართველ სპორტსმენს, რომელმაც პეკინში მედალი ვერ მოიპოვა. მშვილდოსანმა **ხათუნა ლორიგმა (ქვრივიშვილმა)** ოლიმპიადაზე მეხუთე ადგილი დაიკავა, თუმცა მედროშედ სწორედ ის აირჩიეს. ალბათ, გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ამერიკელებმა პოლიტიკური მოტივით იხელმძღვანელეს.

*„ჩემს სამშობლოში ომი იყო, თუმცა, როგორც სპორტსმენს, უფლება არ მქონდა, არ მოვმზადებულიყავი შეჯიბრებისთვის. როცა ჩემი უახლოესი ნათესავებისა და მეგობრების შესახებ კარგი ამბები შევიტყვე, მხოლოდ ამის მერე დავმშვიდდი. საქართველოს მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან კარგი ურთიერთობა აქვს. დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ბრმა არ არის და ჩემს სამშობლოს გასაჭირში აუცილებლად დაეხმარება“*, - განაცხადა ამერიკული პრესის ყურადღების ცენტრში მოხვედრილმა ხათუნა ქვრივიშვილმა.

მისთვის პეკინის ოლიმპიადა რიგით მეოთხე იყო. 1992 წელს, ბარსელონაში, მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველი მშვილდოსანი მედროშედ სხვადასხვა სახეობათა კაპიტნებმა აირჩიეს.



## გავიხედოთ საჭიდაო დარბაზებიდან...

ხშირად ასეც ხდება - ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში აკრედიტებულ ჟურნალისტად ყოფნა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოლიმპიადაზე ყველაფერს ნახავ. რომ არა ომი, ალბათ, თბილისში რიგითი გულშემატკივარი უფრო მეტ საინტერესო შეჯიბრებას ნახავდა, ვიდრე ეს ჩვენ, პეკინში აკრედიტებულმა ქართველმა ჟურნალისტებმა მოვახერხეთ. როცა 35-კაციანი დელეგაციის გამოსვლის დეტალებზე უნდა მოუყვე მკითხველს, ძალაუნებურად, თვალთახედვის მიღმა ბევრი საინტერესო რამ რჩება. ძალიან კარგი რამ არის თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, წარმატებებიც დიდი გვაქვს ამ სახეობებში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჭიდაობის დარბაზები სულაც არ არის ოლიმპიური სამყაროს ჭიპი. და მაშინ, როცა ჩვენ ამ დარბაზებს ვერ ვშორდებოდით, გარეთ ბევრი საინტერესო რამ ხდებოდა...

მოგეხსენებათ, პეკინის ოლიმპიადის მთავარი გმირი ამერიკელი მოცურავე **მაიკლ ფელპსი** იყო. 10 აგვისტოდან მოყოლებული, რვა დღის განმავლობაში, მან რვა ოქრო მოიგო. ამერიკული ტელეაუდიტორიის კარნახით, პეკინში ფინალური გაცურვები დილაობით იმართებოდა. წარმოიდგინეთ, ჩვენ რვა დილა გვქონდა ფელპსის სანახავად და უდიდესი სურვილის მიუხედავად, ეს მხოლოდ ბოლო დღეს მოვახერხეთ. **რაფაელ ნადალისა** და **ფერნანდო გონსალესის** საჩოგბურთო ფინალი მეორე სეტის დროს მივატოვეთ, რათა ძალოსან **არსენ კასაბიევის** გამოსვლისთვის მიგვესწრო... და თურმე იმიტომაც, რომ საღამოს კასაბიევს კომენტარზე უარი უკმეხად ეთქვა, თანაც რუსულად - თქვენთან საუბრის ხალისი არ მაქვსო...

თუმცა ბოლოსკენ, ქართველ სპორტსმენთა დიდი ნაწილმა დაასრულა ასპარეზობა და ჩვენც საკალათბურთო დარბაზებისთვის მოვიცალეთ, შევიარეთ ეროვნულ სტადიონზე და მძლეოსანთა შეჯიბრებებს ვუყურეთ, დავესწარით საფეხბურთო ფინალსაც... ალბათ, ჩვენი ტრიოს გაჩემპიონების შემდეგ, ყველაზე კარგად სწორედ ის გაგვახსენდება, როგორ მივაწოდეთ **ლებრონ ჯეიმსს** ტრიბუნებისკენ გადმოვარდნილი ბურთი (იქვე, მოედნის სიახლოვეს ვისხედით), რას ეჩურჩულებოდნენ ჩვენთან ახლოს მყოფი დები **უილიამსები** ერთმანეთს, როგორ შევეფეთეთ ერთხელ **როჯერ ფედერერს** სრულიად შემთხვევით და როგორ გავხდით **ლეო მესის** აღზევებისა და **რონალდინიოს** დაცემის მომსწრენი... და ის საოცარი შეგრძნებაც, რომ სადღაც, ძალიან ახლოს, **დიეგო მარადონა** ზის...



ხათუნა ლორიგი (ქვრივიშვილი)

ახლა ოლიმპიადის ორგანიზატორებზე. შეფასება ერთმნიშვნელოვანია - მიუხედავად არაერთი ნაკლისა, ჩინელებმა მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებას ჩინებულად უმასპინძლეს. არადა, ორიოდ წლის წინ, გუანჯოუში გამართული ჭიდაობის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სკეპტიკურად ვიყავით განწყობილი. რამდენიც არ უნდა დაიწეროს, რომ თითქოს ჩინეთის მთავრობამ აიძულა თავისი მოქალაქეები, აუცილებლად გაულიმონ ოლიმპიადის სტუმრებს, საკუთარი თვალით ნანახს უფრო დავუჯერებთ - მასპინძელთა „ნიჰაა“ (მისალმება ჩინურად), ღიმილი და სურვილი, ყოველ წამს რამით დაგეხმარონ (მაშინაც კი, როცა წარმოდგენა არა აქვთ, როგორ გააკეთონ ეს), აშკარად გულწრფელი იყო.

ორგანიზატორებს ყველაზე დიდ მინუსად ფასიან ინტერნეტს ვუთვლით, როგორც მთავარ პრესცენტრში, ისე სპორტულ არენებსა და მედია-სოფელში. მასპინძლებს ტაქსის მძღოლების სათანადოდ ვერმომზადებაშიც ვუსაყვედურებთ - მათ არა მარტო არ იცოდნენ ინგლისური, არამედ თავიანთი ქალაქის ცოდნასთანაც მწყრალად იყვნენ და მარტივ სიტუაციებში ხშირად იბნეოდნენ კიდეც. მაგალითისთვის: ერთხელ, აგრარული უნივერსიტეტის გიმნაზიუმში წაყვანა რომ ვთხოვეთ, ერთმა მძღოლმა ქალაქგარეთ, რომელიღაც სოფელში ჩაგვიყვანა. მისმა ერთმა კოლეგამ კი განგვიცხადა, რომ არ იცის, სად არის ეროვნული სტადიონი და გვთხოვა, ტაქსიდან ჩავსულიყავით...

ოლიმპიადის უმთავრეს გმირებს რომ დავუბრუნდეთ, აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი სტერეოტიპი ჩვენს თვალწინ დაიმსხვრა, ზოგმაც თავისი არსებობა გაამართლა. აწი აღარ დავუჯერებთ უცხოურ მედიას, რომ თითქოს **კობი ბრაიანტს** „თავში აქვს ავარდნილი“. მსგავსიც არაფერი - ბრაიანტი საკმაოდ მოკრძალებული, მხიარული და მომთმენი ადამიანი აღმოჩნდა. გახსნის ცერემონიისას მასთან ერთად ფოტოს გადაღების სურვილი უამრავმა ათლეტმა გამოთქვა, თუმცა ის უარს არავის ეუბნებოდა. მოედანზეც და მის გარეთაც ვერ შეატყობდით, რომ ბრაიანტი სუპერვარსკვლავია, იმდენად თავმდაბალია ყველასთან. **ნოვაკ ჯოკოვიჩი** კი მართლაც დიდი ხუმარა ვინმე ყოფილა. თამაშის დროს მაყურებელს გვარიანად ახალისებდა, თუმც სერბ ჩოგბურთელს გაწიწმატებაც სცოდნია - ბრინჯაოს მედლისთვის მატჩში მან ისეთი ძალით დაახეთქა ჩოგანი, რომ „მარტივ მამრავლებად“ დაშალა.

გვიან საღამოს, როცა არც ისე ცხელა, არაფერი სჯობს ოლიმპიურ პარკში სეირნობას, „ჩიტის ბუდედ“ წოდებული არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუში წითელ ფერებში ღებავს იქაურობას, გადაღმიდან კი კამკამა ცისფერი ირეკლება ხელოვნურ ტბაზე. ეს უკვე საწყლოსნო კუბის, მართლაც ულამაზესი შენობის ჩრდილია. თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული და ოლიმპიური ჩირაღდანიც აღარ გიზგიზებს: მომავალ შეხვედრამდე, წინ ლონდონი 2012 გველის!

# ოლიმპიადა სარბიელს მიღმა

თენგიზ გაჩეჩილაძე
პეკინიდან

## ოლიმპიური თაიგული

ყვავილების ქვეყანა თუ რომელიმეზე ითქმის, ჩინეთი უდავოდ მათ შორისაა. კულტად ქცეული ტრადიცია მთელი სისავსით წარმოჩნდა ოლიმპიადის დღეებში, ყოველ შემთხვევაში, მასპინძლებს საამისოდ ცდა არ დაუკლიათ. მთავარი პრესცენტრის მეორე სართულზე მათ ჩინური ყვავილების სამყაროს მოუყარეს თავი. ამ საქმის დიდოსტატები უჩვენებენ ყვავილებით ბინის გალამაზების ხელოვნებას, თქვენ თვალწინ ოლიმპიურ თემატიკაზე ქმნიან სიმბოლიკებს... ალბათ, გინახავთ, კვარცხლბეკზე ასულ სპორტსმენებს რომ გადასცემდნენ თაიგულებს. თითქოს არაფერი, მაგრამ ამ ოლიმპიური თაიგულის შექმნაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოუცხადებიათ კონკურსი. რა სახის, რა ფერის, რა სიგრძის უნდა იყოს თითოეული ყვავილი და საერთო ჯაში - თაიგულის მოცულობა, ეს ყველაფერი დადგენილია. გნებავთ ოლიმპიური თაიგული? შეგიძლიათ შეუკვეთოთ. ეს ისეთი ჯილდოა, რომლის მისაღებად აუცილებელი არ არის ოლიმპიური მედლის მოპოვება და საპატიო კვარცხლბეკზე ასვლა.

## არწივის ბუდე უნდა გერქვას შენ...

„ჩიტის ბუდე“ კი არა, მართლაც „არწივის ბუდე“ უნდა ერქვას საუკუნის საოცრებას, პეკინის ოლიმპიურ სტადიონს. ეს აზრი მას შემდეგ გაგვიჩნდა, რაც გუშინ, დახურვის ცერემონიაზე მიმავლებმა, უამრავი პაწაწინა (დიდთან შედარებით) „ჩიტის ბუდე“ შევნიშნეთ, მიწაზე მიმოფანტული იებივით. ეს „ბუდეები“ ღამით განათების ფუნქციას ასრულებენ. ჩინებული ჩანაფიქრია. აქ მართლა სულ სხვა სამყაროში გრძნობ თავს, როცა ხალხის ორომტრიალი არ არის და სივრცის აღქმის თავისუფალი საშუალება გეძლევა.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

ნომრის მორიგე რედაქტორი
დავით თავართქილაძე

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



# მძლეოსნობა

## შუბის ტყორცნა

### კაცები

1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 90.57 (ოლიმპიური ჩემპიონი); 2. აინარს კოვალსი (ლატ) - 86.64; 3. ტერო პიტკამაკი (ფინ) - 86.16; 4. ტერო იარვენპაა (ფინ) - 83.95; 5. ტეემუ ვირკალა (ფინ) - 83.46; 6. ჯეროდ ბანისტერი (ავსტრა) - 83.45.

## სიმაღლეზე ხტომა

### ქალები

1. ტია ელებო (ბელ) - 2.05; 2. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 2.05; 3. ანა ჩიჩეროვა (რუს) - 2.03; 4. ელენა სლესარენკო (რუს) - 2.01; 5. ვიტა პალამარი (უკრ) - 1.99; 6. ჩაუნტ ჰოვარდი (აშშ) - 1.99.

## 800 მ

### კაცები

1. ვილფრედ ბუნგეი (კენ) - 1:44.65; 2. ისმაილ აჰმედ ისმაილი (სუდ) - 1:44.70; 3. ალფრედ კირვა იეგო (კენ) - 1:44.82; 4. გარი რიდი (კან) - 1:44.94; 5. იუსუფ საად ქამელი (ბაჰრ) - 1:44.95; 6. იეიმერ ლოპესი (კუბ) - 1:45.88; 7. ნაბილ მადი (ალჟ) - 1:45.96; 8. ნაჯიმ მანსორი (ალჟ) - 1:47.19.

## 1500 მ

### ქალები

1. ნენსი ლანგატი (კენ) - 4:00.23; 2. ირინა ლიშჩინსკა (უკრ) - 4:01.63; 3. ნატალია ტობიასი (უკრ) - 4:01.78; 4. ლიზა დობრისკი (ბრიტ) - 4:02.10; 5. მარიამ იუსუფ ჯამალი (ბაჰრ) - 4:02.71; 6. ნატალია როდრიგესი (ესპ) - 4:03.19.

## 5000 მ

### კაცები

1. კენენისა ბეკელე (ეთი) - 12:57.82 (ოლიმპიური რეკორდი); 2. ელიუდ კიპჩოგე (კენ) - 13:02.80; 3. ედვინ სოი (კენ) - 13:06.22; 4. მოზეს კიპსირო (უგა) - 13:10.56; 5. აბრეჰამ ჩერკოსი (ეთი) - 13:16.46; 6. ტარიკუ ბეკელე (ეთი) - 13:19.06.

## 4x400 მ. ესტაფეტა

### ქალები

1. აშშ (მარი ვინებერგი, ელისონ ფელიქსი, მონიკ ჰენდერსონი, სანია რიჩარდსი) - 3:18.54; 2. რუსეთი (იულია გუშჩინა, ლუდმილა ლიტვინოვა, ტატიანა ფიროვა, ანასტასია კარაჩინსკაია) - 3:18.82; 3. იამაიკა (შერიკა უილიამსი, შერიფა ლოიდი, როზმარი უაიტი, ნოველინ უილიამსი) - 3:20.40; 4. ბელარუსი - 3:21.85; 5. ბრიტანეთი - 3:22.68; 6. კუბა - 3:23.21; 7. ნიგერია - 3:23.74; 8. გერმანია - 3:28.45.

## 4x400 მ. ესტაფეტა

### კაცები

1. აშშ (ლაშოუნ მერიტი, ანჯელო ტეილორი, დევიდ ნევილი, ჯერემი უორინერი) - 2:55.39 (ოლიმპიური რეკორდი); 2. ბაჰამის კ-ები (ანდრეტი ბეინი, მაიკლ მატიო, ანდრაე უილიამსი, კრისტოფერ ბრაუნი) - 2:58.03; 3. რუსეთი (მაქსიმ დილდინი, ვლადისლავ ფროლოვი, ანტონ კოკორინი, დენის ალექსეევი) - 2:58.06; 4. ბრიტანეთი - 2:58.81; 5. ბელგია - 2:59.37; 6. ავსტრალია - 3:00.02; 7. პოლონეთი - 3:00.32; 8. იამაიკა - 3:01.45.

## მარათონი

### კაცები

1. სამუელ ვანსირუ (კენ) - 2:06:32 (ოლიმპიური რეკორდი); 2. ჯაუად გარიბი (მარ) - 2:07:16; 3. ცეგაი კებედე (ეთი) - 2:10:00; 4. დერიბა მერგა (ეთი) - 2:10:21; 5. მარტინ ლელი (კენ) - 2:10:24; 6. ვიქტორ როტლინი (შვეიც) - 2:10:35.

# ბეისბოლი

### მე-3 ადგილისთვის

აშშ-იაპონია 8:4

### ფინალი

კუბა-კორეა 2:3

# წყალში ხტომა

## კაცები. 10 მ

1. მეტიუ მიტჩემი (ავსტრა) - 537.95; 2. ლუსინ ჟოუ (ჩინ) - 533.15; 3. გლებ გალპერინი (რუს) - 525.80; 4. ლიან ჰუო (ჩინ) - 508.40; 5. ხოსე ანტონიო გუერა ოლივა (კუბ) - 507.15; 6. მეტიუ ჰელმი (ავსტრა) - 467.70.

მძლეოსნობა

# ბლანკას ტრაგედია


ტია ელებო

კაცების მარათონით დასრულდა მძლეოსნობის პროგრამა, სადაც ცხრა დღის განმავლობაში მედლების 47 კომპლექტი გათამაშდა. როგორც მოსალოდნელი იყო, სპორტის ამ სახეობაში პირველი ადგილი აშშ-ის მძლეოსნებმა გაინაღდეს, მაგრამ ამჯერად მათი უპირატესობა ისეთი აშკარა არ ყოფილა, როგორც ეს წინა წლებში დიდ სპორტულ ფორუმებზე ხდებოდა ხოლმე. აშშ-ის ნაკრებმა მხოლოდ შაბათს მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა და ერთი ოქროთი გაუსწრო რუსეთის მძლეოსანთა ნაკრებს.

სპრინტერული ესტაფეტების ნახევარფინალებში დისკვალიფიკაციის შემდეგ, ამერიკელებმა შელახული პრესტიჟის აღდგენა 4x400 მეტრზე ესტაფეტებში შეძლეს. კაცებში მათ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ. პირველ ეტაპზე 400 მეტრზე პეკინის ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშოუნ მერიტი** მირბოდა, ბოლოს კი ესტაფეტის ჯოხი ათენის თამაშების ტრიუმფატორ **ჯერემი უორინერს** (პეკინში ვერცხლის მედლის მფლობელი) უნდა ჩაებარებინა. ამ შემადგენლობით ამერიკას რეკორდზეც შეეძლო ფიქრი. რეკორდი შედგა, ოღონდ ოლიმპიური, ყველა დროის საუკეთესო შედეგამდე კი ამერიკელებს წამზე ოდნავ მეტი დააკლდათ.

როცა ჯერემი უორინერი ბოლო წრეზე წავიდა, ოქროს მედლის ბედი გარკვეული იყო. ბრძოლა დანარჩენი საპრიზო ადგილებისთვის მიდიოდა. კარგა ხანს მეორე ადგილს ბელგიური კვარტეტი ინარჩუნებდა, მაგრამ ბოლოს მას ერთბაშად სამმა გუნდმა გაუსწრო. ვერცხლი და ბრინჯაო, შესაბამისად, ბაჰამის კუნძულებსა და რუსეთის ოთხეულებს ერგოთ.

უორინერმა ათენში 400 მეტრი და ესტაფეტა მოიგო, შესაბამისად, პეკინში ამ ტრიუმფის შემდეგ, ეს შესანიშნავი მძლეოსანი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

გაცილებით რთული ბრძოლა იყო ქალებს შორის ანალოგიურ დისციპლინაში. ამერიკის ნაკრებს მხოლოდ შესანიშნავი მორბენლის - **ელისონ ფელიქსისა და სანია რიჩარდსის** იმედი უნდა ჰქონოდა. დანარჩენი ორი მონაწილის, **მარი ვინებერგისა და მონიკ ჰენდერსონის** ამოცანა იყო, ძალიან არ ჩამორჩენოდნენ მეტოქეებს.

როდესაც ვინებერგმა თავისი წილი 400 მეტრი გაირბინა, ამერიკა მესამე ადგილზე იყო. შემდეგ წავიდა ფელიქსი და ლიდერის რანგში ჩააბარა ესტაფეტის ჯოხი ჰენდერსონს. აშშ ისევ ჩამორჩა და როცა ესტაფეტის ბოლო ეტაპზე სანია რიჩარდსი გაიქცა, რუსები კარგა გვარიანად უგებდნენ მთავარ კონკურენტს.

ყველაფერი დისტანციის ბოლოს გადაწყდა: რიჩარდსმა ბოლო მეტრებზე გაასწრო **კაპაჩინსკაიას** და ურთულეს ბრძოლაში მოიგო ოქრო. ამერიკამ ათენში მოპოვებული ტიტული დაიცვა, რისი წყალობითაც სანია რიჩარდსი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

■ ■ ■

თუ ესტაფეტებში ამერიკელთა ტრიუმფი კანონზომიერი იყო, ქალების სიმაღლეზე ხტომა უდიდესი სენსაციით დასრულდა. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ბოლო ორი სეზონის ლიდერი, ხორვატი **ბლანკა ვლასიჩი** დიდი უპირატესობით დაამარცხებდა მეტოქეებს და ლეგენდარული ბულგარელის **სტეფკა კოსტადინოვას** უძველეს მსოფლიო რეკორდსაც (1987 წელს 2.09 მეტრი) შეუტევდა.

ვლასიჩი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია. ბოლო ორი წლის განმავლობაში ოქროს ლიგის სერიის ცხრა ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. საერთოდაც, პეკინამდე ამ მძლეოსანს ზედიზედ 38 (!) ტურნირი ჰქონდა მოგებული (2007 წლის ივნისიდან მოყოლებული).

მაგრამ ბლანკა ცუდად მომზადებული შეხვდა სეზონის მთავარ სტარტს. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. ხორვატმა საწყისი შვიდი სიმაღლე პირველ ცდაზე აიღო და 2.03 მეტრზე შეჩერდა. ეს შედეგი კიდევ ორმა მძლეოსანმა დააფიქსირა - ბელგიელმა **ტია ელებომ** და რუსმა **ანა ჩიჩეროვამ**, ოღონდ მათ ამისთვის ორ-ორი ცდის შესრულება დასჭირდათ.

შემდეგი სიმაღლე იყო 2.05 მეტრი და სწორედ აქედან დაიწყო ვლასიჩის პრობლემები. ჩიჩეროვამ საერთოდ ვერ აილო ეს სიმაღლე, ელებომ პირველივე ცდაზე ივარგა, ვლასიჩი კი მხოლოდ მეორე ნახტომის შემდეგ გადაევლო თამასას. ლიდერი ბელგიელი გახდა და ხორვატს აუცილებლად უნდა აეღო 2.07 მეტრი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერცხლის მედლით მოუწევდა დაკმაყოფილება. ვლასიჩმა სამივე ცდა გააფუჭა, თანაც ისე ცუდად ხტებოდა, რომ სიმაღლის აღების მინიმალური შანსიც არ ჰქონია.

ასე გახდა ტია ელებო ოლიმპიური ჩემპიონი. ამ მძლეოსანს ერთი პირობა სიმაღლეზე ხტომისთვის დანებებული ჰქონდა თავი და მრავალჭიდში გამოდიოდა. მაგალითად, წელს დარბაზებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთჭიდში გაიმარჯვა, თუმცა ამის შემდეგ ძველ საქმიანობას დაუბრუნდა და არც შემცდარა.

■ ■ ■

პეკინში ოქროს მეორე მედალი მოიგო ბრწყინვალე ეთიოპიელმა სტაიერმა **კენენისა ბეკელემ**. 10 ათას მეტრზე ტრიუმფს ორჯერ ნაკლებ დისტანციაზე გამარჯვებაც დაუმატა. შეგახსენებთ, რომ ოთხი წლის წინ ათენში ბეკელეს ანგარიშზე ერთი ოქრო და ერთი ვერცხლი მოდიოდა.

ეთიოპიელმა ძალიან მაღალი ტემპი შესთავაზა კონკურენტებს და ნელნელა ჩამოიშორა ისინი. ყველაზე დიდხანს ბეკელეს ზურგსუკან კენიელები - **კიპჩოგე** და **სოი** შემორჩნენ, მაგრამ გენიალურ ეთიოპიელს ვერაფერი მოუხერხეს. კენენისას საფინიშო სპურტისთვისაც ჰქონდა ძალები შენახული და ბოლო 300 მეტრზე ისეთი ტემპით გაიქცა, რომ ფინიშამდე გულშემატკივრებისთვის ხელის დაქნევით ოლიმპიური სალამის მიძღვნაც კი მოასწრო.

პეკინში სტაიერულ დისციპლინებში ეთიოპიელთა სრული ტრიუმფი აღინიშნა. ქალებში 5 და 10-კილომეტრიანი დისტანციებიც ამ ქვეყნის წარმომადგენელმა **ტირუნეშ დიბაბამ** მოიგო.

■ ■ ■

ლეგენდარული ჩეხი შუბის მტყორცნელის **იან ჟელეზნის** შედეგებს უმიზნებს ნორვეგიელი **ანდრეას ტორკილდსენი**. შაბათს მან ათენში მოპოვებული ტიტული დაიცვა. თანაც შუბი 90.57 მეტრზე გატყორცნა და ჟელეზნის მიერ სიდნეიში (2000) დამყარებული ოლიმპიური რეკორდი დაამხო. თუ კიდევ ოთხი წელი ასეთ დონეზე იასპარეზებს, ნორვეგიელს ჩეხის მსგავსად ზედიზედ სამი ოქროს მოგების შანსი გაუჩნდება. გარდა ამისა, ტორკილდსენი ჟელეზნისთვის მსოფლიოს რეკორდის წართმევაზეც არ იტყოდა უარს.

■ ■ ■

ტრადიციულად, მძლეოსნობის ბოლო დისციპლინა კაცების მარათონი იყო. ლეგენდარული ეთიოპიელი **ჰეილე გებრსელასიეს** არყოფნაში გაიხარა ნაკლებად ცნობილმა **სამუელ კამაუ ვანსირუმ**.

კენიელმა, რომელიც აქამდე დიდი შედეგებით ვერ დაიკვეხნიდა, ოლიმპიური რეკორდით მოიგო მძლეოსნობაში ოქროს ბოლო მედალი. თანაც ეს რეკორდი ჯერ კიდევ 1984 წელს პორტუგალიელი **კარლოს ლოპესის** მიერ იყო დამყარებული.

## მედლები მძლეოსნობაში

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 7 | 9 | 7 | 23 |
| 2. რუსეთი | 6 | 5 | 7 | 18 |
| 3. იამაიკა | 6 | 3 | 2 | 11 |
| 4. კენია | 5 | 5 | 4 | 14 |
| 5. ეთიოპია | 4 | 1 | 2 | 7 |
| 6. ბელარუსი | 1 | 3 | 3 | 7 |
| 7. კუბა | 1 | 2 | 2 | 5 |
| 8. ავსტრალია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 8. ბრიტანეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| 10. უკრაინა | 1 | 1 | 3 | 5 |
| 11. ბელგია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 11. ნორვეგია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 11. პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 14. იტალია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 14. ზელანდია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 16. ბაჰრეინი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 16. ბრაზილია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 16. კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 16. ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 16. ესტონეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 16. პანამა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 16. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 16. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 16. სლოვენია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 25. თურქეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 26. ბაჰამა | 0 | 1 | 1 | 2 |
| 26. მაროკო | 0 | 1 | 1 | 2 |
| 28. ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. ეკვადორი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. საფრანგეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. ლატვია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. ს. აფრიკა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28. სუდანი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 34. ჩინეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 35. ტრინიდადი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 35. კანადა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 35. ფინეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 35. გერმანია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 35. საბერძნეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 35. იაპონია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 35. ლიტვა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 35. ნიგერია | 0 | 0 | 1 | 1 |



# მხატვრული ტანვარჯიში

## ინდივიდუალური

### მრავალჭიდი

1. ევგენია კანაევა (რუს) - 75.500; 2. ინა ჟუკოვა (ბლრ) - 71.925; 3. ანა ბესონოვა (უკრ) - 71.875; 4. ოლგა კაპრანოვა (რუს) - 71.700; 5. ალია იუსუპოვა (ყაზ) - 69.800; 6. ალია გარაევა (აზე) - 69.675.

## ჯგუფური

### მრავალჭიდი

1. რუსეთი - 35.550; 2. ჩინეთი - 35.225; 3. ბელარუსი - 34.900; 4. იტალია - 34.425; 5. ბულგარეთი - 33.550; 6. ისრაელი - 32.100.

# კალათბურთი

## ქალები

### მე-3 ადგილისთვის

რუსეთი-ჩინეთი 94:81

24:23, 28:16, 20:18, 22:24

**რუსეთი:** ჰემონი (22), შჩეგოლევა (15), სტეპანოვა (15+9 მოხსნა), კორსტინი (11+6 მოხსნა).

**ჩინეთი:** ნან ჩენი (26), ლან ბიანი (17+6 მოხსნა), ლიჟიე მიაო (16), ფეიფეი სუი (7+6 მოხსნა), სიაოიუნ სონგი (7+7 პასი).

აშშ-ავსტრალია 92:65

22:15, 25:15, 22:24, 23:11

**აშშ:** ლოუსონი (15), ლესლი (14+7 მოხსნა+2 დაფარება), პარკერი (14), ფუოლვსი (13), ტომპსონი (8), ტაურასი (7), კეტჩინგსი (6), პონდექსტერი (4), აუგუსტუსი (4), ბერდი (4), მილტონ-ჯონსი (3).

**ავსტრალია:** ჯექსონი (20+10 მოხსნა), სნელი (15), ბატკოვიჩი (8+9 მოხსნა), ტეილორი (6), ჰაროუერი (5), ბევილაკუა (3), სკრინი (2), გრიმა (2), რენდალი (2), სამერტონი (1), კოქსი (1).

## კაცები

### მე-3 ადგილისთვის

არგენტინა-ლიტვა 87:75

24:21, 22:13, 22:15, 19:26

**არგენტინა:** დელფინო (20+10 მოხსნა), სკოლა (16), ნოჩიონი (14+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), კინტეროსი (11), ლ. გუტიერესი (11), ობერტო (9), პრიჯიონი (6+7 პასი).

**ლიტვა:** შიშკაუსკასი (15+6 მოხსნა), კაუკენასი (14), იასიკიავიჩუსი (9).

### ფინალი

აშშ-ესპანეთი 118:107

38:31, 31:30, 22:21, 27:25

**აშშ:** უეიდი (27+4 ჩაჭრა), ბრაიანტი (20+6 პასი+2 დაფარება), ჯეიმსი (14+6 პასი+3 ჩაჭრა), პოლი (13+5 პასი+2 ჩაჭრა), ენტონი (13), ჰოვარდი (8+5 მოხსნა), ბოში (8+7 მოხსნა), უილიამსი (7), პრინსი (6), კიდი (2).

**ესპანეთი:** ფერნანდესი (22), პ. გასოლი (21+6 მოხსნა), ნავარო (18+4 პასი), ხიმენესი (12), მ. გასოლი (11+5 მოხსნა), რეიესი (10+7 მოხსნა), რუბიო (6+3 ჩაჭრა), გარაბხოსა (3), რობრიგესი (2), მუმბრუ (2).

# ხელბურთი

## ქალები

### მე-3 ადგილისთვის

კორეა-უნგრეთი 33:28

### ფინალი

ნორვეგია-რუსეთი 34:27

**ნორვეგია:** რიგელჰუტი (9), ლიბეკი (7), ნიბერგი (4), იოჰანსენი (3), ნოესტვოლდი (3), ჰამერსენგი (2), ფრაფიორდი (2), ლარსენი (2), აამოდტი (1), სნოროგეგენი (1).

**რუსეთი:** ბლიუნოვა (6), დმიტრიევა (5), ანდრიუშინა (4), პოლენოვა (4), პოსტნოვა (3), შიპილოვა (3), პოლტორაცკაია (1), მარენიკოვა (1).

## კაცები

### მე-3 ადგილისთვის

ესპანეთი-ხორვატია 35:29

### ფინალი

საფრანგეთი-ისლანდია 28:23

**საფრანგეთი:** კარაბატიჩი (8), ბ. ჟილი (5), ბურდე (4), აბალო (4), გიგუ (3), ნარსისი (2), ჟირო (1), აბატი (1).

**ისლანდია:** სტეფანსონი (5), ატლასონი (4), გუდიონსონი (4), გეირსონი (3), გ. სიგურდსონი (3), პეტერსონი (2), ს. სიგურდსონი (1), გუნარსონი (1).

Beijing 2008



## ტაეკვონდო

### ქალები. +67 კგ

**1/4 ფინალი**

**ნინა სოლჰეიმი (ნორ)**-ჩიუ ჩან ჩე (მალაიზ) - 3:1; **ნატალია ფალავინა (ბრა)**-კარმენ მარტონი (ავსტრა) 5:2; **მარია დელ როსარიო ესპინოსა (მექ)**-კაროლინა კედზიერსკა (შვედ) 4:2; **სარა სტივენსონი (ბრიტ)**-ჟონგ ჩენი (ჩინ) 2:1.

**1/2 ფინალი**

**ნინა სოლჰეიმი (ნორ)**-ნატალია ფალავინა (ბრა) +2:2; **მარია დელ როსარიო ესპინოსა (მექ)**-სარა სტივენსონი (ბრიტ) 4:1.

**მე-3 ადგილისთვის**

**სარა სტივენსონი (ბრიტ)**-ნოა აბდ რაბო (ეგვ) 5:1; **ნატალია ფალავინა (ბრა)**-კაროლინა კედზიერსკა (შვედ) 5:2.

**ფინალი**

**მარია დელ როსარიო ესპინოსა (მექ)**-ნინა სოლჰეიმი (ნორ) 3:1.

### კაცები. +80 კგ

**1/4 ფინალი**

**ჩიკა იაგაზი ჩუკვუმერიე (ნიგ)**-ლაბა მობიდო კეიტა (მალი) 3:2; **ალექსანდროს ნიკოლაიდისი (საბ)**-აბდელკადერ (მარ) 5:4; **ანხელ ვალოდია მატოსი (კუბ)**-სიაობო ლიე (ჩინ) 2:1; **დონგმინ ჩა (კორ)**-აკმალ ირგაშევი (უზბ) 2:0.

**1/2 ფინალი**

**ალექსანდროს ნიკოლაიდისი (საბ)**-ჩიკა იაგაზი ჩუკვუმერიე (ნიგ) 3:2; **დონგმინ ჩა (კორ)**-ანხელ ვალოდია მატოსი (კუბ) 1:0.

**მე-3 ადგილისთვის**

**არმან ჩილმანოვი (ყაზ)**-ანხელ ვალოდია მატოსი (კუბ) დისკვალიფიკაცია; **ჩიკა იაგაზი ჩუკვუმერიე (ნიგ)**-აქმალ ირგაშევი (უზბ) 4:3.

**ფინალი**

**დონგმინ ჩა (კორ)**-ალექსანდროს ნიკოლაიდისი (საბ) 5:4.

## მაგიდის ჩოგბურთი

### კაცები. ერთეულები

**1/2 ფინალი**

**ჰაო ვანი (ჩინ, 1)**-იორგენ პერსონი (შვედ) 4:1 (11:9 11:9 9:11 11:7 11:9), **ლინ მა (ჩინ, 2)**-ლიკინ ვანი (ჩინ, 3) 4-2 (11:5 11:9 11:9 10:12 3:11 11:8).

**მე-3 ადგილისთვის**

**ლიკინ ვანი (ჩინ, 3)**-იორგენ პერსონი (შვედ) 4:0 (13:11 11:2 11:5 11:9).

**ფინალი**

**ლინ მა (ჩინ, 2)**-ჰაო ვანი (ჩინ, 1) 4:1 (11:9 11:9 6:11 11:7 11:9)

## მთის ველოსიპედი

### ქალები

1. **საბინ სპიტცი** (გერ) - 1:45:11; 2. **მაია ვლოშჩოვსკა** (პოლ) - 1:45:52 (+0:41); 3. **ირინა კალენტიევა** (რუს) - 1:46:28 (+1:17); 4. **კატარინ პენდრელი** (კან) - 1:46:37 (+1:26); 5. **ჩენგიაუნ რენი** (ჩინ) - 1:47:40 (+2:29); 6. **პეტრა ჰენცი** (შვეიც) - 1:48:41 (+3:30).

### კაცები

1. **ჟულიან აბსალონი** (საფ) - 1:55:59; 2. **ჟან-კრისტოფ პერო** (საფ) - 1:57:06 (+1:07); 3. **ნინო შურტერი** (შვეიც) - 1:57:52 (+1:53); 4. **კრისტოფ შაუზერი** (შვეიც) - 1:57:54 (+1:55); 5. **მარკო აურელიო ფონტანა** (იტა) - 1:59:59 (+4:00); 6. **კრისტოფ სოუკუპი** (ავსტრია) - 2:00:11 (+4:12).

## ფეხბურთი

### კაცები

**ფინალი**

| | |
|---|---|
| არგენტინა-ნიგერია | 1:0 |

**არგენტინა:** რომერო, გარაი, მონსონი, საბალეტა, გაგო, რიკელმე, დი მარია (88. ბანეგა), პარეხა, მასკერანო, მესი (90+3. ლავეცი), აგუერო (79. სოსა).

**ნიგერია:** ვანზეკინი, ოკონკვო, აპამი, ადელეიე, კაიტა, ობინა, აიზეკი (70. ეკპო), ოკორონკვო (64. ანიჩებე), აჯილორე, ადეფემი, ოდემვინგი.

**გოლი:** 1:0 დი მარია (58)

ხელბურთი

# ნორვეგია და საფრანგეთი პირველად





**სპორტის** სათამაშო სახეობებიდან ქალთა ხელბურთი ერთადერთი იყო, სადაც რუსეთს ოქროს მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა. მაგრამ ეს შანსი ფინალური მატჩის დაწყებიდან ხუთ წუთში დასამარდა. ნორვეგიის ნაკრებმა დროის ამ მონაკვეთში 8:1 (!) მოუგო მეტოქეს და დარჩენილი 55 წუთი რუსეთი მდევრის როლში აღმოჩნდა.

სკანდინაველები თითქმის იდეალურ ხელბურთს თამაშობენ. შოკში ჩავარდნილ რუსებს არ შველიდათ მათი მწვრთნელის **ევგენი ტრეფილოვის** ღრიალი. ეს ცნობილი სპეციალისტი მთელი მატჩი ფეხზე იდგა და თავისი შეგირდების შემხედვარე, ხშირად საფეთქელთან საჩვენებელ თითს ატრიალებდა.

მალე ნორვეგიელების უპირატესობა 10 ბურთამდე გაიზარდა - 13:3. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი კარგი თამაში კონტრშეტევებზე. მარტო პირველ ტაიმში ისინი 12-ჯერ გაექცნენ მეტოქეს და აქედან 10 გოლი მიითვალეს.

რუსებისგან მხოლოდ **ირინა ბლიჟნოვას** გამორჩევა შეიძლება. მისი ხუთი გოლის წყალობით, შესვენებამდე ნორვეგიის უპირატესობა 5 ბურთამდე დავიდა. მაგრამ ეს რუსების მოჩვენებითი გააქტიურება აღმოჩნდა. მეორე ტაიმში უპირატესობა ისევ გაიზარდა და საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე, სკანდინაველები ისევ ათი ბურთით იყვნენ წინ.

ნორვეგიამ თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედლები. გარდა ამისა, ამ გუნდმა დამაჯერებელი რევანში აიღო 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში რუსეთთან დამარცხების გამო.

ნორვეგიის დამრიგებელი, 53 წლის **მარიტ ბრეივიკი** ერთადერთი ქალი მწვრთნელი იყო ამ ტურნირზე და მან 11 კოლეგა-მამაკაცის განბილება მოახერხა. ახლა ამ ლეგენდარული ნორვეგიელი სპეციალისტის 15-წლიან კარიერაში სანაკრებო დონეზე მოპოვებული 12 მედალი ირიცხება. მათ შორის ოქროები ოლიმპიადაზე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. აქამდე ქალთა ხელბურთში მსგავსი მიღწევა დანიელ **ულრიკ ვილბეკს** ჰქონდა.

■ ■ ■

ნორვეგიის მსგავსად, ასევე პირველად იზეიმა ოლიმპიადაზე გამარჯვება საფრანგეთის კაცთა ნაკრებმა. და ამ ფინალშიც აშკარად შეიმჩნეოდა ერთი გუნდის მეორეზე დიდი უპირატესობა.

ისლანდიის ნაკრების ფინალში გასვლა ისედაც მოულოდნელ შედეგად აღიქვეს და გასაკვირი არაფერი იყო იმაში, რომ კუნძულელებმა დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს საფრანგეთის ბრწყინვალე ნაკრებს.

ახალი ოლიმპიური ჩემპიონის რიგებში ყველა მოთამაშის გამოყოფა შეიძლება, მაგრამ მაინც ცალკე აღნიშვნის ღირსია მეკარე **ტიერი ომეიერის** თამაში. მან მეტოქე ხელბურთელთა დარტყმების 49 (!) პროცენტი მოიგერია და სამართლიანად დასახელდა ტურნირის საუკეთესო მეკარედ. ისლანდიამ 11 კონტრშეტევა განახორციელა, მაგრამ მხოლოდ ხუთჯერ მიაღწია მიზანს. ესეც ომეიერის დამსახურებაა.

ცუდად არც ისლანდიელთა გოლკიპერს **პალ გუსტაფსონს** უთამაშია (მოგერიების 36 პროცენტი), მაგრამ მის კართან ზეწოლა გაცილებით დიდი იყო და ამას გარდა, შეუჩერებელი გახლდათ ფრანგების ერთ-ერთი ლიდერი, წინა მატჩებში ერთგვარად ჩრდილში მყოფი ნიკოლა კარაბატიჩი. ამ შესანიშნავმა ხელბურთელმა ცხრაჯერ გაისროლა და რვა გოლით დაასრულა შეხვედრა.

საფრანგეთმა კომფორტულ უპირატესობას მატჩის მე-13 წუთზე მიაღწია, როცა ხუთი ბურთით დაწინაურდა, ხოლო ჩემპიონობის აღსანიშნავი ზეიმი ფინალის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე დაიწყო - ამ დროისთვის მისი უპირატესობა ცხრა ბურთს შეადგენდა.

წყალბურთი

# უნგრეთი უკონკურენციოდაა

**კაცების** წყალბურთში გრძელდება უნგრელების ბატონობა. ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ისტორიაში პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიგო ოლიმპიური თამაშები.

ფინალში უნგრეთის მეტოქე ამერიკის ნაკრები იყო. გუნდებმა არანორმალური პირველი პერიოდი ჩაატარეს და შვიდ წუთში ათი გოლი გაიტანეს. უნგრეთი 6:4 დაწინაურდა.

მეორე პერიოდი ერთადერთი იყო ფინალში, როცა აშშ-ის ნაკრებს უპირატესობა ჰქონდა. ამერიკელებმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა და კარგა ხანს უფრო წინ გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ მეტოქეს, თუმცა ვერც თავად ახერხებდნენ ანგარიშის გათანაბრებას.

გადამწყვეტ მომენტებში იგრძნობოდა უნგრეთის ნაკრების მეტი გამოცდილება და საბოლოო ჯამში, ამან ევროპელთა გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა.

უნგრეთი რომ ტურნირზე ყველაზე გამოცდილი გუნდი იყო, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მის შემადგენლობაში ექვსი მოთამაშე გახდა ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონი. ესენი არიან: **ტამაშ კაშაში, ჟოლტან შეცი, ტამაშ მოლნარი, პეტერ ბიროში, გერგელი კიში** და კაპიტანი **ტიბორ ბენედეკი**. ამას გარდა, ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **დენეშ კემენიც** სამი ოქროს მფლობელია.

ახლა უნგრეთის ნაკრებს წყალბურთში 15 ოლიმპიური მედალი დაუგროვდა, რომელთაგანაც 9 ოქროსი გახლავთ.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



## ნიჩბოსნობა: ბაიდარები და კანოე

### K1. კაცები

**500 მ**

1. **კენ უოლესი** (ავსტრა) - 1:37.252; 2. **ადამ ვან კოევერდენი** (კან) - 1:37.630; 3. **ტიმ ბრაბანტსი** (ბრიტ) - 1:37.671; 4. **ეირიკ ვერაას ლარსენი** (ნორ) - 1:37.949; 5. **ანტონ რიახოვი** (რუს) - 1:38.187; 6. **აკოშ ვერეცკეი** (უნგ) - 1:38.318; 7. **ანდერს გუსტაფსონი** (შვედ) - 1:38.447; 8. **სტივენ ფერგიუსონი** (ზელ) - 1:38.512; 9. **სტიეპან იანიჩი** (ხორ) - 1:38.729.

### C1. კაცები

**500 მ**

1. **მაქსიმ ოპალევი** (რუს) - 1:47.140; 2. **დავიდ კალი** (ესპ) - 1:48.397; 3. **იური ჩებანი** (უკრ) - 1:48.766; 4. **მატიო გუბელი** (საფ) - 1:49.056; 5. **ალექსანდრ ჟუკოვსკი** (ბლრ) - 1:49.092; 6. **კიან ლი** (ჩინ) - 1:49.287; 7. **ფლორინ გეორგიან მირონჩიჩი** (რუმ) - 1:49.861; 8. **პაველ ბარაშკიევიჩი** (პოლ) - 1:50.048; 9. **ატილა შანდორ ვაიდა** (უნგ) - 1:50.156.

### K1. ქალები

**500 მ**

1. **ინა ოსიპენკო-რადომსკა** (უკრ) - 1:50.673; 2. **ჟოზეფა იდემი** (იტა) - 1:50.677; 3. **კატრინ ვაგნერ-აუგუსტინი** (გერ) - 1:51.022; 4. **კატალინ კოვაჩი** (უნგ) - 1:51.139; 5. **ჰონგიან ჟონგი** (ჩინ) - 1:52.220; 6. **შპელა პონომარენკო** (სლოვენ) - 1:52.363; 7. **ლუსი უეინრაიტი** (ბრიტ) - 1:53.102; 8. **ჯენიფერ ჰოდსონი** (ს. აფრ) - 1:53.353; 9. **იულიანა სალახოვა** (რუს) - 1:53.973.

### K2. კაცები

**500 მ**

1. **ესპანეთი** (საულ კრავიოტო, კარლოს პერესი) - 1:28.736; 2. **გერმანია** (რონალდ რაუჰე, ტიმ ვისკოტერი) - 1:28.827; 3. **ბელარუსი** (რომან პიატრუშენკა, ვაძიმ მახნეუ) - 1:30.005; 4. **უნგრეთი** - 1:30.285; 5. **დანია** - 1:30.569; 6. **კანადა** - 1:30.857; 7. **საფრანგეთი** - 1:31.312; 8. **პოლონეთი** - 1:31.869; 9. **იტალია** - 1:31.934.

### C2. კაცები

**500 მ**

1. **ჩინეთი** (გუანლიან მენგი, ვენჟუნ იანგი) - 1:41.025; 2. **რუსეთი** (სერგეი ულეგინი, ალექსანდრ კოსტოგლოდი) - 1:41.282; 3. **გერმანია** (კრისტიან გილი, ტომაშ ვილენჩეკი) - 1:41.964; 4. **ბელარუსი** - 1:41.996; 5. **კანადა** - 1:42.450; 6. **რუმინეთი** - 1:43.195; 7. **ბულგარეთი** - 1:43.971; 8. **უკრაინა** - 1:44.157; 9. **პოლონეთი** - 1:44.389.

### K2. ქალები

**500 მ**

1. **უნგრეთი** (კატალინ კოვაჩი, ნატაშა იანიჩი) - 1:41.308; 2. **პოლონეთი** (ბეატა მიკოლაიჩიკი, ანეტა კონიეჟნა) - 1:42.092; 3. **საფრანგეთი** (მარი დელატრი, ენ-ლორ ვიარი) - 1:42.128; 4. **გერმანია** - 1:42.899; 5. **იაპონია** - 1:43.291; 6. **ავსტრალია** - 1:43.969; 7. **ფინეთი** - 1:44.176; 8. **ჩეხეთი** - 1:44.870; 9. **ავსტრია** - 1:44.965.

## წყალბურთი

### კაცები

**მე-3 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ჩერნოგორია | 6:4 |
| 2:0, 2:1, 2:1, 0:2 | |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-აშშ | 14:10 |
| 6:4, 3:4, 2:1, 3:1 | |

**უნგრეთი:** დანიელ ვარგა (3), ბიროში (3), დენეს ვარგა (2), მადარაში (1), კაშაში (1), გერგელი კიში (1), ბენედეკი (1), გაბორ კიში (1), მოლნარი (1).

**აშშ:** ასევედო (4), ბობიენი (2), სმიტი (2), ვარელასი (1), ბეილი (1).

## ბალახის ჰოკეი

### კაცები

**მე-3 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-ჰოლანდია | 6:2 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| გერმანია-ესპანეთი | 1:0 |

Beijing 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა



| კრივი |
| --- |
| 48 კგ |
| ფინალი |
| შიმინ ჟოუ (ჩინ)-სერბამბა პურევდორჯი (მონ) აშკარა უპირატესობით. |
| 51 კგ |
| ფინალი |
| სომიტ იონგიოპორი (ტაილ)-ანდრის ლაფიტა ერნანდესი (კუბ) 8:2. |
| 54 კგ |
| ფინალი |
| ბადარ-უუგან ენხბატი (მონ)-იანკიელ ლეონ ალარკონი (კუბ) 16:5. |
| 57 კგ |
| ფინალი |
| ვასილ ლომაჩენკო (უკრ)-ხედაფი ჯელხირი (საფ) აშკარა უპირატესობით. |
| 60 კგ |
| ფინალი |
| ალექსეი ტიშჩენკო (რუს)-დაუდა სოვი (საფ) 11:9. |
| 64 კგ |
| ფინალი |
| ფელიქს დიასი (დომ)-მანუს ბოონჯუმნონგი (ტაილ) 12:4. |
| 69 კგ |
| ფინალი |
| ბახუტ სარსეკბაიევი (ყაზ)-კარლოს ბანტო სუარესი (კუბ) 18:9. |
| 75 კგ |
| ფინალი |
| ჯეიმს დეგალი (ბრიტ)-ემილიო კორეა ბეიო (კუბ) 16:14. |
| 81 კგ |
| 1/2 ფინალი |
| სიაოპინ ჟანგი (ჩინ)-კენი იგანი (ირლ) 11:7. |
| 91 კგ |
| ფინალი |
| რაზიმ ჩახკიევი (რუს)-კლემენტე რუსო (იტა) 4:2. |
| +91 კგ |
| ფინალი |
| რობერტო კამარელე (იტა)-ჟილეი ჟანგი (ჩინ) აშკარა უპირატესობით. |

| სინქრონული ცურვა |
| --- |
| გუნდური |
| თავისუფალი პროგრამა |
| 1. **რუსეთი** (ანასტასია დავიდოვა, ანასტასია ერმაკოვა, მარია გრომოვა, ნატალია იშჩენკო, ელვირა ხასიანოვა, ოლგა კუჟელა, სვეტლანა რომაშინა, ანა შორინა) - 50.000; 2. **ესპანეთი** (ალბა მარია კაბელო, რაკელ კორალი, ანდრეა ფუენტესი, ტაის ენრიკესი, ლაურა ლოპესი, ჯემა მენგალი, ირინა როდრიგესი, პაოლა ტირადოსი) - 49.334; 3. **ჩინეთი** (ბეიბეი გუ, ტინგინ ჟიანგი, ვენვენ ჟიანგი, ოუ ლიუ, სი ლუო, კიუტინგ სუნი, ნა ვანგი, სიაოჰუან ჟანგი) - 48.750; 4. **კანადა** - 48.084; 5. **აშშ** - 47.750; 6. **იაპონია** - 47.167; 7. **ავსტრალია** - 41.750; 8. **ეგვიპტე** - 41.083. |

| ფრენბურთი | |
| --- | --- |
| ქალები | |
| მე-3 ადგილისთვის | |
| ჩინეთი-კუბა | 3:1 |
| 25:16, 21:25, 25:13, 25:20 | |
| ფინალი | |
| ბრაზილია-აშშ | 3:1 |
| 25:15, 18:25, 25:13, 25:21, | |
| კაცები | |
| მე-3 ადგილისთვის | |
| რუსეთი-იტალია | 3:0 |
| 25:22, 25:19, 25:23 | |
| ფინალი | |
| აშშ-ბრაზილია | 3:1 |
| 20:25, 25:22, 25:21, 25:23 | |

კრივი

# კუბა ოქროს გარეშე, ამერიკა ერთი ბრინჯაოთი



სუპერმძიმე წონის ჩემპიონი რობერტო კამარელე

უცნაური ამბები მოხდა ოლიმპიადის მოკრივეთა ტურნირზე. ოქროს მედლების გარეშე დარჩნენ კუბისა და ამერიკის ნაკრებები, ხოლო ჩინეთს, რომელსაც აქამდე ოლიმპიადაზე სპორტის ამ სახეობაში ოქრო არ ჰქონდა მოგებული, ერთბაშად ორი ჩემპიონი ჰყავს.

სამოყვარულო კრივში მოდის კანონმდებლებმა, კუბელმა მოკრივეებმა ოლიმპიადაზე ოქროს პირველი მედალი 1968 წელს მოიგეს და იქიდან მოყოლებული, არც ერთ დიდ სპორტულ ფორუმზე არ დარჩენილან პირველი ადგილის გარეშე. აქ არ ვთვლით 1984 და 1988 წლების ოლიმპიადებს, სადაც "თავისუფლების კუნძულის" წარმომადგენლებმა პროტესტის ნიშნად არ მიიღეს მონაწილეობა.

პეკინის ოლიმპიადის წინ კუბის ნაკრების ხელმძღვანელობა რვა მედლის, მათ შორის ოთხი ოქროს მოპოვებას გეგმავდა. კუნძულელებმა რვა მედალი მართლაც მოიგეს, მაგრამ სამშობლოში ჩემპიონის გარეშე ბრუნდებიან.

ამ ფიასკოს ნაწილობრივ მაინც შეიძლება ახსნა მოეძებნოს. ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე კუბიდან წამყვანი მოკრივეები გაიქცნენ და ისინი დღეს პროფესიულ რინგზე ცდიან ძალებს. შესაბამისად, ნაკრების მთავარ მწვრთნელს **პედრო როკეს** გამოუცდელი მებრძოლებით მოუხდა გუნდის დაკომპლექტება.

*"ჩემს შეგირდებს თითქმის არ ჰქონდათ დიდ ტურნირებზე გამოსვლის გამოცდილება. მიუხედავად ამისა, 11 წონით კატეგორიაში რვა მედალოსანი გვყავს. მართალია, ოქრო ვერ ავიღეთ, მაგრამ ახლა ჩვენ განკარგულებაშია ძალიან პერსპექტიული და რაც მთავარია, გამოცდილი გუნდი, რომელიც მალე დაიწყებს მზადებას ლონდონის ოლიმპიადისთვის"*, - ამბობს პედრო როკე.

კიდევ უფრო უარესად აქვთ საქმე ამერიკელებს. აშშ-მ პეკინში მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჩაიყვანა და კრივის დიადი ამერიკული სკოლის აღორძინება ეშურებოდა. ნაკრების ხელმძღვანელები ყველას არწმუნებდნენ, რომ ათენში ნაჩვენები სამარცხვინო შედეგი (1 ოქრო, 1 ბრინჯაო) აღარავის გაახსენდებოდა. და რა მოხდა სინამდვილეში? ამ დიდ საკრივო ქვეყანას პეკინში ერთადერთი (!) მედალოსანი ჰყავს - ბრინჯაოს პრიზიორი **დოენტაი ვილდერი**.

მოდით, ამერიკული კრივის ლეგენდას **ევანდერ ჰოლიფილდს** მოვუსმინოთ, რომელიც ასე ხსნის ამ ჩავარდნას:

*"ჩვენი ბიჭები ფულმა გააფუჭა. მათ აღარ აინტერესებთ ოლიმპიური თამაშები. ერთადერთი, რაზეც საუბრობენ და ფიქრობენ - პროფესიული კონტრაქტებია. მენეჯერებს კი არ სურთ, რომ მათ ოლიმპიური ოქროები მოიგონ, რადგან ამ შემთხვევაში უფრო მეტის გადახდა მოუწევთ. ადრე ამერიკაში ყველა უყურებდა სამოყვარულო კრივს, ახლა კი ის აღარავის სჭირდება"*.

თუ გახსოვთ, ჩვენ შემოგთავაზეთ ოლიმპიადის წინ იმავე ჰოლიფილის პროგნოზი. სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ვარაუდობდა, რომ ამერიკა პეკინში სამ ოქროს მოიპოვებდა.

მაგიდის ჩოგბურთი

# ექვსიდან ექვსი



იორგენ პერსონი

მაგიდის ჩოგბურთში ჩინელი ქალების ტრიუმფის მიმოხილვისას ვწერდით, რომ ეს არის ოლიმპიადის მასპინძელთა სახეობა, სადაც მათ უკვე მრავალი წელია კონკურენტი არ ჰყავთ.

ჩინელმა ქალებმა კვარცხლბეკის სამი საფეხური დაიკავეს, მეორე დღეს კი იგივე შედეგი ჩინელმა კაცებმაც აჩვენეს.

იყო დრო, როცა კაცებს შორის ჩინელების ბატონობას შვედმა ჩოგბურთელებმა მოუღეს ბოლო. 90-იან წლებში სკანდინაველების ლეგენდარული თაობა (**ვალდნერი, პერსონი, აპელგრენი...**) თითქმის ყველაფერს იგებდა და ჩინეთმა მხოლოდ მაშინ დაიბრუნა წამყვანი პოზიციები, როცა შვედებს ასაკმა უწიათ და ძველებურად ველარ იქნევდნენ ჩოგანს.

შვედი ჩოგბურთელები შემთხვევით არ გვიხსენებია. კაცების ერთეულთა თანრიგში ნახევარფინალში გასული ოთხი ჩოგბურთელიდან სამი ჩინელი იყო და ერთი... 42 წლის იორგენ პერსონი - იმ ბრწყინვალე თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

კარიერის საუკეთესო წლებში პერსონი თავისი ლეგენდარული თანამემამულის იან-უვე ვალდნერის ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ ერთხელ მაინც შეძლო მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ერთეულთა თანრიგში. ეს შორეულ 1991 წელს მოხდა.

სამწუხაროდ, პერსონი ისე ასრულებს თავის კარიერას, რომ მის კოლექციაში ოლიმპიური მედალი არ მოიპოვება. მან ამ გაუგებრობის გამოსწორება 42 წლის ასაკში პეკინში სცადა, მაგრამ ახალგაზრდა და ვირტუოზ ჩინელებს ვერაფერი მოუხერხა. არადა, ნახევარფინალში პერსონმა ბოლომდე იბრძოლა. მსოფლიოს პირველ ჩოგანს **ჰაო ვანს** ერთი სეტი მოუგო, დანარჩენებში კი მინიმალური სხვაობით დამარცხდა. რაც შეეხება მესამე ადგილისთვის მატჩს, აქ შვედმა მშრალი ანგარიშით წააგო, მაგრამ ამას ობიექტური მიზეზი ჰქონდა. შეხვედრის მსვლელობისას პერსონმა ორჯერ გამოიყენა სამედიცინო ტაიმაუტი, ვინაიდან ფეხის ტრავმით თამაშობდა. სხვათა შორის, ჩინელი გულშემატკივრები ხშირად ტაშით აჯილდოებდნენ პერსონს. აშკარად ჩანდა, რომ ვეტერანმა პეკინელთა გულები დაიპყრო.

ფინალურ შეხვედრას რაც შეეხება, ამჯერად გაუმართლა კლასიფიკაციის მესამე ნომერს **მა ლინს**, რომელმაც ძალიან აგრესიულად დაიწყო ჰაო ვანთან დაპირისპირება და პირველი ორი სეტიც მას დარჩა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მხოლოდ მესამე პარტიაში აჩვენა ჩვეული თამაში, მეოთხე და მეხუთე სეტებში ისევ ლინმა იძალა და 28 წლის ჩოგბურთელი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ათენში წყვილებში მოპოვებულ ტიტულს პეკინში გუნდურ და პირად პირველობაში აღებული ორი ოქროც დაუმატა.

საბოლოოდ ჩინელებმა ოთხი შესაძლებლიდან ოქროს ოთხი მედალი აიღეს.

წყალში ხტომა

# სენსაცია წყლის კუბში



მეტიუ მიტჩემი

მაგიდის ჩოგბურთის მსგავსად, ასპროცენტიან შედეგს გეგმავდნენ ჩინელები წყალში ხტომაში, სადაც ჯამში რვა ოქრო გათამაშდა. ბოლო დღისთვის მასპინძლები გრაფიკის სრული დაცვით მიიწევდნენ წინ. მათ ყულაბაში შვიდი ოქრო იყო და რჩებოდა 10 მეტრიდან ხტომები კაცებს შორის.

ბოლო დისციპლინას ინტრიგა ნახევარფინალური ეტაპის დროს გაუჩნდა, სადაც მეორე შედეგი აჩვენა ავსტრალიელმა **მეტიუ მიტჩემმა**. ამ უკანასკნელს, გრანპრის ერთ ეტაპზე გამარჯვებას თუ არ ჩავთვლით, აქამდე რაიმე სერიოზული წარმატება არ ჰქონია. მესამე მიდიოდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ლიუსინ ჟოუ**. პუბლიკის ყურადღებას იპყრობდა 14 წლის ბრიტანელი ვუნდერკინდი, ევროპის ჩემპიონი **ტომას დეილიც**. მაგრამ მან ფსიქოლოგიურად ვერ გაძლო და საბოლოოდ, პეკინში მხოლოდ გამოცდილება დააგროვა.

ფინალში ლიდერობა ჟოუმ იგდო ხელთ, რომელიც ყოველი ცდის შემდეგ ზრდიდა თავის უპირატესობას. მას მიჰყვებოდნენ მიტჩემი და კიდევ ერთი ჩინელი **ლიან ჰოუ**. აშკარად ჩანდა, რომ გამარჯვება მას დარჩებოდა, ვინც ერთ ნახტომაში 100 ქულაზე მეტს მიიღებდა. ჩინელებმა ამის გაკეთება ვერ შეძლეს. "წყლის კუბი" მაშინ აფეთქდა, როცა მიტჩემის ნახტომის შემდეგ ტაბლოზე 112.10 (!) დაფიქსირდა. ამას ნამდვილად არ ელოდა ჟოუ, რომელიც შოკიდან ველარ გამოვიდა და ოქრო ავსტრალიელს დაუთმო. ბოლო ნახტომისთვის ლიდერმა მხოლოდ 74.80 ქულა მიიღო და საბოლოოდ 4.80 ქულით ჩამორჩა მიტჩემს. არადა, ჩინელებისთვის პირველ ადგილს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა - ჟოუს გამარჯვების შემთხვევაში, ამ ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებს პეკინში 50 ოქრო უგროვდებოდა.

ჩინელებმა ბრინჯაოს მედალიც დაკარგეს - მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუს რუსმა **გლებ გალპერინმა** გაუსწრო. ეს ლოგიკური შედეგი იყო, ვინაიდან მეორე ცდიდან მოყოლებული, ჩინელს არც ერთი ნახტომისთვის არ მოუპოვებია 90 ქულაზე მეტი.

ამ ლოკალური დამარცხების მიუხედავად, ჩინელი წყალში მხტომელების შედეგი აღფრთოვანებას იწვევს - 7 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო.

**გვერდი მოამზადა**
**გია თვალაბეიშვილმა**

Beijing 2008

ფეხბურთი

# არგენტინა... ოქროს ქვეყანა!

არგენტინის ნაკრები ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებულია! **სერხიო ბატისტას** გუნდს ტურნირის დაწყებამდეც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევდნენ და საბოლოოდ, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. არგენტინელებმა ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარეს, არცთუ იოლ ჯგუფში სამივე მეტოქე (კოტ დივუარი, სერბეთი, ავსტრალია) დაამარცხეს, მეოთხედფინალში დამატებით დროში მოუგეს ჰოლანდიას, ნახევარფინალში კი უმთავრეს კონკურენტსა და უპრინციპულეს მეტოქეს ბრაზილიას სამი უპასუხო გოლი გაუტანეს! აღებული ტემპი ფინალშიც გაგრძელდა და შედარებით მოკრძალებული ანგარიშითა და არცთუ შთამბეჭდავი თამაშით ნიგერიასაც აჯობეს - პეკინის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირს მართლაც ღირსეული ჩემპიონი ჰყავს! აღსანიშნავია, რომ არგენტინამ ზედიზედ მეორედ მოიპოვა ოლიმპიური ოქრო; მანამდე კი ასეთი მიღწევა მხოლოდ სამ ქვეყანას ჰქონდა: დიდ ბრიტანეთს (1908-1912), ურუგვაისა (1924-1928) და უნგრეთს (1964-1968). აქვე ცალკე უნდა გამოვყოთ არგენტინელთა საყრდენი ნახევარმცველი **ხავიერ მასკერანო** - თავის ამპლუაში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოც არის და ახლა პეკინში ზედიზედ მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

სანამ ფინალურ მატჩზე ვისაუბრებდეთ, რამდენიმე სიტყვით წინა დღით გამართულ შეხვედრაზეც ვთქვათ. მესამე ადგილისთვის მატჩში ბრაზილიამ დიდი ანგარიშით მოუგო ბელგიას (3:0) და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ შედეგი კანონზომიერი ნამდვილად არ იყო - პირველ ტაიმში, როცა **დიეგოს** გოლით ბრაზილია მინიმალური სხვაობით იმარჯვებდა, ბელგიელებს სამი-ოთხი ჩინებული მომენტი ჰქონდათ. თუმცა პირველი და მეორე ტაიმების მიწურულს ბრაზილიელმა ჟომ ბელგიელი მცველების შეცდომებით მაქსიმალურად ისარგებლა. უცნაურზე მეტი იყო **რონალდინიოსა** და თანაგუნდელების ზეიმი - თითქოსდა, მსოფლიოს ჩემპიონები გამხდარიყვნენ... აღარაფერს ვამბობთ ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **კარლოს დუნგაზე**, ვისაც სამშობლოში კოშმარული დახვედრა ელის...

...ვერ გეტყვით, რა მიზეზით, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებმა ფინალური მატჩი საკმაოდ ადრე, შუადღისას დანიშნეს (ჩვენთან დილის რვა საათი იყო!) და ამანაც გარკვეული დაღი დაასვა შეხვედრას. რა თქმა უნდა, დიდ ტურნირებზე ფინალები სანახაობრივი თვალსაზრისით არასდროს გამოირჩევა, მაგრამ ამ შემთხვევაში აუტანელმა სიცხემ საჭიროზე მეტი კორექტივები შეიტანა თამაშში.

მეტოქეები ფინალში ოპტიმალური შემადგენლობით გამოვიდნენ; ერთადერთი მოულოდნელობა ნიგერიელთა შორის **ოგბუკე-ობასას** არყოფნა იყო - გერმანული "ჰოფენჰაიმის" შემტევმა ნახევარფინალში ბელგიასთან "დუბლი" შეასრულა, მაგრამ აფრიკელთა მთავარმა მწვრთნელმა **სამსონ სიასიამ** მას **პრომის ისააკი** ამჯობინა და კაპიტნის სამკლაურიც დაუბრუნა. სხვათა შორის, ნიგერიელთა ფინალში გასვლას ბევრი არ ელოდა, მაგრამ სიასიამ ერთობ ორგანიზებული გუნდი ჩაიყვანა პეკინში. თანაც, რაც ყველაზე თვალშისაცემი იყო, აფრიკელები ტაქტიკური განსწავლულობითაც გამოირჩეოდნენ და ეს, უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელის დამსახურებაც იყო. სიასიამ ტაქტიკაც ისეთი შეარჩია ფინალურ მატჩში, რომ მეტოქეს თავისუფლად მოქმედების საშუალება არ მისცემოდა. სხვანაირად ვერც იქნებოდა - **ლეო მესის, ხუან-რომან რიკელმესა** თუ **სერხიო აგუეროს** სივრცე რომ მისცე, უსიამოვნება არ აგცდება. ამის დასტური იყო მატჩის დასაწყისშივე მომხდარი ეპიზოდი, როცა მესიმ გარღვევაზე აგუერო გაიყვანა, მაგრამ ეს უკანასკნელი ნიგერიელ მცველთან ჭიდილში საჯარიმოში წაიქცა. ასპროცენტიანი - არა, მაგრამ პენალტს კი წააგავდა, ისე როგორც მეორე შემთხვევა, როცა ამჯერად მესი შეაჩერეს წესების დარღვევით.

პირველი ტაიმი აუტანელი სიცხის გამო, ცოტა არ იყოს, მოსაწყენიც გამოდგა. მაქსიმალურ სისწრაფეებს ვერავინ მოითხოვდა და თამაშიც დროდადრო "წამიერი აფეთქებებით" თუ გამოცოცხლდებოდა ხოლმე. ასეთი იყო **ანხელ დი მარიას** ლამაზი სოლო-რეიდი თუ **ლუჩანო მონზონის** შორეული სახიფათო დარტყმა; ერთ ეპიზოდში ტანმორჩილმა აგუერომ დაასწრო მეტოქის მცველებს და თავით გადაგზავნა ბურთი კარისკენ, მაგრამ **ამბრუს ვანზეკინმა** იმარჯვა. ნიგერიელთა მეკარის მსგავსად, **სერხიო რომეროც** საიმედოდ გამოიყურებოდა - არგენტინელთა სათადარიგო მეკარემ **პასკალ ოდემვინჯისა** და **ვიქტორ ობინას** დარტყმები მშვიდად მოიგერია. ერთ ეპიზოდში კი არგენტინელთა კარი აშკარა გოლს გადაურჩა - მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ვერც ოდემვინჯიმ მიუსწრო და ვერც ისააკმა, არადა, ორივე ნიგერიელი, ფაქტობრივად, უმეთვალყურეოდ იყო დარჩენილი მეკარის საჯარიმოში. ანალოგიური მომენტი ჰქონდათ არგენტინელებსაც, როცა პირველი ტაიმის მიწურულს მასკერანომ უაღრესად მწვავე გამჭოლი გადაცემა გააკეთა.

...მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, ერთმა ფეხბურთელმა კიდევ ერთხელ შეახსენა ყველას, რომ სწორედ ის არის ამ ტურნირზე საუკეთესო. ჰო, ხვდებით, ალბათ, რომ ლეო მესიზეა საუბარი; თანაც, თემიდანაც გადავუხვევთ, მოვლენებსაც გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ მესის წლის საუკეთესო ფეხბურთელობაზეც უნდა ჰქონდეს პრეტენზია. ყოველ შემთხვევაში, **კრისტიანო რონალდოს** თუ არ ჯობია, არც ნაკლები არის...

47-ე წუთზე მესიმ ჩინებული პასით აგუერო მეტოქის მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ვანზეკინმა იმარჯვა; სამი წუთის მერე თავად მესი ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ ეფექტურ დრიბლინგს შორეული დარტყმა რომ მოაყოლა, კვლავაც ნიგერიელთა მეკარემ იყოჩაღა. მაგრამ მესამე ცდაზე ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა: ისევ მესის ფენომენური პასი და ანხელ დი მარიას არანაკლებ ოსტატური გოლიც ვიხილეთ! საერთოდაც, არგენტინელთა ოცი წლის მარცხენა გარემარბი ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის აღმოჩენა გახდა და ნურავის გაუკვირდება, თუ ძალიან მალე რომელიმე გრანდში ვიხილავთ.

გაშვებული გოლის მერე ნიგერიამ დიდი ძალებით შეუტია: ოდემვინჯის, ობინასა და **ეკპოს**, მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ არგენტინელთა მცველები და მეკარე რომერო უშეცდომოდ თამაშობდნენ. თავის მხრივ, ორი მომენტი არგენტინასაც ჰქონდა, მაგრამ ჯერ აგუერომ, მერე კი მესიმ ანგარიშის გაზრდა ვერ მოახერხეს. საფინალო სასტვენის მოლოდინთან ერთად ტემპიც დაეცა, არგენტინელებმა დროის გაყვანაც დაიწყეს და საბოლოოდ, ფინალისთვის უჩვეულოდ კორექტულ შეხვედრას ლოგიკური დასასრული ჰქონდა.

***P.S.** არგენტინას კიდევ ერთი "მესი" ეზრდება - ამ ტურნირზე ეპიზოდურად ჩნდებოდა "რივერ პლეიტის" 19 წლის ფორვარდი დიეგო ბუონანოტე. უჩვეულო ფიზიკური მონაცემების (სიმაღლე 1 მეტრი და 60 სმ, წონა - 50 კგ) მქონე ჭაბუკი ბურთით ისეთ რამეებს აკეთებს, ბევრი დიდ დიეგო მარადონას რომ ამსგავსებს. სამწუხაროდ, ფინალსა და ნახევარფინალში ეს ვუნდერკინდი ვერ ვიხილეთ, თუმცა არგენტინამ მის გარეშეც შეძლო მიზნის მიღწევა...*

გია ტუხაშვილი





ჟულიან აბსალონი

მთის ველოსიპედი

# ფრანგული ტრადიციები

ისტორიული შედეგები დაფიქსირდა მაუნტინბაიკის (მთის ველოსიპედი) ფინალებში. კაცებს შორის გამარჯვებული, ფრანგი **ჟულიან აბსალონი** პირველი ველომრბოლია, ვინც ოლიმპიადაზე ტიტულის შენარჩუნება შეძლო. რაც შეეხება ქალებს შორის ჩემპიონს, გერმანელ **საბინ სპიტცს,** მან თავის ქვეყანას ამ სახეობაში პირველი ოქრო მოუტანა.

ორივე ჩემპიონმა ძალიან იოლად გაინაღდა გამარჯვება. კაცებს რვა წრე (35.6 კმ) უნდა გაევლოთ. აბსალონი კონკურენტებს მეორე წრის გავლისას გაექცა და რამდენიც არ ეცადნენ მეტოქეები მის დაწევას, მაინც არაფერი გამოუვიდათ. პირველ და მეორე ადგილებს შორის დროში სხვაობამ წუთზე მეტი შეადგინა. მეორეზე ასევე ფრანგი ველომრბოლი **ჟან-კრისტოფ პერო** გავიდა. საერთოდ, ველოსპორტის ამ სახეობაში საფრანგეთის წარმომადგენლები დომინირებენ. სანამ აბსალონი ზედიზედ ორჯერ მოიგებდა ოლიმპიადას, 2000 წელს პირველობა ასევე ფრანგმა **მიგელ მარტინესმა** მოიპოვა. გარდა ამისა, აბსალონი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი გახლავთ.

მაუნტინბაიკის დიდმა მოყვარულმა, ამერიკის პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა** ოლიმპიადამდე თავად დააჭამნიკა ეს ტრასა და აღნიშნა - ველომრბოლებს ურთულესი გზა ექნებათ გასავლელიო. პრეზიდენტი არ შემცდარა - 50 მონაწილიდან მხოლოდ 28 სპორტსმენმა შეძლო ფინიშამდე მისვლა.

ქალებს იგივე ტრასაზე 6 წრე (26.7 კმ) უნდა გაევლოთ. 36 წლის საბინ სპიტცი პირველივე წრიდან ჩაუდგა რბოლას სათავეში და ლიდერობა არავისთვის დაუთმია. ის შესანიშნავად აკონტროლებდა ასპარეზობის მსვლელობას და ფინიშზე მისმა უპირატესობამ 41 წამი შეადგინა.

უცნაური ამბები შეემთხვათ ფინალის სხვა ფავორიტებს. მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი **გუნ-რიტა დალე ფლესია** (ნორვეგია), ათენის თამაშების ვერცხლის პრიზიორი **მარი-ელენ პრემონი** (კანადა) და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი **მარგარიტა ფულანა** (ესპანეთი) ფინიშამდე ვერ მივიდნენ.

სპიტცი ათენში ბრინჯაოს მედლის მფლობელი იყო. მისი გამარჯვებების კოლექციაში შედის აგრეთვე, 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი.

ჭიდაობა

# აბრაჰამიანი მართალი ყოფილა

სომხური წარმოშობის შვედმა მოჭიდავემ, 33 წლის **არა აბრაჰამიანმა** სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში (CAS) იპოვნა სამართალი.

CAS-ის დადგენილებაში წერია, რომ აბრაჰამიანს მართლაც ჰქონდა მსაჯების გადაწყვეტილებისა და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) საქციელის მიმართ უკმაყოფილების გამოთქმის საბაბი. შვედმა CAS-ში იტალიელ **ანდრეა მინგუცისთან** ნახევარფინალის შედეგზე შეიტანა პროტესტი. აბრაჰამიანის აზრით, ის გადაწყვეტილება, რომელმაც შეხვედრის საბოლოო ანგარიშზე გავლენა იქონია, რაუნდის დასრულების შემდეგ იქნა დაფიქსირებული. მოჭიდავის მწვრთნელმა ვიდეოგამეორების ნახვა მოითხოვა, მაგრამ FILA-მ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა.

თავიდან აბრაჰამიანი სასამართლოში მსაჯების დისკვალიფიკაციასა და ბრინჯაოს მედლის დაბრუნებას ითხოვდა, მაგრამ შემდეგ შეარბილა მოთხოვნა - უბრალოდ, მსაჯების შეცდომის დაფიქსირება სურდა. CAS-მა კი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო - მან FILA-ში აპელაციების შეტანის არსებული წესი დაიწუნა და ეს შემთხვევა ოლიმპიური ქარტიის დარღვევად მონათლა.

*"FILA-მ ოლიმპიური ქარტიისა და სამართლიანი თამაშის ძირითადი პრინციპების შესაბამისად უნდა შექმნას ახალი სააპელაციო კომიტეტი, რათა შეტანილი პროტესტები სამართლიანად იყოს განხილული"*, - წერია CAS-ის დადგენილებაში. ამავე დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ ფედერაციის წარმომადგენლები საქმის განხილვაზე არ გამოცხადნენ.

შეგახსენებთ, რომ 84 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამარჯვებული მოჭიდავეების დაჯილდოებისას აბრაჰამიანმა უარი თქვა ჯილდოს მიღებაზე: მან ბრინჯაოს მედალი ხალიჩაზე დააგდო და დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი. ამის გამო, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შვედს "არასპორტული საქციელისთვის" ბრინჯაოს მედალი ჩამოართვა.

გია თვალაბეიშვილი

Beijing 2008

ფრენბურთი

# ოქრო გაინაწილეს

ბრაზილიის ქალ ფრენბურთელთა ნაკრები ოლიმპიურ ოქროს მედლებს თავის ისტორიაში პირველად დაეუფლა. ფინალში მათი მეტოქე აშშ-ის ნაკრები ამაოდ დაშვრა. ლათინური ამერიკის წარმომადგენლებმა ლამაზ სტილში ოთხ სეტში დაამარცხეს მოწინააღმდეგე - 25:15, 18:25, 25:13, 25:21.

ასევე ოთხი სეტი დასჭირდა ამავე ქვეყნების ვაჟ ფრენბურთელთა შორის ჩემპიონის გამოვლენას. აქ კი, უკვე ფორტუნა ამერიკელთა მხარეს იყო, რომლებმაც ოცწლიანი შესვენების შემდეგ ოლიმპიადის ოქროს მედლები დაისაკუთრეს - 20:25, 25:22, 25:21, 25:23.

ქალთა ბრძოლა ვაჟებისგან განსხვავებით ნაკლებად დრამატულად წარიმართა. ბრაზილიელთა უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მეორე სეტში განცდილი მარცხის მიუხედავად, მათ გამარჯვებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. პირველ სეტში **შეილა კასტროსა** და **ფაბიანა კლაუდინიოს** ყუმბარისებური დარტყმების წყალობით ბრაზილიელები დასაწყისშივე საგრძნობლად დაწინაურდნენ - 10:1. ასეთმა დასაწყისმა ამერიკელები შოკში ჩააგდო. მალე ანგარიში 20:11 გახდა და ბრაზილიელებისთვის კარგად დაწყებულის ბოლომდე მიყვანა მხოლოდ ტექნიკის საქმე იყო.

მეორე სეტში ამერიკელები გონს მოეგნენ, ნერვებიც მოთოკეს და **ლოგან ტომისა** და **დანიელა სკოტ-არუდას** ბრწყინვალე თამაშის წყალობით სეტი 25:18 მოიგეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოდნავ მოშვებულმა ბრაზილიელთა გუნდმა ბურთის მიღებისას უამრავი შეცდომა დაუშვა, თუმცა ეს ხარვეზი დანარჩენ სეტებში გამოასწორა და შედეგიც სახეზეა. მესამე პარტია ამერიკელებმა ფაქტობრივად უბრძოლველად დათმეს - 13:25. მეოთხეში კი კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს. ანგარიში 21:21 იყო, მაგრამ კასტრომ და კლაუდინიომ საჭირო მომენტში ისევ გამოავლინეს უმაღლესი კლასი, რასაც ზედიზედ ოთხი ქულის მოპოვება მოჰყვა.

*"თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი გუნდი საუკეთესოა მსოფლიოში. უბედნიერესი კაცი ვარ, რადგან ოთხი წლის შრომა დაგვიფასდა. ოლიმპიური ოქრო ჩვენია"*, - თქვა მატჩის შემდეგ ბრაზილიელთა თავკაცმა **ჟოზე რობერტო გიმარაეშმა.**

*"ბრაზილიელთა გუნდი მართლაც საუკეთესო იყო ოლიმპიადაზე. მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს. მეორე ადგილი ჩვენი გუნდისთვის ცუდი შედეგი არ არის. იმედი მაქვს, ამის შემდეგ ამერიკაში ქალთა ფრენბურთი კიდევ უფრო პოპულარული გახდება"*, - ოპტიმიზმი არ დაკარგა აშშ-ის ნაკრების დამრიგებელმა **პინგ ლანკმა.**

ბრაზილიისა და ამერიკის კაცთა გუნდების შეხვედრა, მათი ლიდერების **ჟიბასა** და **კლეიტონ სტენლის** დუელად გადაიქცა. უფრო ძლიერი და იღბლიანი ამერიკელი აღმოჩნდა. მისი უძლიერესი მოწოდებები და არანორმალური ძალის დარტყმები მოწინააღმდეგეს უაღრესად გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა. სულ სტენლიმ გუნდს 20 ქულა მოუტანა და ცხადია მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო.

პირველი სეტი ბრაზილიელებმა ჟიბასა და **ანდრე ჰელერის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოიგეს. ამის შემდეგ კი მთელი თავისი სიმძლავრით კლეიტონ სტენლი ამოქმედდა. მას მხარი **რეილი სალმონმა** და **დევიდ ლიმაც** აუბეს. მართალია, უშელავათო ბრძოლაში, მაგრამ ამერიკელებმა მომდევნო სამ სეტში მეტოქეს წარმატების მიღწევის შანსი არ დაუტოვეს.

*"წლეულს მსოფლიო ლიგა მოვიგეთ. ახლა ოლიმპიადა იყო მოსაგები და ამ მიზანსაც მივაღწიეთ. ეს ტიტული გუნდის ყველა წევრის თავდადებული შრომისა და ბრძოლის ნაყოფია. მადლობა მათ"*, - თქვა ამერიკელთა ზელანდიელმა მწვრთნელმა **ჰუგ მაკათჰეონმა.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



ტაეკვანდო

# ვალოდიამ მსაჯი გალახა



ანხელ მატოსის ლეგენდარული დარტყმა

სკანდალით დასრულდა ტაეკვანდოისტთა ოლიმპიური ტურნირი. მძიმე წონაში მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კუბელი **ანხელ ვალოდია მატოსი** ყაზახ **არმან ჩილმანოვს** ხვდებოდა. ბრძოლის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე კუბელი წინ იყო - 3:2. ამ დროს მან მოწინააღმდეგისგან მძიმე დარტყმა მიიღო და ტატამზე აღმოჩნდა. მატოსმა წამოდგომა ვერ შეძლო და ექიმის დახმარება მოითხოვა. შვედი არბიტრის **ჩაკირ ჩელბატის** აზრით, კუბელმა მებრძოლმა რეგლამენტით დაწესებულ დროზე მეტხანს ისარგებლა ექიმის დახმარებით და ამის გამო მატოსს დისკვალიფიკაცია მისცა. წესის მიხედვით, სამედიცინო ტაიმაუტი წუთზე მეტს არ უნდა გრძელდებოდეს.

კუბელს ეს არ მოეწონა, ფეხზე წამოხტა (თურმე შეძლებია!), ორჯერ ხელი ჰკრა მსაჯს, ბოლოს კი ტუჩებში წიხლი უთავაზა. ამის შემდეგ მატოსმა ტატამზე დააფურთხა და ის დარბაზიდან ძალით გაათრიეს. საცოდავ ჩელბატს ტუჩი გაუსკდა და ექიმებს რამდენიმე ნაკერის დადებამ მოუწიათ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სადისციპლინო კომისიამ სასწრაფოდ განიხილა ეს ინციდენტი და მატოსს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა.

სხვათა შორის, კუბელი ტაეკვანდოს სამყაროში ცნობილი სპორტსმენია. 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა და მაშინ ის გამარჯვება ოლიმპიადის გახსნის დღეს გარდაცვლილი დედის ხსოვნას მიუძღვნა. ათენში მატოსი მე-11 ადგილზე გავიდა.

**გია თვალაბეიშვილი**

ცურვა

# და მაინც ფელპსი

საათებისა და წამზომების მწარმოებელმა ფირმა "ომეგამ" სიცხადე შეიტანა იმ საკამათო საკითხში, რომელიც 100 მეტრ დისტანციაზე ბატერფლაით ცურვაში გამარჯვებულს შეეხება.

ალბათ, გახსოვთ ის გაცურვა, როცა სერბი **მილორად კავიჩი** და ამერიკელი **მაიკლ ფელპსი** თითქმის ერთდროულად მივიდნენ ფინიშთან. სერბს თითქმის მოგებული ჰქონდა დისტანცია, რადგან ის უკვე აუზის კიდეს ეხებოდა, ფელპსს კი ბოლო მოძრაობა არ ჰქონდა დასრულებული. ფინიშის შემდეგ კი გაირკვა, რომ პეკინის თამაშების გმირს კავიჩისთვის 0.1 წამი მოუგია.

ცურვის წესების თანახმად, გაცურვას იგებს ის, ვინც აუზის კიდეზე დამონტაჟებულ სენსორულ პანელს პირველი ადებს ხელს. თანაც ხელის დადება 3 კილოგრამი წონის ეკვივალენტი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში ეს პირველმა ფელპსმა გააკეთა.

*"ფოტოებზე აშკარად ჩანს, რომ ფელპსი მთელი ძალით აწვება პანელს, იმ დროს, როცა კავიჩი მხოლოდ ოდნავ ეხება მას"*, - ამბობს "ომეგას" წარმომადგენელი **სილვიო კიანეზე**. ამ გაცურვამ ფელპსს ოქროს მეშვიდე მედალი მოუტანა, ხოლო მეორე დღეს 4x100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში მერვე გამარჯვება მოიპოვა და **მარკ სპიცის** ყველა დროის რეკორდი დაამხო.

კიანეზეს სიტყვებით, სენსორული პანელის მოტყუება შეუძლებელია. ის სამი ან მეტი კილოგრამი დაწოლით აქტიურდება: *"საკმარისი არ არის პანელზე მხოლოდ თითის მიდება, მას ხელით კარგად უნდა დააწვე. გაცურვის შემდეგ ეს ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენით კავიჩსა და მის მწვრთნელს"*.

"ომეგას" ოფიციალურმა წარმომადგენელმა ისიც განმარტა, რომ ფინიშის ფოტოებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში იყენებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა იმ მოცურავის დისკვალიფიკაციის საკითხი ირკვევა, რომელიც ესტაფეტის დროს წყალში იმაზე ადრე გადახტა, ვიდრე წინა მონაწილე აუზის კიდეს შეეხო.

ცნობისთვის, "ომეგა" ფელპსის პირადი სპონსორი გახლავთ.

**გია თვალაბეიშვილი**

ფეხბურთი

# ფეხბურთი ყველაზე სანახაობრივი იყო

როგორც პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, გუშინ დასრულებულ თამაშებზე დასწრების მიხედვით ყველაზე პოპულარული სახეობა ფეხბურთი ყოფილა. საერთო ჯამში კაცებისა და ქალების ტურნირს 2 მილიონ 140 ათასი ადამიანი დაესწრო. ეს ოლიმპიადების ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია - წინა რეკორდი 1.9 მილიონს უდრიდა.

მამაკაცთა ტურნირის მატჩებზე მილიონ 400 ათასი მაყურებელი მივიდა. ასეთი რაოდენობის ხალხის მოზიდვა პეკინში ჩასული ვარსკვლავების წყალობით მოხდა - ყველას სურდა **ლეო მესისა** და **რონალდინიოს** ხილვა.

არგენტინისა და ნიგერიის ფინალურ მატჩში ერთი ისტორიული შემთხვევაც დაფიქსირდა. ფიფას ნებართვით მატჩი ორჯერ - 30-ე და 70-ე წუთებზე შეწყდა, რათა მოთამაშეებს წყურვილის მოკვლის საშუალება ჰქონოდათ.

*"ჰაერის ძალიან მაღალი ტემპერატურის გამო, ფიფამ ორივე გუნდის ხელმძღვანელობასთან და ექიმებთან კონსულტაციები გამართა და გადაწყვიტა ტაიმებში მცირე შესვენებები გამოეცხადებინა. ასეთი სიცხის პირობებში მოთამაშეებისთვის ყველაზე სახიფათოდ ყოველი ტაიმის ბოლო 15 წუთი ითვლება"*, - თქვა ფიფას ერთ-ერთმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ფინალური მატჩის დროს ტემპერატურა 42 გრადუსს აღწევდა.

**გია თვალაბეიშვილი**

მხატვრული ტანვარჯიში

# კანაევას ერა დაიწყო

დიახ, მსოფლიო მხატვრულ ტანვარჯიშში რუსი ტანმოვარჯიშე **ევგენია კანაევას** ერა დაიწყო. 18 წლის ომსკელი გოგონა პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონი დიდოსტატური შედეგით გახდა. მან უახლოეს მდევრებს - ბელარუს **ინა ჟუკოვასა** და უკრაინელ **ანა ბესონოვას** თითქმის ოთხი ქულით გაუსწრო, რაც ასეთი მაღალი რანგის ტურნირებზე ფაქტობრივად არ ხდება ხოლმე.

ოლიმპიადას წინ უძღოდა სკანდალების სერია. საერთაშორისო ფედერაციამ (FIG) ჯერ უკრაინელთა მწვრთნელ **ირინა დერიუგინას** მისცა რვაწლიანი დისკვალიფიკაცია, რაც მერე ოთხ წლამდე შეამცირა. შემდეგ იგივე სანქცია რუსეთის ნაკრების მწვრთნელ **ირინა ვინერს** დაემუქრა, თუმცა მხოლოდ გაფრთხილება აკმარეს. ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე კი FIG-მა მსაჯთა ბრიგადის ოთხი არბიტრი გამოცვალა. ისრაელის, აზერბაიჯანის, კორეისა და კანადის მსაჯები გერმანელმა, ბერძენმა და ორმა ჩინელმა ჩაანაცვლეს.

ყოველივე ეს შარშან, სექტემბერში, საბერძნეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის გამოძახილი გახლდათ. მაშინ მსაჯობით უკმაყოფილო FIG -ის პრეზიდენტი აღშფოთებას ვერ მალავდა. ახლა ძნელი სათქმელია, რამდენად იმოქმედა ყოველივე ამან მსაჯობის ხარისხზე, მაგრამ ერთი რამ ფაქტია - რომ არა ეს ცვლილებები, ბელარუს ინა ჟუკოვას მედლის აღების იოტისოდენა შანსიც არ ექნებოდა.

რაც შეეხება ევგენია კანაევას, ის დღემდე ევროპის მოქმედი აბსოლუტური ჩემპიონი გახლდათ, რასაც ოლიმპიური ოქრო მიუმატა. თუ მის ასაკსა და მონაცემებს გავითვალისწინებთ, კანაევას, სულ ცოტა, ოთხი წელი კონკურენტი არ ეყოლება. არც ამჟამად მოასპარეზე ტანმოვარჯიშეებსა და არც იუნიორთა შორის მსგავსი პოტენციალის ჯერჯერობით არავინ ჩანს.

მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოს მფლობელის, უკრაინელი **ანა ბესონოვას** მესამე ადგილი. მისი ოსტატობისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ანასგან ქომაგები მხოლოდ ოქროს მედალს ელოდნენ. საერთოდ უმედლოდ დარჩა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, რუსი **ოლგა კაპრანოვა.**

ასევე მოულოდნელი შედეგი აჩვენა ჯგუფურ ვარჯიშში იტალიის ნაკრებმა. აპენინელები მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. ჩემპიონის ტიტული კი რუსების გუნდმა მოიპოვა. ვერცხლის მედლები ჩინელებს ერგოთ, რომლებსაც აქამდე არასდროს არაფერი მოუგიათ. ამ მიღწევას სპეციალისტებმა უკვე ისტორიულიც კი უწოდეს. შეძლებენ თუ არა აზიელები ელიტაში ადგილის შენარჩუნებას, ამას, ცხადია, მომავალი გვიჩვენებს. მესამეზე, სრულიად დამსახურებულად, ბელარუსები გავიდნენ.



ევგენია კანაევა

**ბესიკ ჯანგავაძე**

# Beijing 2008

კალათბურთი

# ოქრო სახლში მიდის



ბოლო წლებში ქალთა კალათბურთში ჩამოყალიბებული ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. ზედიზედ მეოთხედ ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკის ნაკრები გახდა და ზედიზედ მესამედ ამ გუნდმა ფინალში ავსტრალიას მოუგო, თანაც სამივე შემთხვევაში ანგარიშში სხვაობა 10 ქულას აჭარბებდა.

რაც მთავარია, ოთხივე ოლიმპიადაზე ამერიკელთა რიგებში ირიცხებოდა ყველა დროის საუკეთესო ქალ კალათბურთელად აღიარებული **ლიზა ლესლი**. მან გაიმეორა თავისი ყოფილი თანაგუნდელის **ტერეზა ედვარდსის** მიღწევა, რომელიც ასევე ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონად მოიხსენიება.

თანაც ვეტერანი შემადგენლობის შესალამაზებლად არ წაუყვანიათ პეკინში. მართალია, მას ძველებურად დიდ სათამაშო დროს აღარ უთმობდნენ, მაგრამ ლესლის როლი ამერიკელთა წარმატებაში მაინც დიდი იყო. ეს თუნდაც ფინალურ მატჩში გამოჩნდა, სადაც მან 14 ქულის დაგროვება მოახერხა.

ლიზა ერთადერთი კალათბურთელი იყო ამერიკელთა სასტარტო ხუთეულიდან, რომელსაც თამაში წაუვიდა. გუნდის დანარჩენმა ლიდერებმა ნელნელა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლეს და გადამწყვეტი სიტყვა რეზერვის კალათბურთელებმა თქვეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამერიკის სათადარიგოებმა 59 (!) ქულა დააგროვეს, იმ დროს, როცა ავსტრალიის რეზერვის მონაგარი მხოლოდ 11 ქულას შეადგენდა.

მატჩის გადამწყვეტ მომენტებში სწორედ აშშ-ის სათადარიგოებმა თქვეს საბოლოო სიტყვა. მაგალითად, მეორე მეოთხედის სტარტზე ამერიკამ 10 უპასუხო ქულა გააკეთა და აქედან რვა ქულა **კენდის პარკერის** ანგარიშზე იყო. მისმა ასეთმა თამაშმა დარბაზში მყოფი "დრიმ თიმის" წევრების აღფრთოვანება გამოიწვია - **ლებრონ ჯეიმსი, კობი ბრაიანტი** და სხვები ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს პარკერს. ამ გაქცევის შემდეგ ამერიკელთა უპირატესობამ 17 ქულა შეადგინა და აქედან მოყოლებული სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა.

ცნობისთვის, პირველ ტაიმში აშშ-მ თამაშიდან ტყორცნების 63 (!) პროცენტი (30-დან 19) გამოიყენა, იმ დროს, როცა ავსტრალიის ანალოგიური მაჩვენებელი 22 პროცენტი (37-დან 8) იყო, რაც მატჩის ბოლოსთვის სულ ოდნავ გაიზარდა და საბოლოოდ 25 პროცენტი (76-დან 19) შეადგინა. სწორედ ეს დაასახელა მარცხის მთავარ მიზეზად ავსტრალიელთა დამრიგებელმა **იან სტირლინგმა**.

ლიზა ლესლიმ თავისი ოლიმპიური კარიერა მეოთხე პერიოდის მეოთხე წუთზე დაასრულა, როცა ხუთი პერსონალურით დატოვა მოედანი. ამერიკამ კი ოლიმპიადებზე მოგებათა სერია 33 მატჩამდე აიყვანა. უკანასკნელად ამ გუნდმა 1992 წელს, ბარსელონას თამაშებზე წააგო. ეს ნახევარფინალურ ეტაპზე მოხდა.

■ ■ ■

მსოფლიოს ორი ჩემპიონატისა და ერთი ოლიმპიადის წაგების შემდეგ ამერიკის მამაკაცთა ნაკრებმა, როგორც იქნა, ისევ დაიკავა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური. ოლიმპიადის წინ კობი ბრაიანტი და **კარმელო ენტონი** აცხადებდნენ, რომ ოქროს გარეშე სამშობლოში არ დაბრუნდებოდნენ. ესპანეთი ბოლო წუთებამდე ისე ლამაზად ებრძოდა "დრიმ თიმს", რომ კობისა და კარმელოს ევროპაში სამუდამოდ დასახლების პერსპექტივა გაუჩნდათ.

ამერიკელთა დამრიგებელს **მაიკ კრჟიჟევსკის** ბოლო წლებთან შედარებით ყველაზე ვარსკვლავური შემადგენლობა ჰყავდა შეკრებილი, რომელიც ბევრის აღიარებით, თვითონ უნდა ყოფილიყო საკუთარი თავის მეტოქე. ეს აქსიომა დიდი ხანი მუშაობდა - ტურნირის დასკვნით ეტაპებამდე. "დრიმ თიმი" პირველად არგენტინამ აანერვიულა, რომელიც მეტოქეს ორი შორეული ტყორცნის დისტანციაზე მიუახლოვდა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო.

ოთხი წლის წინ, ათენის ოლიმპიადაზე ამერიკამ საბერძნეთთან ნახევარფინალი ლია, შედეგიან კალათბურთში წააგო. სწორედ ასეთი თამაში გაჩაღდა გუშინდელ ფინალში.

ამერიკელი გულშემატკივარი თავიდანვე ანერვიულდა. ამის მიზეზი ჰქონდა. ფინალი ახალი დაწყებული იყო, როცა კრჟიჟევსკიმ სათადარიგოთა სკამზე გაუშვა კობი, ლებრონი და **დუაიტ ჰოვარდი**. ეს დაგეგმილი შეცვლები არ ყოფილა, უბრალოდ, ისინი მეტოქეებს ვერ უმკლავდებოდნენ. კობი წინა მატჩებში შეუმჩნეველმა **ხუან კარლოს ნავარომ** გაანვალა, ლებრონი - **კარლოს ხიმენესმა**, რომელიც "თავხედურად" იქცეოდა ფარქვეშ, დუაიტი კი **პაუ გასოლს** ვერ უმკლავდებოდა. ბოლოს ასევე სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა **ჯეისონ კიდიც**, რომელიც პირზე რძეშეუმშრალმა ლლაპმა **რიკი რუბიომ** "ჩამოწერა".

ესპანეთი, რომელიც თითქმის მთელი პირველი მეოთხედი ლიდერობდა, ხუთი ქულით (მატჩში ევროპელების ყველაზე დიდი უპირატესობა) გაიჭრა წინ. ამერიკას მშველელად **დუეინ უეიდი** მოევლინა, რომელსაც მეოთხედის ბოლოსკენ 13 ქულა და 2 ჩაჭრა დაუგროვდა. "დრიმ თიმი" კი 7 ქულით გავიდა წინ.

პაუზის შემდეგ კრჟიჟევსკიმ ბრაიანტი დააბრუნა მოედანზე და აშშ-ის უპირატესობა ცოტათი კიდევ გაიზარდა. მაგრამ ნავარო კვლავინდებურად ზუსტად ისროდა თავის საყვარელ "პარაშუტებს", რუბიო **კრის პოლსა** და **დერონ უილიამსს** უმკლავდებოდა და ანგარიშში სხვაობა სადღაც 10-12 ქულის ფარგლებში მერყეობდა. "დრიმ თიმი" 20-30 ქულით წინ გასვლაზე ვერც კი იოცნებებდა.

მაყურებელი ძალიან კმაყოფილი იყო. ამერიკამ პირველ ტაიმში 69 (!) ქულა დააგროვა, ესპანეთი კი მისთვის ღირსეულ ანგარიშს ინარჩუნებდა. უკვე რეალურად შეიძლებოდა იმის დაჯერება, რომ თამაშის ბედი ბოლო წამებზე გაირკვეოდა.

მეორე ტაიმშიც კარგა ხანი ასე გრძელდებოდა. ესპანეთი ვერ ეწეოდა მეტოქეს, თუმცა ერთხელ ორ ქულამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა. **რუდი ფერნანდესმა** (ტყუილად არ აქტიურობდა "პორტლენდი" ამ კალათბურთელის ხელში ჩასაგდებად) ბრწყინვალე პასით პაუ გასოლს ჩააგდებინა, შემდეგ კი სამქულიანი გამოიყენა და ანგარიში გახდა 89:91.

ერთი შორეული ტყორცნა იყო საჭირო წინ გასასვლელად, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ამერიკა არ ცდებოდა. როგორც ჩანს, ბრაიანტს ძალიან არ უნდოდა ევროპაში დარჩენა და ამიტომაც ბოლო ორ წუთში მთლიანად თავის თავზე აიღო თამაში. ყველა მნიშვნელოვანი ქულა სწორედ კობის ანგარიშზეა, თუ არ ჩავთვლით ერთ მომენტს, როცა უეიდმაც ძალიან საჭირო შორეული ტყორცნა გამოიყენა.



საბოლოოდ, ამერიკამ გამარჯვებისთვის 11 ქულა იკმარა და მეცამეტედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

**გია თვალაბეიშვილი**

---

თენგიზ გაჩეჩილაძე
პეკინიდან

# ლონდონში შეხვედრამდე!



**გუშინ** პეკინის ოლიმპიადის ესტაფეტა ლონდონმა გადაიბარა. დახურვის ცერემონია ადგილობრივი დროით საღამოს 8 საათზე გაიმართა. 8 - ჩინელებისთვის იღბლიანი ციფრია, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე მიაჩნიათ: 8 აგვისტოს, 8 საათსა და 8 წუთზე გაიხსნა ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშები, რომელმაც ჩინეთს 100 მედალი მოუტანა. მართალია, საერთო რაოდენობით (110) მათ ამერიკელებმა აჯობეს, მაგრამ ოქროს მედლების მხრივ ჩინელებს ბადალი არ ჰყავდათ...

მსოფლიოს რჩეულ სპორტსმენთა თავყრილობა ჭეშმარიტად გრანდიოზულ სანახაობად იქცა. გრანდიოზული იყო გუშინდელი საღამოც. ჯერ მარათონში გამარჯვებული და პრიზიორები დააჯილდოვეს. ოლიმპიური მედლები მათ პირადად სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა გადასცა. მერე კი სარბიელზე კვლავ გამოჩნდნენ ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნების დელეგაციები, თავიანთი სახელმწიფო დროშებით. მადლობა საბერძნეთს, ამ დიდებული ასპარეზობის დამკვიდრებისთვის. ეს ქვეყანა ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას და აკი ერთხელაც მიაგეს ეს პატივი ოლიმპიადის საზეიმო დახურვისას: იქ, სადაც ფრიალებდა საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობისა და მასპინძლის სახელმწიფო ალმები, საბერძნეთის ჰიმნის თანხლებით ამ ქვეყნის ეროვნული დროშაც აღიმართა. ჟაკ როგმა მადლობა გადაუხადა თამაშების მონაწილეებს, ორგანიზატორებსა და XXIX ოლიმპიადა დახურულად გამოაცხადა.

...არენაზე შემოაქვთ დიდი ბრიტანეთის, ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძლის სახელმწიფო დროშა, რომელიც, ასევე ჰიმნის ფონზე, ადგილს იკავებს საბერძნეთის, სოკ-ისა და ჩინეთის ალმების გვერდით. ამის შემდეგ, ტრადიციული სცენარის მიხედვით, ეშვება ხუთრგოლიანი ალამი და ასევე საზეიმოდ ჟაკ როგი მას მომავალი თამაშების მასპინძელს გადასცემს. და ზუსტად ამ დროს, სტადიონის თავზე სალუტებით ხუთი რგოლი ისახება...



ყველა ამგვარი ღონისძიების გახსნაცა და დახურვაც ორიგინალურობით გამოირჩევა. ეს არცაა გასაკვირი. აკი ადრე ვწერდით კიდეც, რომ ეს პროცესიც ერთგვარი შეჯიბრებაა. პეკინის ოლიმპიადის დახურვაც გამოირჩეოდა ორიგინალური პროგრამით. ალბათ, ყველას ენიშნა, რა შინაარსი იყო ჩადებული სტადიონზე შემოსულ ავტობუსზე გაკეთებულ წარწერაში: „ლონდონი-ბეიჯინგი-ლონდონი" და „ლონდონი 2012". მერე მოხდა საოცრება - ავტობუსი დეკორაციად გარდაისახა და ცენტრიდან ამოიზიდა პირამიდა, რომლის წვერზე გამოჩნდა მომღერალი, კიდეებზე კი აკრობატული ვარჯიშები სრულდებოდა...



ამისთვის პეკინში საგანგებოდ ჩამოვიდა ლეგენდარული ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი. სადაც ბექჰემია, იქ ბურთიცაა და გუშინ საღამოს, ალბათ, ვიღაც გამორჩეულად ბედნიერი იყო, როცა ბექჰემის მიერ ტრიბუნებისკენ გატყორცნილ ბურთს დაეუფლა. ძალზე შთამბეჭდავი იყო, როცა „ჩიტის ბუდის" (ხომ გახსოვთ, ასე ჰქვია მთავარ არენას) გადახურვის მთელ შიდა პერიმეტრზე, ერთი-მეორის მიყოლებით, დაიწყო ოლიმპიადის დღეების ვიდეოათვლა, თავისი ღირსსახსოვარი მოვლენებით: 8-დან 24 აგვისტომდე. ბოლო დღე სტადიონის თავზე მოგიზგიზე ოლიმპიურ ჩირალდანთან დასრულდა. ამის შემდეგ ოლიმპიური ცეცხლი ნელნელა ჩაქრა. ოლიმპიადა დასრულდა და ის უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ბოლოს კი დავძენთ: როგორც თამაშების საზეიმო დახურვისას საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ კიმ აღნიშნა, პეკინში საასპარეზოდ ჩამოვიდა 204 ქვეყნის სპორტული დელეგაცია. თამაშების დღეებში დამყარდა 100-მდე ოლიმპიური და 38 მსოფლიო რეკორდი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# საქართველოს ნაკრები 2008 წლის ოთხივე მატჩს სტუმრად ითამაშებს

გუშინ ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე საქართველოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრესრელიზი გამოქვეყნდა. კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა (www.gbf.ge) შეავსო. გთავაზობთ ამ დოკუმენტის თარგმანს.

ფიბა-ევროპამ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ეხება. კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, ევროპული კალათბურთის ხელმძღვანელობამ თბილისში ჩასატარებელი ევროსაკვალიფიკაციო მატჩები მეტოქეთა ქვეყნებში გადაიტანა.

*"საქართველოში მიმდინარე დაძაბული პოლიტიკური მოვლენების გამო, ფიბა-ევროპამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გადაიტანოს ამ ქვეყანაში ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის მატჩები. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო ევროსაკვალიფიკაციო შეხვედრებს წლეულს შინ არ უმასპინძლებს."*

ის მატჩები, რომლებიც საქართველოს ნაკრებს მომავალ წელს ლუქსემბურგსა და სლოვაკეთში უნდა ეთამაშა, 2009 წელს საქართველოში გაიმართება. მატჩების ჩატარების ზუსტი თარიღები მოგვიანებით დადგინდება. 5 სექტემბერს ლუქსემბურგს ლუქსემბურგში შევხვდებით, სლოვაკეთს კი - 13 სექტემბერს დავუპირისპირდებით სლოვაკეთში.

*„როცა პოლიტიკური ვითარება არასტაბილურია, ჩვენ რისკზე ვერ წავალთ. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ლუქსემბურგისა და სლოვაკეთის ნაკრებებთან შეთანხმებისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით"*, - განაცხადა ფიბა-ევროპის გენერალურმა მდივანმა **ნარ ზანოლინმა**, - ასევე შეთანხმებულია სხვა მსხვილ საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან. აღსანიშნავია, რომ მშვიდობის დამყარებამდე უეფაც და ფიფაც უარს ამბობენ საქართველოში საერთაშორისო მნიშვნელობის მატჩების გამართვაზე.

სუმო

# თავს მიხედეთ, თავს!

იაპონიის სუმოს ასოციაციამ (ისა) ქართველ სუმოისტს **ლევან ცაგურიას (კოკაი)** მკაცრი შენიშვნა მისცა. იაპონელთა გულისწყრომა ქართველმა ფალავანმა ტოკიოში რუსეთის საელჩოსთან გამართულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის გამო დაიმსახურა. აქცია საქართველოში რუსული აგრესიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

იაპონიის სუმოს ასოციაციის ხელმძღვანელ **კიტანოუმის** კოკაი თავისთან დაუბარებია და დისციპლინის დარღვევის გამო უსაყვედურია, აქაოდა, ჯანმრთელობას არ უფრთხილდებიო. საქმე ასე ყოფილა: ქართველი სუმოისტი ბოლო დროს გულს უჩიოდა და ტოკიოს ერთ-ერთ კლინიკაში სამედიცინო შემოწმებას გადიოდა, რის გამოც მონაწილეობა ვერ მიიღო საგამოფენო ტურნირებში.

*„მაშინაც კი, როცა ბრძოლა მშვიდობისთვის მიმდინარეობს, ტური მაინც ტურია! თქვენი შეშფოთება გასაგებია, მაგრამ საკუთარ ჯანმრთელობას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ"*, - უთქვამს კიტანოუმის კოკაისთვის. ცოტა უცნაური მზრუნველობა კი გამოდის, მაგრამ სხვისი ჭირი-ღობეს ჩხირიო, ბევრისთვის დამახასიათებელია და ნუ გაგვიკვირდება, თუკი იაპონელი ჩვენსავით არ ჩაიხლეჩს ხმას ყვირილით - რუსო, გაეთრიე საქართველოდან!

ინფორმაციის წყარო ქართველი ფალავნის სხვა სახით დასჯის შესახებ არ იტყობინება. იმედია, არანაირი ფინანსური ან სპორტული სასჯელი არ ემუქრება ჩვენებურს და ჯანმრთელობის მხრივაც ყველაფერი წესრიგში ექნება - სულ მალე სექტემბრის ბაშო უნდა დაიწყოს და მხნეობა და ჯანი კოკაის ნამდვილად ესაჭიროება.

**ზვიად შათირიშვილი**

ჭადრაკი

# უცნაური აღმართ-დაღმართი

თურქეთის ქალაქ მერსინში დასრულდა 16-წლამდელთა საჭადრაკო ოლიმპიადა. ტურნირი გუნდური შეჯიბრებაა და რამდენიმე ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა; ზოგიერთ ქვეყანას ორი და მეტი გუნდიც კი ჰყავდა წარმოდგენილი. საქართველოს ნაკრები ერთი გუნდით თამაშობდა. მეტზე ალბათ ჩვენში არც არავის უფიქრია, რადგანაც ხარჯია გასაწევი და საქართველოს ჭადრაკის ღარიბი ფედერაცია ვერაფრით შეძლებდა სხვათა დაფინანსებას. ის კი არადა, სათადარიგო მოთამაშეც კი არ აახლეს გუნდს, მაშინ როცა მარქაფი ყველა დანარჩენს ჰყავდა. მიღებული შედეგიც ალბათ ლოგიკურია - შემცვლელი როცა არ გყავს, ფსიქოლოგიური ტვირთიც იზრდება და ფიზიკურ გადაღლასთან ერთად ბევრად მეტ დისკომფორტს განიცდი.

განთესვით საქართველოს ნაკრები მეექვსე იყო. თავიდან კარგად დაიწყეს, მაგრამ შუა წელში ცოტა აურიეს. მეშვიდე ტურისთვის შედარებით გამოსწორეს მდგომარეობა და საპრიზო სამეულში შესვლის შანსი გაიჩინეს; თუ იღბალიც ხელს შეუწყობდა, არც პირველობა იყო გამორიცხული, ამისთვის კი დარჩენილ ოთხ ტურში დიდი ანგარიშებით უნდა გაემარჯვა გუნდს. ამოცანა ძალიან რთული იყო და ვერ შევასრულეთ, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ვერც საპრიზოზე გავედით და რამდენიმე დასანანი და უცნაური მარცხი ვიგემეთ. მეშვიდე ტურში ინდოელთაგან გავნადგურდით - 0.5:3.5. ინდოელები ძლიერები კი არიან, მაგრამ ასეთ მარცხს მაინც ვერ ვიფიქრებდით. დანაკარგი მერვე ტურში ავანაზღაურეთ, როცა სლოვაკთა საკმაოდ ძლიერი გუნდი მშრალზე დავტოვეთ - 4:0. მეცხრე ტურში კი ჩვენი მუდმივი და ყველგან და ყველაფერში პრინციპული მეტოქე - სომხეთი დავამარცხეთ - 2.5:1.5. ამ წარმატებებმა საპრიზოს იმედები გაგვიჩინა, რადგანაც ბოლო ტურში თურქეთის A ნაკრებს ვხვდებოდით. პირველ დაფაზე თეთრი ფერი ქართველების იყო და დიდი ანგარიშით მოგებასაც ველოდით, მაგრამ კვლავ უსიამოვნო სიურპრიზი მივიღეთ - მოგებას ვინ ჩივის, სულაც წავაგეთ - 1.5:2.5. თურქეთის ნაკრებთან მარცხი ალბათ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ უყურადღებობამ ასე იცის - სხვა მიზეზს ნაკლებად შეიძლება დაბრალდეს ხელმოცარვა - ოსტატობით ქართული ოთხეული ნამდვილად სჯობს მეტოქეს.



მარცხნივ გიორგი ნიკოლაშვილი

უცნაური შედეგები სხვაგანაც დაფიქსირდა - სომხებმა სლოვაკებთან ფრედ ითამაშეს ბოლო ტურში, მეშვიდე ტურში კი აზერბაიჯანელებთან 1:3 დამარცხდნენ; ინდოეთმა ინგლისს 3.5:0.5 აჯობა, თურქეთის A ნაკრებთან კი დამარცხდა - 1.5:2.5. გასაოცარი ის არის, რომ ინდოეთმა მაინც ყველას გაუსწრო და ჩემპიონი გახდა - 28.5 ქულით. მათი მთავარი მეტოქეები რუსები იყვნენ, მაგრამ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა აურია: მეშვიდე ტურში ფილიპინებთან 1:3 წააგო; მერვეში სლოვაკეთი 4:0 დაამარცხა; მეცხრეში 3.5:0.5 მოუგო თურქეთის A ნაკრებს და ბოლო ტურში 3:1 მაინც რომ ემარჯვა, ჩემპიონი ხდებოდა. აზერბაიჯანელები კი დაამარცხეს, მაგრამ არა სასურველი ანგარიშით - 2.5:1.5. საბოლოოდ ინდოეთმა და რუსეთმა ქულათა ერთნაირ რაოდენობას მოუყარეს თავი - 28.5. მათ შორის უპირატესი კოეფიციენტმა გამოავლინა - როგორც უკვე ვთქვით, ეს გუნდი ინდოეთია.

მესამე ადგილზე ფილიპინებია 27 ქულით. მეოთხეზე აზერბაიჯანი გავიდა - 24.5; მეხუთეზე სომხეთია 24 ქულით და ამდენივეთი მეექვსე ადგილი ერგო საქართველოს.

ოლიმპიადაზე საუკეთესოები ვლინდებიან დაფების მიხედვითაც. პირველ სამ დაფაზე თავმოსაწონი არაფერი გვაქვს, მეოთხეზე კი მცირე ოქროს მედალი მოიპოვა **გიორგი ნიკოლაშვილმა**. გიორგიმ 10 პარტიიდან შვიდში იმარჯვა, ორში ქულა გაიყო და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

**ზვიად შათირიშვილი**

სეოკ. საპრეზიდენტო რბოლა

# კენჭს ლევან ახვლედიანიც იყრის



ლევან ახვლედიანი

ოლიმპიური თამაშების საზეიმო დახურვის ცერემონიის შემდეგ, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა** შემდეგი განგვიცხადა:

*„პეკინის ოლიმპიადის მიმდინარეობამ, აქაურმა სიტუაციამ, კიდევ ერთხელ განმიმტკიცა აზრი, რომ სეოკ-ის პრეზიდენტის არჩევნებში ვიყარო კენჭი. ოფიციალურად ვაცხადებ, რომ საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას ვაპირებ".*

ლევან ახვლედიანი მეორეა, ვინც ოფიციალურად განაცხადა, რომ მზადაა სეოკ-ის პრეზიდენტობისთვის იბრძოლოს. პირველი **გია ნაცვლიშვილი** იყო, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ამასთან, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გოგი თოფაძემ** ოლიმპიადამდე ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ საკუთარი კანდიდატურის წარდგენაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ოლიმპიადაზე ქართული დელეგაციის მიერ ნაჩვენები შედეგების მიხედვით მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში კანდიდატთა დარეგისტრირების ბოლო ვადა 29 აგვისტოა.

კარატე

# კახა ბასილია მსოფლიო ჩემპიონობისათვის მიღებულ 3000 ევროს ცხინვალიდან დევნილებს ურიცხავს



კახა ბასილია

გასულ უქმეებზე საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციამ დუბლინში მსოფლიო საბრძოლო ხელოვნებათა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა, სადაც 25 წამყვანი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები იბრძოდნენ. მსოფლიო ჩემპიონატი საკმაოდ რთული მოსაგები იყო, მაგრამ **კახა ბასილიამ** შესანიშნავად იასპარეზა, უმაღლესი ქულა მიიღო და ოქროს მედალი და საპრიზო თანხა - 3 000 ევროც ღირსეულად ერგო!

*„ბედნიერი ვარ, რომ ამ მძიმე ჟამს საქართველოს კიდევ ერთი გამარჯვება მოვუტანე. ჩემი ქვეყნის დროშა ამაყად ფრიალებდა და ჩვენს მეგობარ ევროპაში ჰიმნიც აჟღერდა. ამ გამარჯვებას საქართველოს მთლიანობას ვუძღვნი და ქედს ვიხრი ჩემი სამშობლოს დამცველი ბიჭების წინაშე. ვეხმიანები საქართველოს სიამაყეებს – ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულებს და მონაწილეებს! - თქვენი თითოეული მედალი და წარმატება ქართველი ხალხისთვის საკმაოდ ძვირფასია - ბრძოლისა და ერთიანობის სტიმულის მომგვრელი! თქვენ გვერდით იგულეთ საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია და თქვენი მონა-მორჩილი. მინდა, ჩემს თანამემამულეებს ვუთხრა: ცხინვალის და გორის რეგიონებიდან, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი მოსახლეობის პრობლემა ჩემიც არის და სრულიად ვითავისებ... ძალიან ვწუხვარ მომხდარის შესახებ, მაგრამ საქართველო გაიმარჯვებს და გაბრწყინდება!*

*გადავწყვიტე, რომ 3 000 ევრო, რომელიც პრიზად მერგო, სრულად გადავრიცხო დევნილთა დახმარების ფონდში. საქართველოს მდგომარეობით შეწუხებულმა ჩემმა კოლეგებმა - მსოფლიოს საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციებმა, პრეზიდენტებმა, ვინც კი ამ პერიოდისთვის აქ იმყოფება, ერთხმად გამოთქვეს სურვილი, საკმაოდ სოლიდური თანხები ჩარიცხონ იმ ახალ საქველმოქმედო ფონდში, რომელსაც ჩამოსვლისთანავე დავაფუძნებ"*, - განაცხადა დუბლინში სატელეფონო საუბრისას საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

ასე რომ, საქართველოს რეალურად ჰყავს ერთგული მეგობრები ევროპასა და მთელ მსოფლიოში! მიხარია, რომ ქართულ კარატეს დიდი ავტორიტეტი აქვს და მეგობართა სიმრავლეც ამის დასტურია!

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
*საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრესმდივანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

# წარუმატებელი უქმეები


გია კვარაცხელიას (თეთრ მაისურში) საგოლე დარტყმა

**გასული** უქმეები ქართველი ლეგიონერებისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, გასულ უქმეებზე ერთადერთი ქართული გოლი დაფიქსირდა - წინა ტურის დარად „მტზ-რიპოს" ნახევარმცველმა გია კვარაცხელიამ გუნდის გამარჯვებას დაუდო სათავე. გოლის გარდა ჩვენებურთა ანგარიშზე ერთი საგოლე პასიცაა. ილია კანდელაკმა ზუსტი პასით"შტურმის" გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეიტანა.

საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენებურთაგან განვლილ ტურში ბევრ ფეხბურთელს არც უთამაშია.

## ინგლისი

პრემიერლიგაში მეორე ტური ჩატარდა და **ზურაბ ხიზანიშვილს** „ბლექბერნის" რიგებში ჯერ არ უთამაშია. თუმცა თამაშს ვინ ჩივის... გასულ უქმეებზე „ბლექბერნი"-"ჰალ სიტის" მატჩში (1:1) ხიზანიშვილი მატჩის განაცხადშიც არ ყოფილა.

## გერმანია

მეორე ტური ჩატარდა გერმანულ ბუნდესლიგაშიც. **ლევან კობიაშვილის** „შალკემ" „ვერდერთან სტუმრად 1:1 ითამაშა. კობი სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე 90 წუთი გაატარა, მაგრამ ისე ვერ გაისარჯა, როგორც სჩვევია. ქართველის გარჯა გერმანელმა მიმომხილველებმა 4 ბალით შეაფასეს.

„კარლსრუე" ჰამბურგში **ალექსანდრე იაშვილის** გარეშე 2:1 დამარცხდა. იაშვილი სათადარიგოთა შორის იყო.

„ფრაიბურგის" განაცხადში კვლავ არ ყოფილა შემტევი ნახევარმცველი **დავით თარგამაძე**. ფრაიბურგელებმა „ოსნაბრიუკთან" სტუმრად 2:2 ითამაშეს.

**ოთარ ხიზანეიშვილმა** წინა ტურში შეცვლაზე ითამაშა და საგოლე პასი მიითვალა. მეორე ტურში "აუგსბურგმა" „ალენთან" საშინაო მატჩი 3:0 მოიგო. ხიზანეიშვილს ამჯერად არ უთამაშია.

სასტარტო ტურში „მიუნხენ 1860" **მათე ლვინიანიძის** ავტოგოლით დამარცხდა. გუშინ „მაინცთან" საშინაო მატჩში ქართველს მონაწილეობა აღარ მიუღია. მიუნხენელებმა 1:2 წააგეს. ლვინიანიძე შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს.

## ავსტრია

გიორგი შაშიაშვილისა და **ილია კანდელაკის** „შტურმი" კვლავ აგრძელებს მოგებათა სერიას და გათამაშების ცხრილს 16 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. „შტურმმა" ამჯერად შინ „ლასკს" 2:0 სძლია. შაშიაშვილმა და კანდელაკმა სრულად ითამაშეს. 67-ე წუთზე **ბაიხლერმა** საბოლოო ანგარიში კანდელაკის პასით დააფიქსირა.

## რუსეთი

დავით კვირკველიას, ლაშა სალუქვაძისა და **ნუკრი რევიშვილის** „რუბინი" მოგებებს „არ იშლის" და ცხრილში ისევ ერთპიროვნული ლიდერია. ყაზანელებმა „ხიმკი" შინ 2:0 დაამარცხეს. კვირკველიამ სრულად ითამაშა, სალუქვაძე 89-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე, რევიშვილი კი განაცხადში კვლავ არ ყოფილა.

„ლოკომოტივის" განაცხადში ამჯერადაც ვერ მოხვდა **მალხაზ ასათიანი.** „ტერეკთან" გროზნოში წაგებულ (2:1) მატჩში **დავით მუჯირი** 88-ე წუთზე **სენნიკოვის** ნაცვლად ჩაერთო თამაშში.

**ალექსანდრე ამისულაშვილის, დავით სირაძისა** და **გოგიტა გოგუას** ნალჩიკის „სპარტაკმა" შინ ცსკა-სთან უგოლოდ ითამაშა. ქართულმა ტრიომ 90 წუთი დაყო მოედანზე.

„ლუჩი" „სატურნთან" სტუმრად **ლევან გვაზავას** გარეშე 2:1 დამარცხდა.

## უკრაინა

„დნეპრი" და „კარპატი" ლვოვში უგოლოდ გაიყარნენ. **ჯაბა კანკავას** ტრავმის გამო არ უთამაშია. **სანდრო კობახიძემ** მთავარ გუნდში არა, მაგრამ დუბლებში სრულად იასპარეზა.

**გიორგი დემეტრაძე** „არსენალის" განაცხადში კვლავ არ ჩანს. „მეთოფეები" კიევურ დერბიში „დინამოსთან" 0:2 დამარცხდნენ.

პოლტავის „ვორსკლამ" **ლაშა ჯაკობიას** გარეშე დონეცკის „შახტიორს" შინ 1:0 მოუგო.

**კახა მჟავანაძის** ოდესური „ჩერნომორეცი" შინ „ზარიასთან" 1:3 დამარცხდა. ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა, მაგრამ გუნდს ვერაფრით უშველა. სტუმართა რიგებში **გიორგი ციმაკურიძე** 88-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

**ვასილ გიგიაძის** „ტავრიამ" ქართველი ფორვარდის გარეშე დონეცკში „მეტალურგთან" მინიმალურად 1:0 წააგო.

## ჩეხეთი

დიმიტრი ტატანაშვილის „პლზენმა" „ლიბერეცთან" სტუმრად 1:1 ითამაშა. ტატანაშვილი სასტარტოში იყო და 63 წუთი ითამაშა. სტუმრებმა ანგარიში ქართველი ფორვარდის შეცვლის შემდეგ გაათანაბრეს.

## სლოვაკეთი

ირაკლი ლილუაშვილის „ნიტრა" „ვიტ ჯორჯიის" მიერ ძლეულმა ტრნავის „სპარტაკმა" შინ 5:1 დაამარცხა. ლილუაშვილი 41-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში **კარლიკის** ნაცვლად.

## ბელარუსი

წინა ტურის დარად **გია კვარაცხელიამ** ამჯერადაც გაიტანა. „მტზ-რიპომ" ჟოდინოს „ტორპედო" სტუმრად 2:0 დაამარცხა. კვარაცხელიამ სრულად ითამაშა. 47-ე წუთზე ქართველმა თავურით გახსნა ანგარიში.

## მოლდოვა

მოლდოვაში მოასპარეზე ქართველთა გუნდები ერთნაირი ანგარიშით 2:1 დამარცხდნენ. **ლევან კორღალიძის, სერგი ორბელაძისა** და **ჯაბა დვალის** „დაჩიამ" სტუმრად „ნისტრუსთან" ქართული ტრიოს გარეშე წააგო. როგორც ჩანს, „დაჩიას" ქართველებს სავიზო პრობლემათა გამო არ ათამაშებენ.

**ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფი" კი შინ „დინამოსთან" დამარცხდა. თარხნიშვილმა სრულად ითამაშა, 89-ე წუთზე კი ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

## აზერბაიჯანი

დავით ბოლქვაძის, კახა ჩხეტიანის, მიხეილ მახვილაძისა და **ირაკლი დოლიძის** „სიმურგმა" „მოიკი" 1:0 დაამარცხა და ცხრილში პირველ ადგილზეა.

**კახა ცხადაძის** „სტანდარდმა" „ყარაბახს" 2:1 სძლია. მასპინძელთაგან **დავით ჭიჭველიშვილი** ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. ცხადაძე თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი გახლდათ, მსაჯობით - არა. მწვრთნელს აზერბაიჯანულ პრესასთან საუბარშიც უკმაყოფილება არც დაუმალავს.

**გიორგი ადამიასა** და **გიორგი ჭელიძის** „ნეფთჩიმ" ახალ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. ჩვენებურთა გუნდმა „გაბალა" სტუმრად 1:0 დაამარცხა.

**მიხეილ ხუციშვილის, რომან ახალკაცისა** და **რევაზ გენაძის** „ოლიმპიკმა" „ქარვანს" შინ 1:0 სძლია. გენაძეს გატანა შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმისას სტუმართა მეკარემ რთული ბურთი მოიგერია.

**ალექსანდრე გოგობერიშვილისა** და **ამირან მუჯირის** „ბაკი" „ინტერს" შინ უგოლოდ დაუზავდა. 30-ე წუთზე მუჯირს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მისი დარტყმისას სტუმართა კარი ძელმა იხსნა.

**დავით ცაბაძე**


ილია კანდელაკი (მარჯვნივ)

საკონტროლო მატჩი

# მარადიული სპარინგპარტნიორები

დღეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა გაიმართება, სადაც უმნიშვნელოვანეს საკითხზე იმსჯელებენ. როდის და როგორი ფორმატით დაიწყება მეოცე ეროვნული ჩემპიონატი - მწვრთნელ-ფეხბურთელებთან ერთად, ეს საკითხი ქომაგებსაც აღელვებთ. მანამდე კი ეროვნული ჩემპიონატის გუნდები ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობენ და ერთმანეთში საკონტროლო მატჩებს ატარებენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ქვემო ქართლის გუნდების დაპირისპირება - მეოცე ჩემპიონატს ორივე გუნდი აშკარად მოძლიერებული და, აქედან გამომდინარე, დიდი ამბიციებით ხვდება. ამის დასტურად გუშინწინდელ საკონტროლო მატჩში მონაწილე გუნდების შემადგენლობების გაცნობაც გამოდგება.

**სიონი: ბობღიაშვილი - კაკაშვილი (57. შავგულიძე), სვანიძე, სილაგაძე, ქემოკლიძე - ქურასბედიანი (77. უგრეხელიძე), ზ. ჭელიძე, კოშკაძე (75. ბაჯელიძე), ხუბუა (79. ალავიძე) - შ. ჯიქია, ი. შენგელია (61. დავითაშვილი).**

**ოლიმპი: სტურუა - სეთურიძე, მაჭავარიანი, გ. ონიანი, ჩიკვილაძე (46. გილაური) - ფეიქრიშვილი, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი (46. დეკანოსიძე), გაბიდაური (46. თ. ლონლაძე) - მიკუჩაძე, მეგრელაძე.**

როგორც ბოლნისური კლუბის პრესატაშემ **ჯემალ ჭიპაშვილმა** გვაცნობა, მატჩი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. პირველ ტაიმში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და „სიონმა" მეტოქის კართან სამჯერ შექმნა სახიფათო მომენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია **ალექსანდრე კოშკაძის** შორეული დარტყმა, რის შემდეგაც ბურთი „ოლიმპის" კარის ხარიხას მოხვდა. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა: 55-ე წუთზე **შოთა ჯიქიას** ჩინებული პასის მერე თავი კოშკაძემ გამოიჩინა, 12 წუთში კი **გიორგი მეგრელაძემ** იყოჩაღა - „სიონის" მცველების შეცდომით ისარგებლა და მოჭრილი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ოლიმპი" თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა, მაშინ, როცა მეტოქეს ტრავმირებული ფეხბურთელები (**გივი დიდავა, ლევან სანიკიძე**) აკლდა. ამას გარდა, აზერბაიჯანში აპირებს კარიერის გაგრძელებას „სიონის" ახალწვეული **რევაზ გოცირიძე**, ხოლო **ვლადიმერ კაკაშვილი** ავსტრიის ერთ-ერთ გუნდში მიემგზავრება სინჯებზე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „სიონი"-"ოლიმპის" შეხვედრა სხვებისთვისაც სასარგებლო და სარეპეტიციო იყო - მსაჯებს ვგულისხმობთ. საქმე კი იმაში გახლავთ, რომ რამდენიმე დღეში უეფას თასის მატჩში უნგრულ „დებრეცენსა" და შვეიცარიულ „იანგ ბოიზს" შორის ქართულმა ბრიგადამ უნდა იმსაჯოს - **ლევან ფანიაშვილის, ზაზა მენთეშაშვილის, მამუკა ელიკაშვილისა** და **ლაშა სილაგავას** შემადგენლობით.

„სიონი"-"ოლიმპის" შეხვედრის დასრულების მერე კომენტარი ორივე გუნდის მთავარ მწვრთნელებს ვთხოვეთ.

**ოთარ კორღალიძე** („სიონი"): „საინტერესო შეხვედრა გამოდგა, სადაც პირველ ტაიმში უპირატესობა გვქონდა. სამწუხაროდ, ეს უპირატესობა გოლებში ვერ გამოვხატეთ. მეორე ტაიმში სტუმრებმა თამაში გამოასწორეს და საბოლოო შედეგით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. გარკვეულ მიზეზთა გამო ოპტიმალური შემადგენლობით ვერ ვიასპარეზეთ, თუმცა გუნდის საერთო მზადებაზე პრეტენზია არ მაქვს."

**ხვიჩა ქასრაშვილი** („ოლიმპი"): „ამხანაგურის კვალობაზე ერთობ საინტერესო შეხვედრა გამოდგა. „სიონმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ სეზონში სერიოზული მიზნები ექნება. პირველ ტაიმში უპირატესობასაც ფლობდა და მომენტებიც მეტი შექმნა. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში თამაში გავათანაბრეთ და შედეგიც ლოგიკურია. რაც შეეხება ჩვენს სიახლეებს, უკვე იცით, რომ გუნდი დატოვა „ოლიმპის" ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა **რევაზ გენაძემ**. თუმცა შევსებაც სოლიდური მივიღეთ - გიორგი დეკანოსიძემ და აქვსენტი გილაურმა დღეს პირველად ითამაშეს „ოლიმპის" მაისურით. ორივე ახალწვეული გამოცდილი, ჩამოყალიბებული ფეხბურთელია და იმედი მაქვს, „ოლიმპს" დიდ სამსახურს გაუწევენ. ამ ეტაპზე დაკომპლექტება არ დაგვისრულებია - სასურველი იქნება, თუ კიდევ ერთ ფორვარდს დავიმატებთ. გაბონელი ერნესტ აკუსაგა სამშობლოშია და ჯერ არ ჩამოსულა. მისი საკითხიც ორ-სამ დღეში გაირკვევა. ახლა მთავარია, ჩემპიონატი დროულად დავიწყოთ."

**გია ტუხაშვილი**



# ზაალ ელიავა: დეკემბრამდე დინამო, მერე კი ისეთი ვარიანტია...



ზაალ ელიავა

თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა რაინერ ცობელმა ჩამოსვლისთანავე ყურადღება პრობლემატურ პოზიციებზე გაამახვილა და მარცხენა მცველის დამატება მოითხოვა.

ოლეგ გველესიანი გერმანელმა სპეციალისტმა ნახევარდაცვაში უფრო საჭიროდ ჩათვალა, რომან დობეშს (რომელიც დუშან უჰრინსაც კი დიდად არ მოსწონდა) კონტრაქტი დაუსრულდა და დარჩენა არავის უთხოვია.

ასეთ მძიმე ვითარებაში „დინამომ“ მოახერხა საქართველოს ნაკრების კანდიდატის, ზაალ ელიავას დამატება და წესითა და რიგით, ამ პრობლემას წერტილი უნდა დაესვას.

ზაალ ელიავა უკვე თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობს და გვიყვება, რატომ დატოვა რიგის „სკონტო“, რა პერსპექტივა აქვს სამომავლოდ და ა.შ.

**- ზაალ, უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დინამოში“ ჩაირიცხე?**

- დიახ, საბოლოოდ შევთანხმდით. დეკემბრის ბოლომდე იჯარით ვითამაშებ.

**- ომის გამო შენი გადაწყვეტილება ხომ არ შეიცვლება?**

- არა, გადავწყვიტე „დინამოში“ თამაში და დეკემბრამდე არსად წასვლას ვაპირებ. მერე სხვა საქმეა.

**- ეს მერეა ყველაზე საინტერესო.**

- იმედია, „სკონტოს“ ერთხელ და სამუდამოდ დავემშვიდობები. უკვე ვიცი, რომ საკმაოდ საინტერესო ვარიანტები არსებობს და წესით, კარიერა კარგ კლუბში უნდა გავაგრძელო. თუმცა ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაფერია.

**- საქართველოში დაბრუნებას ლეგიონერები ერიდებიან და შენი გადაწყვეტილება ამის ფონზე მით უფრო გასაკვირი იყო.**

- „სკონტოსთან“ კონტრაქტი დეკემბერში მიმთავრდება, რალაც მიზეზების გამო კი იქ გაჩერება არ მილირდა. ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მქონდა და საქართველოში ჩამოსვლა ჩემთვის უკეთესიც იყო. „სკონტოში“ რომ დავრჩენილიყავი, კიდევ ბევრი პრობლემა შემექმნებოდა.

**- რა პრობლემა?**

- კონფლიქტი მქონდა მთავარ მწვრთნელთან. პოლ ეშვორტმა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ძირითადში აღარ მათამაშა. პერმის „ამკარში“ გასინჯვაზე ვიყავი, მაგრამ რუსეთში ვერ დავრჩი, რიგაში კი განსხვავებული ვითარება დამხვდა - ჩემს პოზიციაზე ახალი მოთამაშე ჰყავდათ ჩამოყვანილი და ეშვორტმა მითხრა, შენი ადგილი დაკავებულიაო. როდესაც მიზეზით დავინტერესდი, „სკონტოს“ პრეზიდენტისკენ გაიშვირა ხელი - გვეგონა, „ამკარში“ რჩებოდი და პრეზიდენტმა მარცხენა მცველის მოყვანა დამავალაო.

**- „ამკარში“ რატომ ვერ დარჩი?**

- საკმაოდ ნორმალურად კი ვითამაშე, მწვრთნელსაც მოვწონდი, მაგრამ მესამე საკონტროლო მატჩის დასაწყისშივე მყესი დამეჭიმა და კონტრაქტს ვინლა ჩიოდა, მთელი ერთი თვე ველარ ვივარჯიშე. თუმცა ლიტვის ჩემპიონატის დაწყებამდე მოვმჯობინდი და შემეძლო „სკონტოში“ თამაში.

**- ახლა ხომ ჯანმრთელად ხარ?**

- დიახ, აბა, „დინამოში“ ტრავმირებული ხომ არ ვივარჯიშებ.

**- მაშინ რატომ არ მიგიწვიეს ეროვნულ ნაკრებში, როდესაც მარცხენა მცველი უელსისთვის, უბრალოდ, არ ჰყავდათ?**

- უთამაშებელი რომ ვიყავი, მიზეზი ეს მგონია. ნაკრების სელექციონერებს ვერ გავამტყუნებ. შესარჩევი დაიწყება და იმედია, მერე შანსს ისევ მომცემენ.

**- წარმოშობით აფხაზეთიდან ხარ. ალბათ, რუსების აგრესიას განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდი.**

- ძნელია, ასეთ დროს მშვიდად ვიყო. მით უფრო, რომ ჩემი მშობლები დღემდე გალში ცხოვრობენ. ახლა იქ გაცილებით სიმშვიდეა, ვიდრე მთლიანად საქართველოში. აფხაზები ქართველებს მაინც არ ერჩიან, რუსის ჯარი ახლა აქ უფრო საშიშია.

ყველაფერი ისედაც ნათელია და დიდი იმედი მაქვს, რუსებისგან საქართველო მალე გათავისუფლდება. თავადაც მიხვდებიან, რომ ასე აჯობებს.

**- რიგის „სკონტოში“ კიდევ ორი ქართველი, დათო გამეზარდაშვილი და ლადო დვალიშვილი დარჩნენ. საინტერესოა, კლუბში როგორი მდგომარეობა აქვთ?**

- დვალიშვილი ერთი პერიოდი ძირითადში ვერ ხვდებოდა, მაგრამ გუნდს იოლად შეეწყო და ახლა ძალიან მოსწონთ. გამეზარდაშვილი კი „სკონტოს“ დაცვის ლიდერია. დარწმუნებული ვარ, რომ დათო ნაკრებში მიწვევას იმსახურებს, ძალიან მაგარ ფორმაშია.

**- თბილისის „დინამოზე“ როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?**

- ბიჭების უმრავლესობას ისედაც ვიცნობდი და ვიცი, რომ „სკონტოზე“ ნაკლებ გუნდში არ მივდიოდი. „დინამო“ ძალიან მეგობრული კოლექტივი აღმოჩნდა, მაგრამ მის ძალაზე წარმოდგენა არ მაქვს, რადგან მთავარი მწვრთნელი და ლეგიონერები ჯერ არ ჩამოსულან. ერთადერთი, დონალდ ჯიუსი დარჩა და სხვაგან წასვლას არ აპირებს.

# მიხეილ ბარაბაძე ესბიერგში ისინჯება

## დანიაშიც ესმით: რუსი აგრესორია, ქართველი კი ტორნადო

20 წლის მიხეილ ბარაბაძე, რომელიც წინა სეზონში დანიის პირველი ლიგის კოპენჰაგენის ჰიკ-ში ჩაირიცხა, დანიაშივე რამდენიმე უმაღლესლიგელს, ანუ სასლიგელს მოუვიდა თვალში. ქართველი ფორვარდით დანიური კლუბების დაინტერესებაზე ჯერ კიდევ მაისში ვწერდით, მაგრამ დანიაში სეზონი დაიწყო და ჩავთვალეთ, რომ ბარაბაძე კვლავ ჰიკ-ში ითამაშებდა.

**თუმცა გუშინ შევიტყვეთ: მიშა ბარაბაძე "ესბერგმა" მიიწვია, რომელიც ხუთი ტურის შემდეგ, სასლიგის აუტსაიდერია. "ქართულ ტორნადოდ" მონათლულ ბარაბაძეს (ეს დანიური გაზეთის მიერ შერქმეული თიკუნია) სწორედ "ესბერგთან" ვარჯიშის შემდეგ შევეხმიანეთ....**

**- მიშა, კონტრაქტი გააფორმე "ესბერგთან" თუ გასასინჯად წახვედი?**

- თურმე, "ესბერგი" კარგა ხანია მაკვირდება და სურდათ საქმეში ვენახე. ამიტომაც სავარჯიშოდ სამი დღით მიმიწვიეს და ოთხი ვარჯიში ჩავატარე. ესბერგი საპორტო ქალაქია და ბრწყინვალე სტადიონი აქვთ. ისეთი კარგი პირობებია, გადარეული ვარ და ყველაფერს გავაკეთებ, აქ რომ დამიტოვონ.

**- "ესბერგზე" როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა, მასსა და ჰიკ-ს შორის დიდი განსხვავებაა?**

- რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა, უპირველეს ყოვლისა კი – კლასში. თუმცა რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, "ესბერგში" უფრო გამიადვილდა ვარჯიში და თამაში.

**- ძლიერ მეტოქეებთან ვარჯიში და თამაში უფრო იოლი როგორ არის?!**

- როდესაც მაღალი კლასის პარტნიორები გყავს, არც პასს დაგიგვიანებენ და თავადაც დროზე იხსნებიან. ორმხრივ თამაშში ოთხჯერ მათამაშეს და ათამდე გოლი შევაგდე. საგანგებოდ მათამაშეს ოთხი-ოთხზე, ექვსი-ექვსზე და შვიდი-შვიდზე, რათა მაქსიმალურად "გავეწურე" და სრული შთაბეჭდილება შექმნოდათ. ჰყავთ ორი ფორვარდი, ნიგერიელი ემანუელ უკპაი და შვედი გუნარ ტორვალდსონი. კიდევ ერთ ფორვარდს ეძებენ, თავდასხმაში მათ რომ შეუწყვილონ ერთ-ერთ პოზიციაზე. ამიტომაც მაყენებდნენ და მაკვირდებოდნენ თავდასხმაში ყველა ადგილზე.

**- საბოლოოდ შენი ამბავი როდის გადაწყდება?**

- ან თვის ბოლომდე, ანაც პირველი წრის დასასრულს. "ესბერგმა" საწყისი 5 თამაშიდან მხოლოდ სამი ქულა აილო და სამი გოლი გაიტანა. ამიტომაც თავდასხმის გაძლიერება სურთ. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ტროელს ბეკმა მითხრა - ძალიან მოგვეწონე და ალბათ მალე ჩვენთან იქნებიო. ამასწინათ, ჰიკ-ი თასზე თამაშობდა, ორი გოლი შევაგდე და ბეკს სწორედ ის მატჩი უნახავს. მოკლედ, ამ კვირას ისევ ჩემს გუნდში ვითამაშებ და ვნახოთ....სულ ხუთი თვეა დანიაში ვარ და აქ კი არა, ხეირიანად საქართველოშიც არავინ მიცნობდა. ძნელია ასე უცნობი ფეხბურთელი, რომელიც ქვეყნის ნაკრების წევრი არაა, უმაღლეს ლიგაში აიყვანონ. დანიის კი არა, საქართველოს უმაღლეს ლიგაშიც სულ რამდენიმე მატჩი ჩავატარე. თუმცა, აქ გატარებულმა თვეებმა მიმახვედრა, რომ უმაღლეს ლიგაში თამაში შემიძლია და თავს არ დავზოგავ.

**- ჩვენს გაზეთში იყო ინფორმაცია, რომ ჰიკ-ში ისინჯებოდა მეორე ქართველი ფორვარდი ილია პავლიაშვილი. ის დარჩა თუ უკან გამოაბრუნეს?**

- ილია სამი დღით იყო ჩამოსული და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჩვენ ბავშვობიდან ერთად ვთამაშობდით, თუ ილო ფიზიკურად კიდევ უფრო გაძლიერდება, შემოდგომაზე ისევ ჩამოვა და შანსს კვლავ მისცემენ.

**- საქართველოში რუსეთის შეჭრას დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მკაცრი რეაგირება მოჰყვა. უბრალო ხალხმა რა იცის აქაურ მოვლენებზე და მომხდარს როგორ აფასებენ?**

- დანიაც ჩვენსავით პატარა ქვეყანაა და საქართველოს ოკუპაციას ესენიც განიცდიან. კოპენჰაგენში უკვე ჩატარდა ანტირუსული გამოსვლები და სანამ ჯარებს არ გაიყვანენ, ალბათ, პროტესტი სულ იქნება. სამწუხაროდ, ჩემს სამშობლოს აქედან ვერაფრით ვეხმარები. იქნებ კარგი თამაშით მაინც გავუთქვა სახელი.

# დინამომ ამერს მოუგო

თბილისის „დინამო“ მთავარ მწვრთნელ **რაინერ ცობელისა** და ლეგიონერთა ძირითადი ნაწილის გარეშე ემზადება. რუსეთის აგრესიის გამო, ისინი დროებით სამშობლოში დაბრუნდნენ.

ახლა გუნდში ლეგიონერთაგან მხოლოდ კამერუნელი **დონალდ ჯიუსი** ვარჯიშობს. რუსეთმა დაბომბვა რომ დაიწყო, ჯიუსი სომხეთში რამდენიმე დღე გაჩერდა, მაგრამ მალევე გამობრუნდა და ჩემპიონატის დაწყებას სხვა დინამოელების მსგავსად ელოდება.

„დინამომ“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „პანათინაიკოსთან“ მატჩის შემდეგ პირველად ითამაშა - საკონტროლო შეხვედრაში მისი მეტოქე თანაქალაქელი „ამერი“ გახლდათ, რომლის შემადგენლობაც გასული სეზონის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვლა.

დინამო: **ლორია - შ. კაშია (46. მინდორაშვილი), გ. კაშია, თომაშვილი, ელიავა - ოდიკაძე (46. ინწკირველი), ხმალაძე (46. ფირცხალავა), დილმელაშვილი (46. ნერგაძე), ჯიშკარიანი (46. გველესიანი) - სიხარულიძე (46. ქანთარია), ვაწაძე (46. ჯიუსი).**

ამერი: **ნადირაშვილი - სანიკიძე (46. გ. ჯელაძე), გვაძაბია, ხატიაშვილი, ელქაბიძე, ხუციძე (60. ჯინიკაშვილი), ცხოვრებაშვილი (55. ბოჯგუა), ბენდელიანი, კაკაბაძე (85. ქებაძე), ჩიმაკაძე (55. წინამძღვრიშვილი), ტიკურიშვილი (70. კუჭუხიძე (85. გრძელიძე)).**

ანგარიში 24-ე წუთზე დინამოელთა ფორვარდმა **მათე ვაწაძემ** გახსნა. გაახალგაზრდავებულმა „ამერმა“ კი ტაიმის მიწურულს წონასწორობა აღადგინა - 1:1. 45-ე წუთზე თავი **ხუციძემ** გამოიჩინა.

„დინამომ“ მაინც გაიმარჯვა - **გულვერდ თომაშვილმა** 83-ე წუთზე გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

„დინამოს“ პრესატაშე **გიგა გვენცაძის** თქმით, ცობელი თბილისში 26 აგვისტოს დაბრუნდება. უცხოელი მოთამაშეების ჩამოსვლის დრო კი ჯერაც უცნობია - სანამ ვითარება ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგება, ალბათ, არ ჩამოვლენ. წესითა და რიგით, ეს უახლოეს დღეებში უნდა მოხდეს, თუკი რუსების ოფოფვებმა კიდევ არ გააფრინეს.



მათე ვაწაძე

# ომის შემდეგ პირველი მატჩი გორში გაიმართება

რუსის აგრესორმა მიზნის ნაწილს მიაღწია - დააქცია საქართველოს ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხალხი ჩაგვიხოცა, ცხინვალი კი ალბათ იმიტომაც დაბომბა, რომ იქაური ნარკოტიკების გადასამუშავებელი ცეხების კვალი წაეშალა.

ამ ყოველივეს შემდეგ ერთ-ერთი „დერჟიმორდა“ გენერალი „კომსომოლსკაია პრავდაში“ მათთვის ჩვეული უტიფრობით ამბობს - ქართველ ხალხს ეუბნებიან, რუსი მტერია და მათაც სჯერათო.

ბნელა, მამაძაღლი? მტერი ხარ, აბა, ასე მოყვარე არ იქცევა, წლების განმავლობაში რაც ავაშენეთ, ისიც დაგვინგრიეთ და თქვენ თუ ეს მეგობრულ საქციელად მიგაჩნიათ, ჩრდილოეთის გზაზე გაგიმარჯოთ ღმერთმა.

რუსის ოკუპანტის ხელმრუდობასა და თავგასულობას უამრავი ჩვენი თანამემამულე შეეწირა. მათი ხსოვნი[illegible]მი მიძღვნილი მატჩი ხვალ გორში გაიმართება. ერთმანეთს ცხინვალის „სპარტაკი“ და რეგიონალლიგის „თბილისი“ შეხვდებიან. მატჩის ინიციატორია საფეხბურთო აკადემია „ოლიმპი“, რომელიც „თბილისის“ მეპატრონეა.

ეს იქნება ომის შემდეგ გორში ჩატარებული პირველი მატჩი. შეხვედრა 17.00 საათზე დაიწყება.

შესაძლოა, თბილისის“ შემადგენლობაში ვეტერანმა ქართველმა ფეხბურთელებმაც ითამაშონ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. II ტური

# შეშლილი სოფელი

## ბაიერნს კლოზეს ნაცვლად იბიშევიჩი რომ ჰყავდეს...



ლიდერ ჰოფენჰაიმის თავდამსხმელები: დემბა ბა და გოლის ავტორი ვედად იბიშევიჩი

ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ ეს ცხრილი საბოლოოა - „ჰოფენჰაიმი" გერმანიის ჩემპიონი, „ბაიერნი" კი ევროტურნირებს მიღმა. მაგარია, არა? თუმც ეს მხოლოდ მეორე ტურის შემდგომი ცხრილია და ყველამ ვიცით, რომ 34-ე ტურის შემდეგ განსხვავებული სურათი იქნება, მაგრამ მაინც: ამ „სოფლელებმა" თუ ასე გააგრძელეს...

მეორე ტურის შემდეგ ოთხი ძირითადი და უტყუარი დასკვნის გაკეთება შეიძლება. **პირველი:** წლევანდელი ბუნდესლიგა ძალიან გაწონასწორებული ჩანს. გრანდები ჯერჯერობით ვერ გრანდობენ. შაბათს შვიდი მატჩიდან 4 ფრედ დასრულდა. შაბათსვე, პირველ ტურში გამარჯვებულთაგან, ვერც ერთმა ვერ შეძლო მეორე თამაშის მოგება – გარდა „ჰოფენჰაიმისა"!

**მეორე:** ბუნდესლიგის სუპერფორვარდები ძალიან ცუდ ფორმაში არიან. **ლუკა ტონი** თავის თავს არ ჰგავს. **მირო კლოზე** ხომ ისედაც დიდი ხანია, უაზროდ თამაშობს. „შალკედან" **კევინ კურანიმ** ვერ გაიტანა, „ვერდერიდან" **კლაუდიო პისარომ**. თავად განსაჯეთ, ორი ტურის შემდეგ ბომბარდირთა დავაში არმინიელი **არტურ ვიხნიარეკი** და ჰოფენჰაიმელი **ვედად იბიშევიჩი** „იქაჩებიან". პარადოქსია, მაგრამ ფაქტი - იბიშევიჩი „ბაიერნს" დაამშვენებდა.

**დასკვნა მესამე:** მიუნხენური გრანდი ათი კაცით უფრო კარგად თამაშობს, ვიდრე კლოზესთან ერთად. **იურგენ კლინსმანს** მიროს ნაცვლად ნახევარმცველი **ბოროვსკი** რომ არ შემოეყვანა, ბავარიელები დორტმუნდში დამარცხდებოდნენ. **და ბოლოს:** მომდევნო ტურის ცენტრალური მატჩი „ლევერკუზენი"-„ჰოფენჰაიმი" იქნება! აი, ასეთია ბუნდესლიგა - სიურპრიზებითა და პარადოქსებით დატვირთული.

ჰოფენჰაიმმა (3286 მცხოვრები) მთელი გერმანია ჭკუიდან შეშალა. „გლადბახის" დამარცხების შემდეგ, „სოფლელები" ისევ ლიდერები არიან და ჯიუტი ფაქტია ისიც, რომ **რალფ რანგნიკის** გუნდი ერთადერთია ამ ეტაპზე, ვისაც გოლი ჯერ არ გაუშვია. და ჰოფენჰაიმი ისეთ დიდ ქალაქებს უსწრებს, როგორებიცაა ბერლინი (3.4 მილიონი), ჰამბურგი (1.77) და მიუნხენი (1.31). და ჰოფენჰაიმელები გერმანიის ჩემპიონობაზე ოცნებობენ!

*„ვერცხლის სინი ჩვენი იქნება!"* – მღეროდნენ ფანები (26000) მანჰაიმის „კარლ-ბენც-შტადიონზე" – სოფელი შეიშალა! არადა, მანჰაიმი ჰოფენჰაიმიდან 50 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. თვითონ „ჰოფენჰაიმის" სტადიონი კი შენდება და მეორე წრისთვის იქნება მზად. ორი თამაში, ორი მოგება, მაგრამ რანგნიკს რომ ჰკითხოთ, ეს მხოლოდ დასაწყისია. რაც არ უნდა იყოს, გუნდს ჯერ კიდევ აკლია ლიდერები – **ობასი ოგბუკე** (ოლიმპიადაზე იყო) და **ველინგტონი** (ტრავმირებულია). მანამდე ლიდერის ფუნქციებს ბოსნიელი თავდამსხმელი იბიშევიჩი ასრულებს, რომელსაც უკვე სამი გოლი აქვს გატანილი. აი, მიონხენგლადბახის „ბორუსიის" საქმე კი ძალიან ცუდადაა – „ჰოფენჰაიმთან" დამარცხებული გლადბახელები 0 ქულით ფსკერზე დამკვიდრდნენ. „ბორუსიას" ვერც **მარკო მარინმა** უშველა...

ტურის ცენტრალური მატჩი: „დორტმუნდი"-„ბაიერნი". შედეგი 1:1 და რაც მთავარია: „ბორუსიის" თავკაცი **იურგენ კლოპი** ფრით გაბრაზებული დარჩა, მისმა მიუნხენელმა კოლეგამ, **იურგენ კლინსმანმა** კი შვებით ამოისუნთქა. რეკორდმაისტერი „ვესტფალენშტადიონზე" **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** გენიალური გოლის შემდეგ, დიდხანს აგებდა და ბავარიულ გრანდს 23-ე წუთზე **მარკ ვან ბომელი** გაუძევეს. მაგრამ კლინსმანის გუნდმა ანგარიში მაინც გაათანაბრა და ქულა მოიპოვა. ამოისუნთქა, მაგრამ ფაქტია, რომ კლინსმანს ორი სერიოზული პრობლემა აქვს: კაპიტნის და თავდასხმის.

სეზონის წინ იურგენმა **ოლივერ კანის** სამკლაური ვან ბომელს მოარგო და ფაქტია, შეცდა. ჰოლანდიელი, წესით, ყველასათვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს, მაგრამ რა ქნას, ნერვების მოთოკვა ძალიან უჭირს. ჯერ **სებასტიან კელისკენ** გასრიალდა გაშლილი ფეხით და ამ უკანასკნელს ძალიან გაუმართლა, ფეხი იქვე რომ არ დატოვა, მერე კი **ტამაშ ჰაინალს** ჩაარტყა თავში(!). ლოგიკურად ჩნდება კითხვა: არის კი ვან ბომელი „ბაიერნის" ღირსეული კაპიტანი?

კლინსმანი: *„რაც მოხდა, მოხდა და მორჩა."* „ბაიერნის" პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი**: *„მარკს ყვითელი ბარათი ჰქონდა მიღებული და ფაქტია, რომ ფრთხილად უნდა ყოფილიყო."* ვან ბომელი: *„პირველ გაფრთხილებას ვიმსახურებდი, ჰაინალისთვის ჩარტყმა კი განზრახული ნამდვილად არ მქონია, თორემ მეორე ყვითელი კი არა, წითელი ბარათი უნდა მოეცათ!"*

ფაქტია, რომ „ბაიერნმა" 10 კაცით უფრო უკეთ ითამაშა. შეცვლაზე შესულ ბოროვსკის კი ნამდვილად გაუმართლა - ტიმი საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და ანგარიში გაათანაბრა. მეტიც, ბოროვსკი უფრო სახიფათო და საჭირო ფეხბურთელი გამოდგა, ვიდრე კლოზე. საერთოდ, გასაკვირია, რატომ ენდო კლინსმანი მიროს და არა **პოდოლსკის**, რომელიც გაცილებით უკეთ გამოიყურება. ლუკასიც განაწყენდა, საფინალო სასტვენის შემდეგ პირველმა დატოვა მოედანი, მერე გასახდელიც და ავტობუსშიც დიდხანს მარტო იჯდა. ნამატჩევს ბავარიელები მთავარ მსაჯ **ჰერბერტ ფანდელს** შემოსწყრნენ, რომელმაც ლუკა ტონის წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა. არადა, გამეორებაზე ჩანდა, რომ დორტმუნდელთა საჯარიმოში წესები ნამდვილად დაირღვა.

რაც შეეხება „დორტმუნდს", კლოპმა თქვა, ეს ჩემთვის წაგებააო. *„ბორუსიამ" პირველ ტაიმში ძალიან კარგად ითამაშა, მეორე ნახევარში კი მოუკლო. ეტყობა, „შავ-ყვითლებმა" ბოლომდე ვერ ირწმუნეს, რომ „ბაიერნის" დამარცხება შეეძლოთ.* კლოპი: *„მეორე ტაიმში ბიჭებს თავდაჯერება აკლდათ. უფრო აგრესიულად უნდა გვეთამაშა."*

„შალკემ" მეორე თამაში ვერ მოიგო. უფრო სწორად, არ წააგო, რადგან „ვერდერმა" გელზენკირხენულ კლუბს აშკარად აჯობა. პრინციპში, **ფრედ რუტენის** გუნდისგან ბრემენიდან სამი ქულის წაღებას კატეგორიულად არც არავინ მოითხოვდა. მით უმეტეს, რომ „შალკეს" ოთხშაბათს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი აქვს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე – მადრიდში, „ატლეტიკოსთან". აღსანიშნავია, რომ „ხუმარების" დაცვა ველარ გამოიყურებოდა ისე სტაბილურად, როგორც წინა შეხვედრაში. თუმცა ამით ვერ ისარგებლა „ვერდერის" ახალწვეულმა **კლაუდიო პისარომ**, რომელსაც სამი ძალიან კარგი მომენტი ჰქონდა. გოლი კი „მუსიკოსთაგან" **ფრინგსმა** გაიტანა მას მერე, რაც მოედნის ცენტრში **ლევან კობიაშვილმა** ბურთი დაკარგა. „შალკედან" კი, მოგვიანებით **ჰაიკო ვესტერმანმა** იხეირა. საუკეთესო შალკელი მეკარე **მათიას შობერი** გახლდათ, რომელზეც „ატლეტიკოსთანაც" ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. შეგახსენებთ, „შალკეს" პირველი მატჩი მოგებული აქვს – 1:0.

„ჰამბურგმა" პირველი სამი ქულა მოიპოვა, მაგრამ დიდი გაჭირვებით. **მარტინ იოლის** გუნდმა „კარლსრუეს" დამარცხება მხოლოდ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით შეძლო. მნიშვნელოვანია ის, რომ HSV-ში დებიუტი ჰქონდა ახალწვეულ **მლადენ პეტრიჩს**, რომელიც იოლმა მოედანზე 72-ე წუთზე შეიყვანა. "დორტმუნდიდან" ნაყიდმა ხორვატმა კი პირველივე მატჩში საგოლე პასი მიითვალა: 90-ე წუთზე, **იორის მატიისენმა** ბადენელთა მეკარე **მილერი** სწორედ პეტრიჩის პასით დაამწუხრა. აღსანიშნავია, რომ პეტრიჩის გარდა, იოლს სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ „ბავშვები" ჰყავდა. ამიტომაცაა, ჩრდილოგერმანული კლუბის თავკაცი სასწრაფოდ გუნდის გაძლიერებას რომ ითხოვს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე (31 აგვისტო) ჰამბურგელები კიდევ სამ ფეხბურთელს იყიდიან. ფაქტია, რომ HSV-ს ფული აქვს – **ვან დერ ვაარტისა და კომპანის** გაყიდვით გუნდმა 16 მილიონი ევრო მიიღო.

პირველ ტურში **იენს ლემანმა** ისე კარგად ითამაშა, რომ ტურის გმირის სტატუსამდე ძალიან ცოტა დააკლდა. ახლა კი „შტუტგარტის" მეკარეს დიდი შანსი აქვს, რომ ტურის ანტიგმირად შერაცხონ. არადა, ვეტერანი გოლკიპერი პირველად წარდგა „შტუტგარტის" პუბლიკის წინაშე. VFB "ლევერკუზენს" მასპინძლობდა. ლემანმა კარგად დაიწყო და შვაბები ორჯერ იხსნა (ორივეჯერ **ჰელმესს** აუღო). მაგრამ მესამე შემთხვევაში თავისი გუნდი არათუ ვერ გადაარჩინა, ერთობ სამარცხვინო გოლი გაუშვა – ფაქტობრივად თვითონ შეაგდო ბურთი საკუთარ კარში. შვაბების დამრიგებელი **არმინ ფეე** ლემანს იცავს, სანამ ჰელმესი დაარტყამდა, მცველებს სამჯერ მართებდათ ვითარების განმუხტვაო.

„ლევერკუზენმა" კი მართლაც შთამბეჭდავად ითამაშა, ზუსტად ისე, როგორც პირველ ტურში, განსხვავება მხოლოდ შედეგში აისახა: „ფარმაცევტებმა" ამჯერად მოიგეს. ძალიან კარგი ფლეიმეიქერი ჩანს ბრაზილიელი **რენატო**, რომელსაც ყველა ეპიზოდში ეტყობოდა, უდიდესი ნიჭის პატრონი რომ არის. ერთი სიტყვით, **ბრუნო ლაბადიას** საფეხბურთო ფილოსოფია გასაგებია: სწრაფი, ტექნიკური და მხოლოდ და მხოლოდ შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთი. სხვათა შორის, „შტუტგარტს" მეორე გოლი ბევრისგან დავიწყებულმა **თეოფანის გეკასმა** გაუტანა. ალბათ, გახსოვთ, შარშანწინ ბერძენი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**გოტფრიდ ლენცი**

### მომდევნო ტური

29 აგვისტო. კარლსრუე-კიოლნი. 30 აგვისტო. **შალკე-ბოხუმი, ვოლფსბურგი-აინტრახტი, ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი, კოტბუსი-ბორუსია (დ), არმინია-ჰამბურგი, ბორუსია (მ)-ვერდერი.** 31 აგვისტო. **ბაიერნი-ჰერტა, შტუტგარტი-ჰანოვერი.**

### ჰანოვერი-კოტბუსი 0:0

**ჰანოვერი:** ენკე-2.5, ბალიტში-3.5, ისმაელი-4, ვინიციუსი-3.5, კ. შულცი-4, ლალა-4 (61. ფორსელი-4.5), პინტუ-4, ჰუშტი-5 (61. ბ. შულცი-4), ბრუგინკი-5 (72. ჩერუნდოლო), ჰანკე-4, შლაუდრაფი-3.

**კოტბუსი:** ტრემელი-3.5, რადელიჩი-3.5, კუკიელკა-4, კვიტანოვიჩი-3.5, ციბიგი-4.5, ს. ანგელოვი-3.5, ტ. როსტი-4, რივიჩი-3.5 (76. ილიევი), ვასილიევიჩი-4.5, დ. სიორენსენი-5 (46. სკელა-5.5), რანგელოვი-4 (86. კადასი).

**გაძევება:** ციბიგი (84. კოტბუსი)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 13(6)-6(4); **ჯარიმა:** 17-25; **კუთხური:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 34 636

### ვერდერი-შალკე 1:1

**ვერდერი:** ვიზე-4, პასანენი-4, პრიოდლი-3.5, ნალდო-2, ბიონიში-3, ბაუმანი-4, ფრინგსი-2.5, დ. იენსენი-4, იოზილი-2 (86. კ. ფრიტცი), როზენბერგი-3 (75. უგო ალმეიდა), პისარო-3.5 (80. სანოგო).

**შალკე:** შობერი-2, ვესტერმანი-3, ჰიოვედესი-3.5, ბორდონი-4, პანდერი-4, ფ. ერნსტი-4, გროსმიულერი-4.5 (77. სანჩესი), კობიაშვილი -4, ჰალილ ალთინთოფი-4.5 (70. ასამოა), რაკიტიჩი-3, კურანი-4.5.

**გოლები:** 1:0 ფრინგსი (64), 1:1 ვესტერმანი (85).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 15(7)-14(5); **ჯარიმა:** 17-12; **კუთხური:** 5-6; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 42 100

### ჰამბურგი-კარლსრუე 2:1

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-4.5, ბენჯამინი-4, დემელი-3.5, მატიისენი-2.5, ატუბა-3.5, იაროლიმი-3.5, დე იონგი-2.5, პიტროიპა-4.5 (72. პეტრიჩი), ტროხოვსკი-3 (89. თორუნი), გერერო-4, ოლიჩი-4.5 (83. ბენ-ჰატირა).

**კარლსრუე:** მ. მილერი-3, ჩელოცი-4, სებასტიანი-4.5, ფრანცი-3.5, აიხნერი-4, შტაფელდტი-4, ადუბე-3, ფრაისი-3 (75. ტიმი), ა. და სილვა-2.5 (89. შტოლი), კარნელი-4.5, კენედი-3.5 (83. კაპლანი).

**გოლები:** 1:0 სებასტიანი (33-საკ. კარში), 1:1ფრაისი (67), 2:1 მატიისენი (90).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 12(3)-10(5); **ჯარიმა:** 17-18; **კუთხური:** 6-6; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 50 637

### შტუტგარტი-ლევერკუზენი 0:2

**შტუტგარტი:** ლემანი-4.5, ოსორიო-4, ტასკი-4.5, დელპიერი-4, ბოკა-4 (80. ლიუბოეა), პარდო-3.5, ჰილბერტი-5 (46. ბაშთურქი-5), ჰიტცლშპერგერი-3.5 (67. ლანიგი-4), შიმაკი-4.5, გომესი-4.5, მარიკა-3.5.

**ლევერკუზენი:** ბ. ფერნანდესი-3, კასტრო-3, მ. ფრიდრიხი-3.5, ენრიკე-3, ჯაპკა-4.5, როლფესი-3, რენატო-2.5 (82. დუმი), ვიდალი-2.5, ბარნეტა-4.5 (62. შვეგლერი-3.5), კისლინგი-3, ჰელმესი-2 (74. გეკასი).

**გოლები:** 0:1 ჰელმესი (35), 0:2 გეკასი (79).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 9(1)-16(7); **ჯარიმა:** 9-23; **კუთხური:** 3-7; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 48 000

### ჰერტა-არმინია 1:1

**ჰერტა:** დრობნი-3.5, ა. ფრიდრიხი-3.5 (79. ჩაჰედი), ფონ ბერგენი-3, კაკა-5, მ. შტაინი-3.5, ლუსტენბერგერი-3.5 (73. ხერმიტი), კაჩარი-3 (86. ნიკუ), სისერო-3, ებერტი-3, რაფაელი-3.5, პანტელიჩი-2.

**არმინია:** აილჰოფი-4.5, ლამეი-4, ბოლმანი-4.5, კუჩერა-4, შულერი-5, კაუფი-3.5, ტ. მარქსი-5, კირხი-4, კატონგო-4.5 (88. კამპერი), ჰალფარი-4 (68. ტეშე-3.5), ვიხნიარეკი-2.5 (90. სადიკი).

**გოლები:** 1:0 პანტელიჩი (32), 1:1 ვიხნიარეკი (37).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 27(5)-6(2); **ჯარიმა:** 8-19; **კუთხური:** 11-3; **ბურთის ფლობა:** 63%-38%.

**მაყურებელი:** 36 302

### ბორუსია (დ)-ბაიერნი 1:1

**ბორუსია (დ):** ციგლერი-3, რუკავინა-4, სუბოტიჩი-3.5, ჰუმელსი-2.5, შმელცერი-3.5, ჰაინალი-4.5, კელი-3, ბლაშჩიკოვსკი-2.5 (77. ოვომოიელა), კრინგე-4, ვალდესი-3, ზიდანი-4 (64. სადრიაი-4).

**ბაიერნი:** რენზინგი-3, ლელი-4.5, ლუსიო-2.5, ვან ბუიტენი-3.5, ლამი-4, ვან ბომელი-6, ჰამით ალთინთოფი-4.5 (64. კროოსი-3), ოტლი-4, შვაინშტაიგერი-3, კლოზე-5.5 (46. ბოროვსკი-2.5), ტონი-4 (77. პოდოლსკი).

**გოლები:** 1:0 ბლაშჩიკოვსკი (8), 1:1 ბოროვსკი (74).

**გაძევება:** ვან ბომელი (23. ბაიერნი).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 16(6)-16(3); **ჯარიმა:** 24-17; **კუთხური:** 6-14; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 80 552

### ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ) 1:0

**ჰოფენჰაიმი:** იოზქანი-3.5, ბეკი-2.5, ნილსონი-3, კომპერი-2.5, იაისლე-3, ლუის გუსტავო-3.5, ვაისი-3.5 (91. იანკერი), სალიჰოვიჩი-3 (71. ფორსა), კარლოს ედუარდო-2.5 (88. ტებერი), ბა-3.5, იბიშევიჩი-2.5.

**ბორუსია (მ):** ჰაიმეროთი-2, ლეველსი-3.5, კალსენ-ბრაკერი-4, დაემსი-4, ჟორესი-5 (73. ბრაუერსი), სფერდი-3, პაავუე-5, მარინი-3, რიოსლერი-4 (61. ფრინდი-4), მატმური-3.5, კოლაუტი-4.5 (61. ნოივილი-4).

**გოლი:** 1:0 იბიშევიჩი (31).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 24(10)-7(2); **ჯარიმა:** 17-27; **კუთხური:** 11-2; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 26 300

### ბოხუმი-ვოლფსბურგი 2:2

**ბოხუმი:** ფერნანდესი-4, კონჩა-4.5 (83. მავრაი), მალტრიტცი-3, იაია-4.5, კ. ფუხსი-4, იმჰოფი-4, ფრაიერი-5 (79. სინხი), დაბროვსკი-3.5 (80. უდებელი), აზაუაგი-4, შესტაკი-3, ჰაშემიანი-4.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო-3.5, რიტერი-3.5, რიკარდო კოშტა-2, ბარძალი-3.5, მ. შეფერი-4, ძაკარდო-5 (46. ზალიკი-3), ჟოსუე-3.5, სანტანა-4.5 (64. ჯეკო-4), მიშიმოვიჩი-4, გენტნერი-4, დეჟაგა-4 (81. ჰასებე).

**გოლები:** 1:0 შესტაკი (12), 2:0 დაბროვსკი (50), 2:1 რიკარდო კოშტა (51), 2:2 ზალიკი (69).

**გაფრთხილება:** 2-5; **დარტყმა:** 9(3)-18(6); **ჯარიმა:** 22-22; **კუთხური:** 3-6; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 20 836

### კიოლნი-აინტრახტი 1:1

**კიოლნი:** მონდრაგონი-3, უმით ოზათი-4, გერომელი-3.5, მოჰამადი-4.5, ბრეკო-4, პეტიტი-2.5, მატიპი-3.5, სანუ-5 (66. ვუჩიჩევიჩი-4), ანტარი-5.5 (88. იალჩინი), რადუ-4 (79. ჩიპი), ნოვაკოვიჩი-2.5.

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-3.5, ოხსი-5.5 (46. მაჰდავიკია-4), რუსი-4, ბელაიდი-3, შპიხერი-4, კრისი-3.5, მ. ფინკი-4, ტოსკი-5 (79. ლიბეროპულოსი), შტაინჰიოფერი-4 (62. კაიო-3), ფენინი-3, ამანატიდისი-4.

*39-ე წუთზე ანტარმა (კიოლნი) ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)*

**გოლები:** 1:0 ნოვაკოვიჩი (33), 1:1 ფენინი (81).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 7(2)-9(1); **ჯარიმა:** 20-19; **კუთხური:** 0-2; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 50 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 3. ჰერტა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. ბორუსია (დ) | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 5. ვოლფსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6. ჰამბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7. ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 8. შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 9. კარლსრუე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 10. არმინია | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 11. ვერდერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 12. ბაიერნი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 13. კიოლნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 14. ბოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15. აინტრახტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 0 |
| 16. კოტბუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 17. ჰანოვერი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 18. ბორუსია (მ) | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 – ვიხნიარეკი (არმინია), იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი); 2 – როზენბერგი (ვერდერი), ნოვაკოვიჩი (კიოლნი), ჰელმესი (ლევერკუზენი), კურანი (შალკე).

## II ბუნდესლიგა

### II ტური

**ფიურტი-ზტ. პაული 5:2**

**გოლები:** 1:0 ჰაასი (18), 1:1 ბრუნსი (35), 2:1 ტაკიი (50), 2:2 ტროიანი (52), 3:2 ალაგუი (77), 4:2 შრიოკი (85), 5:2 ფელგენჰაუერი (88-პენ).

**ოსნაბრიუკი-ფრაიბურგი 2:2**

**გოლები:** 1:0 რაიხენბერგერი (49), 1:1 იეგერი (51), 1:2 ბუტშერი (65), 2:2 ზურმანი (66).

**ფრანკფურტი-კობლენცი 0:0**

**ჰანზა-ალემანია 1:0**

**გოლი:** 1:0 დორნი (71).

**ვეენი-დუისბურგი 1:1**

**გოლები:** 1:0 დიაკიტე (10), 1:1 გრლიჩი (31).

**მიუნხენ 1860-მაინცი 1:2**

**გოლები:** 0:1 კარჰანი (7), 0:2 ნოვესკი (32), 1:2 კუჩუკოვიჩი (48).

**აუგსბურგი-ალენი 3:0**

**გოლები:** 1:0 ტორგელე (32), 2:0 ტორგელე (39), 3:0 საბიჩი (72).

**ობერჰაუზენი-ინგოლშტადტი 2:1**

**გოლები:** 0:1 დემირი (10), 1:1 კაია (30), 2:1 დ. მიულერი (37).

**კაიზერსლაუტ.-ნიურნბერგი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაინცი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 2. ფრაიბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. ჰანზა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. ფიურტი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-5 | 3 |
| 5. აუგსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 6. ნიურნბერგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7. ინგოლშტადტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 8. ალემანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. ალენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 10. ობერჰაუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 11. ოსნაბრიუკი | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 12. დუისბურგი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 13. კობლენცი* | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 1 |
| 14. კაიზერსლაუტ. | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 15. ვეენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 16. ფრანკფურტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 17. ზტ. პაული | 2 | 0 | 1 | 1 | 4-7 | 1 |
| 18. მიუნხენ 1860 | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

* კობლენცს დაკლებული აქვს 3 ქულა

**ბომბარდირები:** 3 – ტორგელე (აუგსბურგი), ბრუნსი (ზტ. პაული); 2 – ალაგუი (ფიურტი), დემირი (ინგოლშტადტი), იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი), ფოილნერი (მაინცი), რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი), დორნი (ჰანზა).

## III ბუნდესლიგა

უნიონი-ბურგჰაუზენი 4:0; ბრაუნშვაიგი-ბაიერნი II 0:1; კარლ ცაისი-ემდენი 1:1; დრეზდენი-შტუტგარტი II 1:0; დიუსელდორფი-უნტერჰახინგი 0:0; პადერბორნი-რეგენსბურგი 3:1; აალენი-ერფურტი 0:2; ვუპერტალი-ოფენბახი 2:1; შტუტ. კიკერსი-ზანდჰაუზენი 0:1; ვერდერი II-აუე 4:2.

ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური

# ჩელსი და ლივერპული სრული სვლით

## ოუენის გოლი, სისეს საუცხოო დებიუტი და განაცხადს მიღმა დარჩენილი ბერბატოვი




სისემ სადებიუტო შეხვედრაში სანდერლენდს ტოტენჰემთან მოაგებინა

„ჩელსიმ" ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა. „არისტოკრატებმა" "ვიგანი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს. ერთადერთი გოლი **დეკუმ** თამაშის დასაწყისში, საუცხოოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით გაიტანა. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეგირდები იმ გუნდის აჩრდილს ჰგავდნენ, რომელმაც პირველ ტურში "პორტსმუთი" გაანადგურა. მაგრამ მთავარია შედეგი. ორი ტურის შემდეგ ბრაზილიელ მწვრთნელს ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს. "ჩელსი" პრემიერლიგის ერთადერთი კლუბია, რომელსაც ჯერჯერობით გოლი არ გაუშვია.

თამაშისწინა მოთელვაზე "ვიგანს" ძირითადი მეკარე **კრის კერკლანდი** დაუშავდა. მისი ადგილი **მაიკ პოლიტმა** დაიკავა. ტრავმის გამო მასპინძლებს წამყვანი ცენტრალური მცველი **პაულ შახნერიც** გამოაკლდათ. შეხვედრა "ვიგანის" იერიშით დაიწყო. მოედნის ცენტრში დეკუმ და **მიხაელ ბალაკმა** ერთმანეთს ვერ გაუგეს. ამით **ვილსონ პალასიოსმა** ისარგებლა, მაგრამ შეტევის დაგვირგვინება ვერ შეძლო. მეოთხე წუთზე "ვიგანის" კარში საჯარიმო დაინიშნა. **ლი კატერმოულმა** თამაშის წესები ზედ საჯარიმო მოედნის ხაზზე დაარღვია. დეკუმ ბურთი მოჭრა და მეტოქის მეკარე გააშეშა 1:0.

მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მეტოქე წნეხში მოაქციეს. თამაში მაღალ ტემპში გაგრძელდა. **ფაბიო კაპელომ**, რომელიც ტრიბუნაზე იჯდა, ნამდვილად ისიამოვნა. მე-14 წუთზე "ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების კაპიტან **ჯონ ტერის** ყვითელი ბარათი აუფრიალეს. სტუმართა მცველები ნერვიულად მოქმედებდნენ. **ჟოზე ბოსინგვას** ვიგანელთა კონტრშეტევის ჩასაშლელად წესების დარღვევა მოუხდა. **პეტრ ჩეხმა** რამდენიმე რთული იერიში მოიგერია. "ჩელსის" ყოფილმა ფეხბურთელმა **მარიო მელხიოტმა** მარჯვენა ფლანგი აიკლო. ის მეტოქის საჯარიმოში პასს პასზე აკეთებდა. თუმცა "არისტოკრატები" გულხელდაკრეფილნი არ მსხდარან და მეტოქის იერიშებს იერიშებით პასუხობდნენ. იმავე მელხიოტმა **ნიკოლა ანელკას** შეტევა შეაჩერა.

მატჩის სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. ლონდონელები უჩვეულოდ ღელავდნენ. **რიკარდო კარვალიოსა** და ჩეხის შეუთანხმებელი მოქმედება კინაღამ გოლით დასრულდა. თამაშის მიწურულს "ვიგანმა" კიდევ ერთხელ გაიბრძოლა. **ოლივიე კაპომ** სტუმართა კარს სახიფათოდ შეუტია. ჩეხმა ბურთი ეფექტური ნახტომით კუთხურზე გადააგდო.

"ფულჰემმა" "არსენალთან" სენსაციურად გაიმარჯვა. გადამწყვეტი გოლი ნორვეგიელმა მცველმა **ბრედე ჰანგელანდმა** შეაგდო. "ფულჰემისაგან" ეს წარმატება მით უფრო გასაკვირი იყო, რომ პირველ ტურში გუნდმა პრემიერლიგის დებიუტანტ "ჰალ სიტისთან" წააგო. "მეთოფეებს" ცივი შხაპი გადაავლეს. სამი დღის თავზე "არსენალი" ჩემპიონთა ლიგის განმეორებით საკვალიფიკაციო მატჩში ჰოლანდიურ "ტვენტეს" შეხვდება.

**არსენ ვენგერის** შეგირდებმა სეზონის პირველი მარცხი იწვნიეს. მათ პირველი ტაიმი ისე სუსტად ჩაატარეს, რომ "ფულჰემს" რამდენიმე გოლის გატანა მართებდა. არადა, თავიდან ყველაფერი გეგმის მიხედვით დაიწყო. **თეო უოლკოტმა** მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა. **სამირ ნასრიმ** ბურთს ფეხი ააცილა. **რობინ ვან პერსიმ** ბურთი ცარიელი კარიდან რვა იარდში მიიღო, მაგრამ ვერ გაიტანა. რამდენიმე წუთში ფულჰემელმა ჰანგელანდმა ანგარიში გახსნა. გოლი კუთხურის გათამაშებას მოჰყვა. **ჯიმი ბალარდის** ჩაწოდებისას, **ვილიამ გალასმა** და **კოლო ტურემ** ვერ ივარგეს. მასპინძელთა მცველმა პასი დაუბრკოლებლად მიიღო და "ფულჰემის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა.

"არსენალმა" სეზონი უსახურად დაიწყო. ერთი კვირის წინ "მეთოფეებს" "ვესტ ბრომვიჩის" დამარცხება ძალიან გაუჭირდათ. მათ მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხეს. გალასი და ტურე ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ერთად არასოდეს უთამაშიათო. სტუმრებმა მეტოქის კართან მხოლოდ ერთი მომენტი შექმნეს. **ბაკარი სანიას** პასს **ემანუელ ადებაიორი** გამოეხმაურა. ტოგოელის თავური "ფულჰემის" კარის მარჯვენა ძელმა აისხლიტა.

ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა "ლივერპულმა". **სტივ ჯერარდმა** გადამწყვეტი გოლი მსაჯისაგან დამატებულ დროში შეაგდო. "ბორომ" "ენფილდზე" უკანასკნელად 1976 წელს მოიგო. შაბათის მატჩის მე-60 წუთზე რივერსაიდელთა თავკაცმა **გარეთ საუთგეიტმა** მიდო გამოიყვანა. ათ წუთში ეგვიპტელმა თავდამსხმელმა ანგარიში გახსნა. მიდლსბროელებს ნავსის გატეხვის შანსი გაუჩნდათ. ლივერპულელები 16 წუთის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ მეტოქის დამწუხრებას. მათ მხსნელად სტუმართა მცველი **ემანუელ პოგატეცი** მოევლინათ. პოგატეცმა **ჯეიმი კარაგერის** ძლიერად დარტყმულ ბურთს შეუცვალა მიმართულება და ავტოგოლი გაიტანა. გავიდა კიდევ ხუთი წუთი და ჯერარდმა მეტოქეს ის ერთი ქულაც ჯიბიდან ამოაცალა.

**რაფა ბენიტესმა** დაცვის ცენტრში დაშავებული **სემი ჰიიპიას** ნაცვლად **მარტინ შკრტელი** ათამაშა. ჯერარდს თითქოს არ უნდა ეთამაშა. მას საზარდულის ტრავმამ შეახსენა თავი, მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მინდორზე მთელი 90 წუთი გაატარა. **რობი კინმა** და **ანდრეა დოსენამ** "ენფილდ როუდზე" სადებიუტო მატჩები ჩაატარეს. "მიდლსბრომ" ერთი კვირის წინანდელ შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეცვალა. მოთელვისას დაშავებული მეკარის, **ბრედ ჯოუნსის** ადგილი **როს ტერნბულმა** დაიკავა.

"სანდერლენდმა" "ტოტენჰემს" სეზონის მეორე მარცხი აგემა. გადამწყვეტი გოლი დებიუტანტმა **ჯიბრილ სისემ** შეაგდო. ფრანგი თავდამსხმელი ინგლისში ორიოდე დღით ადრე ჩავიდა. მისი ტრანსფერი რეგისტრაციაში თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გაატარეს. "ტოტენჰემმა" განაცხადშიც კი არ შეიყვანა **დიმიტარ ბერბატოვი**. "მამლების" თავკაც **ხუანდე რამოსს** მიაჩნია, რომ ბულგარელი დანარჩენ ფეხბურთელებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. ბერბატოვს მოტივაციის არქონაში ადანაშაულებენ. რამოსს ასეთი მოთამაშის გუნდში გაჩერება მიზანშეუწონლად მიაჩნია.

ერთი წლის წინ "ტოტენჰემს" ოთხი ძლიერი თავდამსხმელი ჰყავდა და ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებდა. იმ ოთხი ფორვარდიდან გუშინწინდელ მატჩში მხოლოდ ერთმა, **დარენ ბენტმა** ითამაშა. **ჯერმეინ დეფომ** და **რობი კინმა** სხვა კლუბებს მიაშურეს. ბერბატოვი კი ტრანსფერზე დაყენებას ითხოვს. მისი შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედს" სურს. "მამლებს" თავდასხმაში პრობლემები აქვთ. ბერბატოვის აბარგების შემთხვევაში, მისი შემცვლელის შესაძენად გუნდს თითზე ჩამოსათვლელი დღეები.

"ნიუკასლმა" **მაიკლ ოუენის** გოლით გაიმარჯვა. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელს ტრავმის გამო მთელი მოსამზადებელი ეტაპი გაუცდა. მან სრული დატვირთვით ვარჯიში რამდენიმე დღის წინ განაახლა. **კევინ კიგანმა** ფეხბურთელი განაცხადში შეიყვანა. მეორე ტაიმის დასაწყისში, როდესაც მიხვდა, რომ მისი შეგირდები "ბოლტონს" ვერაფერს უხერხებდნენ, ოუენს უხმო. მაიკლმა **ობა მარტინსი** შეცვალა და პირველივე რეალური მომენტი გოლად აქცია. ოუენის გოლით გათამამებული კიგანი ახლა უფრო ჯიუტად მოსთხოვს დირექტორებს ფეხბურთელთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას. აღვნიშნოთ **შეი გივენის** საუცხოო თამაშიც. მეორე ტაიმის დასაწყისში ირლანდიელმა მეკარემ **კევინ ნოლანის** 11-მეტრიანი მოიგერია.

და კიდევ, "მანჩესტერ სიტიმ" "ვესტ ჰემს" სამი უპასუხო გოლი გაუტანა, მაგრამ წამყვანი მცველის, **მიკა რიჩარდსის** გარეშე დარჩა. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი თანაგუნდელ **ტალ ბენ-ჰაიმს** შეასკდა და გონება დაკარგა. გასახდელში ფეხბურთელი გონს მოეგო, მაგრამ მაინც საავადმყოფოში გადაიყვანეს. უცნობია, რამდენი ხანი გაუცდება მას. ხუთშაბათს "სიტი" უეფას თასზე დანიულ "მიდტიულანდს" შეხვდება. ინგლისელებმა პირველი შეხვედრა მინიმალური ანგარიშით დათმეს.

**შალვა ბიბილაშვილი**

### მომდევნო ტური

**30 აგვისტო. არსენალი-ნიუკასლი, ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი, ევერტონი-პორტსმუთი, ჰალი-ვიგანი, მიდლსბრო-სტოკი, ვესტ ჰემი-ბლექბერნი. 31 აგვისტო. ასტონ ვილა-ლივერპული, ჩელსი-ტოტენჰემი, სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი.**

### ბლექბერნი-ჰალი 1:1

**ბლექბერნი:** რობინსონი, ოოიერი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, რიდი, მოკოენა (67. ქერიმოღლუ), დანი (46. ემერტონი), პედერსენი, როკე სანტა კრუსი, რობერტსი (81. მაკარტი).

**ჰალი:** მაიჰილი, რიკეტსი, ტერნერი, ენტონი გარდნერი, დოსონი (58. მენდი), გარსია (78. ბარმბი), ეშბი, მარნი, ფეგანი, ჯოვანი (65. ფოლანი), კინგი.

**გოლები:** 1:0 რობერტსი (38), 1:1 გარსია (40)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 12(2)-7(3); **ჯარიმა:** 11-15; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 23 439

### ლივერპული-მიდლსბრო 2:1

**ლივერპული:** რეინა, არბელოა (83. ელ ზარი), კარაგერი, შკრტელი, დოსენა (75. აურელიო), კუიტი, ჯერარდი, ალონსო, ბენაიუნი (65. ბაბელი), რობი კინი, ტორესი.

**მიდლსბრო:** ტერნბული, ვიტერი, ჰუთი, პოგატეცი, ტეილორი (75. ჰოიტი), ალიადიერი, ონილი, მოჰამედ შოქი, დაუნინგი, ალვეში (60. მიდო), თუნჯაი (87. დიგარდი).

**გოლები:** 0:1 მიდო (70), 1:1 პოგატეცი (86-საკ. კარში), 2:1 ჯერარდი (90)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 21(5)-9(4); **ჯარიმა:** 11-15; **კუთხური:** 14-3; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 43 168

### ნიუკასლი-ბოლტონი 1:0

**ნიუკასლი:** გივენი, ბეიე, ტეილორი, კოლოჩინი, ნზოგბია, მილნერი, ბატი, გუტრი, გუტიერესი, მარტინსი (53. ოუენი), დაფი (46. ჯერემი).

**ვილა:** იაასკელაინენი, სტეინსონი, კაჰილი, ენდრიუ ობრაიენი, სამუელი, ჯოი ობრაიენი (85. მუსტაფა), ნოლანი, მუამბა, ტეილორი (65. გარდნერი), დევისი, ელმანდერი (15. მაკენი).

**გოლი:** 1:0 ოუენი (71)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(2)-9(1); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 4-6; **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 47 711

### სტოკი-ასტონ ვილა 3:2

**სტოკი:** სორენსენი, გრიფინი, კორტი, აბდულაიე ფაიე, დიკინსონი, ლორენსი, ოლოფინიანა, დელაპი, ამდი ფაიე (72. დიაო), კიტსონი (76. სიდიბე), ფულერი (87. კრესველი).

**ვილა:** ფრიდელი, ლუკ იანგი, ლაურსენი, დევისი, შორი (73. რუთლიჯი), პეტროვი, რეო-კოკერი, ბერი, ეშლი იანგი, ქერიუ, აგბონლაორი.

**გოლები:** 1:0 ლორენსი (30-პენ), 1:1 ქერიუ (63), 2:1 ფულერი (80), 2:2 ლაურსენი (84), 3:2 სიდიბე (90)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 10(3)-6(2); **ჯარიმა:** 15-5; **კუთხური:** 2-8; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 27 500

### ტოტენჰემი-სანდერლენდი 1:2

**ტოტენჰემი:** გომესი, ზოკორა, კინგი, ვუდგეიტი, ასუ-ეკოტო (56. ჰადლსტონი), მოდრიჩი, ლენონი (56. ჯოვანი), ჯენასი, ბენტლი, ბეილი, ბენტი.

**სანდერლენდი:** გორდონი, ბერდსლი, ნოსვორთი, ჰიგინობთემი, კოლინზი, მალბრანკი, ვაიტჰედი, რიდი (87. მილერი), რიჩარდსონი (65. სისე), დიუფი, მერფი.

**გოლები:** 0:1 რიჩარდსონი (55), 1:1 ჯენასი (73), 1:2 სისე (83)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 19(6)-13(4); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 12-6; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 36 064

### ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი 1:2

**ბრომვიჩი:** კარსონი, ზუიველოონი, მეიტე, ბარნეტი, რობინსონი, მორისონი, კიმი (71. მაკდონალდი), კორენი (70. ბედნარი), გრინინგი, ბრანტი, მილერი (80. ბიტი).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ნევილი, იობო, ლესკოტი, ბაინესი, ჟაგიელკა, არტეტა, როდველი, ოსმანი, ბაქსტერი (58. ვოგანი), იაკუბუ (86. ნუნუ ვალენტე).

**გოლები:** 0:1 ოსმანი (65), 0:2 იაკუბუ (76), 1:2 ბედნარი (89-პენ)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 19(4)-10(3); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 11-5; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 26 190

### ფულჰემი-არსენალი 1:0

**ფულჰემი:** შვარცერი, პანტსილი, ჰიუზი, ჰანგელანდი, კალიო (74. ბეირდი), დევისი, ბულარდი, მერფი (81. თეიმურიანი), გერა, ზამორა, კი-ჰიეონი (77. დემპსი).

**არსენალი:** ალმუნია, სანია, ტურე (77. სონგბილონგი), გალასი, კლიში, უოლკოტი (65. ბენდტნერი), ებუე, დენილსონი, ნასრი, ადებაიორი, ვან პერსი.

**გოლი:** 1:0 ჰანგელანდი (21)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 6(2)-20(1); **ჯარიმა:** 16-6; **კუთხური:** 1-5; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 25 276

### ვიგანი-ჩელსი 0:1

**ვიგანი:** პოლიტი, მელხიოტი (85. კამარა), ბოისი, ბრემბლი, ფიგეროა, ვალენსია, კატერმოული, პალასიოსი (80. კაპო), კუმასი (46. დე რიდერი), ჰესკი, ზაკი.

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, კარვალიო, ტერი, ეშლი კოული (83. ბრიჯი), ბალაკი, ესიენი, ლემპარდი, დეკუ, ანელკა (89. მალუდა), ჯო კოული (58. კალუ).

**გოლი:** 0:1 დეკუ (4)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 12(5)-9(2); **ჯარიმა:** 14-17; **კუთხური:** 7-7; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 18 139

### მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი 3:0

**სიტი:** ჰარტი, კორლუკა, რიჩარდსი (54. ჰამანი), ბენ-ჰაიმი, ბოლი, ირლანდი, კომპანი, ჯონსონი, პეტროვი (77. ეტუჰუ), ელანო (77. ევანსი), სტარიჯი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, ბეჰრამი, დევენპორტი, აპსონი, ნილი, ფობერი, ნობლი, პარკერი, ეთერინგტონი (74. ბოა მორტე), ეშტონი, კოული (31. სიერსი/46. მულინსი).

**გოლები:** 1:0 სტარიჯი (65), 2:0 ელანო (70), 3:0 ელანო (76)

**გაძევება:** ნობლი (38).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 16(6)-3(0); **ჯარიმა:** 13-16; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 36 635

პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ. დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. ლივერპული | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 3. ბლექბერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 4. ჰალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5. ნიუკასლი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 6. ასტონ ვილა | 2 | 1 | 0 | 1 | 6-5 | 3 |
| 7. მანჩესტერ სიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 8. ბოლტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 9. ევერტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 10. მიდლსბრო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 11. ფულჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 12. სანდერლენდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 13. არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 14. სტოკ სიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 15. ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 16. მანჩესტერ იუნ. | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 17. ტოტენჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 18. ვესტ ბრომვ. | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 19. ვიგანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 20. პორტსმუთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

### ჩემპიონატი

III ტური

**ბირმინგემი-ბარნსლი 2:0**

გოლები: 1:0 ფილიპსი (13), 2:0 ო'კონორი (45)

**ბლეკპული-შეფილდი 1:3**

გოლები: 0:1 ქუინი (21), 0:2 სპიდი (57-პენ), კაბა (74), 1:3 ჰალფორდი (78)

**კრ. პალასი-ბარნლი 0:0**

**კარდიფი-ნორვიჩი 2:2**

გოლები: 1:0 მაკორმაკი (3), 2:0 მაკორმაკი (67-პენ), 2:1 ლუპოლი (77), 2:2 ლუპოლი (81)

**ჩარლტონი-რედინგი 4:2**

გოლები: 1:0 ჰოლანდი (26), 2:0 გრეი (42-პენ), 2:1 სონკო (45), 2:2 ჰანტი (54-პენ), 3:2 ვარნი (69), 4:2 ბუასა (72)

**ქოვენთრი-ბრისტოლი 0:3**

გოლები: 0:1 ადებოლა (17), 0:2 მაკინდოე (54), 0:3 ბრუკერი (90)

**დერბი-საუთჰემპტონი 0:1**

გოლი: 0:1 მაკგოლდრიკი (58)

**იფსვიჩი-ვულვზი 0:2**

გოლები: 0:1 ებენქს-ბლეიკი (21), 0:2 ედვარდსი (78)

**ნოტინგემი-უოტფორდი 3:2**

გოლები: 1:0 მარტინი (10), 1:1 სმიტი (22), 2:1 ირნშოუ (35), 2:2 სმიტი (61), 3:2 ტაისონი (69)

**პლიმუტი-სუონსი 0:1**

გოლი: 0:1 სკოტლენდი (44)

**ქუინზ პარკი-დონკასტერი 2:0**

გოლები: 1:0 ბლეკსტოკი (5), 2:0 ლედესმა (27)

**უენსდი-პრესტონი 1:1**

გოლები: 1:0 მაკალისტერი (20), 1:1 ჩაპლოუ (77)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბირმინგემი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| 2. ვულვზი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| 3. ბრისტოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 4. პრესტონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 5. შეფილდი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| 6. ჩარლტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 7. სუონსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 8. ქოვენთრი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 9. ქუინზ პარკი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 10. კარდიფი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 11. უენსდი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| 12. რედინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 13. უოტფორდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 14. ნოტინგემი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 15. დონკასტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 16. იფსვიჩი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 17. საუთჰემპტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 18. ნორვიჩი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 19. კრ. პალასი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-2 | 2 |
| 20. დერბი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 21. ბლეკპული | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 22. პლიმუტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 23. ბარნლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 24. ბარნსლი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

### I ლიგა

III ტური

საუთენდი-ბრაიტონი 0:2; იეოვილი-ლიდსი 1:1; როვერსი-ჰერეფორდი 6:1; ქრიუ-უოლსოლი 2:1; ჰარტლპული-სტოკპორტი 0:1; ჰადერსფილდი-მილტონი 1:3; ლესტერი-ტრანმერი 3:1; ლეიტონი-კარლაილი 0:0; ნორთჰემპტონი-მილუოლი 0:0; ოლდჰემი-ჩელტენემი 4:0; სკანთორფი-პიტერბრო 1:0; სუინდონი-კოლჩესტერი 1:3.

### II ლიგა

III ტური

გრიმსბი-ჩესტერფილდი 0:1; აკრინგტონი-მაკლსფილდი 2:0; ბარნეტი-ბრენტფორდი 0:1; ბორნმუთი-ექსეტერი 0:1; ბრედფორდი-როჩდეილი 2:0; ბერი-მორეკამბი 2:1; დაგენჰემი-პორტ ვეილი 1:1; დარლინგტონი-ჯილინგემი 1:2; ლუტონი-ნოტსი 1:1; როტერჰემი-ჩესტერი 3:1; შრიუსბერი-ალდერშოტი 1:0; უიკომბი-ლინკოლნი 1:0.

### კონფერენსი

III ტური

რექსჰემი-ოქსფორდი 2:0; კეტერინგი-რაშდენი 1:1; ბაროუ-მენსფილდი 2:1; ქროულიტორკი 3:1; ისტბურნი-კემბრიჯი 0:3; ებსფლიტი-სტევენეიჯი 4:0; ჰილსტონი-ბარტონი 4:3; კიდერმინსტერი-ალტრინჩემი 4:0; ნორთვიჩიიორკი 2:2; სალისბერი-გრეისი 1:0; უოკინგი-ფორესტ გრინი 0:1; უეიმაუთი-ლიუსი 2:0.

# უცხოური ფეხბურთი

## იტალიის თასი

| | |
|---|---|
| სიენა-ალბინოლეფე | 4:0 |
| ატალანტა-მოდენა | 2:1 |
| ჩიტადელა-ემპოლი | 0:1 |
| ლეჩე-სალერნიტანა | 0:1 |
| კალიარი-ტრიესტინა | 1:0 |
| კატანია-პარმა | 2:1 დ.დ. |
| კიევო-პადოვა | 1:2 |
| კროტონე-ლივორნო | 0:3 |
| პალერმო-რავენა | 1:2 |
| რეჯინა-გროსეტო | 3:0 |
| ბოლონია-ვიჩენცა | 2:0 |
| ლაციო-ბენევენტო | 5:1 |
| ტორინო-ბრეშია | 2:1 დ.დ. |
| ასკოლი-ბარი | 1:0 |
| ჯენოა-მანტოვა | 3:1 |
| სასუოლო-რეჯინა | 1:0 |

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| ინტერი-რომა | 2:2, პენ. 6:5 |

## ესპანეთის სუპერთასი

| | |
|---|---|
| რეალი-ვალენსია | 4:2 |

## საფრანგეთი

### III ტური

| | |
|---|---|
| პავრი-მარსელი | 0:1 |
| ლე მანი-სტ. ეტიენი | 1:0 |
| ლიონი-გრენობლი | 2:0 |
| მონაკო-კაენი | 1:1 |
| ნანსი-ტულუზა | 0:0 |
| სოშო-პსჟ | 1:1 |
| ვალანსი-ლორიანი | 3:1 |
| ოსერი-ნიცა | 0:1 |
| რენი-ლილი | 2:1 |
| ბორდო-ნანტი | 2:0 |

### II დივიზიონი

#### IV ტური

| | |
|---|---|
| ბასტია-გინგამი | 2:1 |
| ბრესტი-სტრასბური | 0:1 |
| შატორუ-ამიენი | 1:0 |
| კლერმონი-ანჟერსი | 2:2 |
| დიჟონი-ტური | 2:1 |
| მეცი-ბულონი | 1:2 |
| რეიმსი-მონპელიე | 0:4 |
| სედანი-აიაჩო | 1:1 |
| ვანი-ტრუა | 1:0 |
| ნიმი-ლანსი | დღეს |

## ჰოლანდიის სუპერთასი

| | |
|---|---|
| ეინდჰოვენი-ფეიენოორდი | 2:0 |

## ბელგია

### II ტური

| | |
|---|---|
| სტანდარდი-ვესტერლო | 3:0 |
| ანდერლეხტი-გენტი | 2:2 |
| შარლერუა-რუზელარე | 1:0 |
| ბეერსხოტი-დენდერი | 1:1 |
| კორტრიიკი-სერკლი | 2:1 |
| ლოკერენი-ტუბეკე | 4:1 |
| მუსკრონი-მეხელენი | 3:1 |
| მონსი-გენკი | 3:1 |

## პორტუგალია

### I ტური

| | |
|---|---|
| გიმარაეში-სეტუბალი | 1:1 |
| ფერეირა-ბრაგა | 0:2 |
| სპორტინგი-ტროფენსე | 3:1 |
| ამადორა-აკადემიკა | 1:0 |
| ნავალი-მარიტიმუ | 1:0 |
| ლეიქსოეში-ნასიონალი | 1:3 |
| პორტუ-ბელენენსეში | 2:0 |
| რიუ ავე-ბენფიკა | 1:1 |

### II დივიზიონი

#### I ტური

| | |
|---|---|
| ოლანენსე-ეშტორილი | 3:2 |
| ფრეამუნდე-ლეირია | 1:0 |
| ბოავშიტა-ვიზელა | 2:1 |
| ოლივეირენსე-ჟილ ვისენტე | 1:1 |
| ავეში-კოვილია | 2:0 |
| ბეირა მარი-სანტა კლარა | 0:0 |
| ფეირენსე-გონდომარი | 2:0 |
| პორტიმონენსე-ვარზიმი | 2:1 |

## შოტლანდია

### III ტური

| | |
|---|---|
| აბერდინი-რეინჯერსი | 1:1 |
| სელტიკი-ფალკირკი | 3:0 |
| ჰართსი-სტ. მირენი | 2:1 |
| ინვერნესი-ჰიბერნიანი | 1:1 |
| კილმარნოკი-ჰამილტონი | 1:0 |
| მოზერველი-დანდი იუნ | 1:1 |

### I დივიზიონი

#### IV ტური

| | |
|---|---|
| დანდი-მორტონი | 1:0 |
| დანფერმლაინი-ეირდრი | 0:0 |
| ლივინგსტონი-კლაიდი | 2:1 |
| პარტიკი-სტ. ჯონსტონი | 4:0 |

### II დივიზიონი

#### IV ტური

| | |
|---|---|
| არბროა-ისტ ფაიფი | 0:1 |
| პიტერჰედი-ალოა | 1:0 |
| ქუინზ პარკი-ბრეჩინი | 1:1 |
| რეითი-სტრანრარი | 2:1 |
| სტირლინგი-ეირი | 2:2 |

### III დივიზიონი

#### IV ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-ბირუიკი | 2:0 |
| დამბარტონი-სტენჰაუზმური | 1:2 |
| ისტ სტირლინგი-ფორფარი | 0:3 |
| ელჯინი-კოუდენბითი | 0:2 |
| მონროუზი-ანენი | 1:1 |

## ავსტრია

### VII ტური

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-კაპფენბერგი | 2:1 |
| შტურმი-ლინცერი | 2:0 |
| ზალცბურგი-რიდი | 2:1 |
| ალტახი-აუსტრია (ქ) | 0:3 |
| რაპიდი-აუსტრია (ვ) | 3:0 |

### II დივიზიონი

#### VI ტური

| | |
|---|---|
| ვინერი-აუსტრია A | 3:0 |
| ფოკლაბრუკი-სტ. პოლტენი | 0:3 |
| ლუსტენაუ-გრიოდიგი | 2:1 |
| ლეობენი-აუსტრია (ლ) | 1:1 |
| ტიროლი-ზალცბურგი A | 2:2 |
| გრატკორნი-ადმირა | 2:4 |

## ფინეთი

### XVIII ტური

| | |
|---|---|
| ლაჰტი-ტამპერე | 2:2 |
| ჰაკა-ჰონკა | 1:2 |
| როვანიემი-იარო | 1:3 |
| ტურკუ-მიუპა | 0:0 |
| ვაასა-მარიეჰამნი | 0:0 |
| კოტკავე-კუოპიო | დღეს |
| ჰიკ-ინტერი | დღეს |

### II დივიზიონი

#### XVIII ტური

| | |
|---|---|
| კემი-ვიფკ | 2:1 |
| იიპო-კპვ | 1:1 |
| იუვიასკიულა-კაპა | 0:0 |
| ტპვ-ჰკ35 | 2:0 |

## ისლანდია

### XVII ტური

| | |
|---|---|
| აკრანესი-ჰკ | 1:2 |
| ბრეიდაბლიკი-ვალური | 0:2 |
| ფიოლნირი-ჰაფნარი | 3:3 |
| გრინდავიკი-ფრამი | 0:2 |
| რეიკიავიკი-კეფლავიკი | 2:2 |
| ტროტური-ფილკირი | 0:0 |

## ირლანდია

### XXIII ტური

| | |
|---|---|
| ფინ ჰარპსი-კოზ რამბლერსი | 2:2 |
| უნივერსიტი-დერი | 1:2 |
| გალვეი-ბოჰემიანსი | 0:2 |
| დროგედა-შემროკი | 1:1 |
| კორკი-ბრეი | 3:0 |
| სტ. პატსი-სლიგო | 1:0 |

## ნორვეგია

### XVIII ტური

| | |
|---|---|
| სტაბეკი-ლინი | 1:1 |
| ჰამარი-ფრედრიკსტადი | 1:1 |
| მიოლდე-ბოდო გლიმტი | 1:2 |
| ტრომსიო-აალესუნდი | 1:0 |
| ვიკინგი-ლილესტრიომი | 0:0 |
| ბრანი-რუსენბორგი | 0:0 |
| ვოლერენგა-სტრომსგოდსეტი | დღეს |

### II დივიზიონი

#### XX ტური

| | |
|---|---|
| ჰიოდი-სტარტი | 0:2 |
| ალტა-ბრინი | 4:1 |
| ჰიონეფოსი-ჰაუგესუნდი | 1:1 |
| ნოტოდენი-მოსი | 2:2 |
| ოდ გრენლანდი-სანდნესი | 3:2 |
| სანდეფიორდი-ლოვ ჰამი | 4:1 |
| სიოგნდალი-კონგსვინგერი | 3:0 |
| სპარტა-ნიბერგსუნდი | 2:2 |

## შვედეთი

### XX ტური

| | |
|---|---|
| ნორჩოპინგი-გიოტებორგი | 2:2 |
| გაის-კალმარი | 1:4 |
| ჰალმსტადი-იურგორდენი | 1:2 |
| ლიუნგსკილე-სუნდსვალი | 2:0 |
| ერებრუ-ელფსბორგი | 2:0 |
| მალმიო-ტრელებორგი | დღეს |
| აიკ-ჰამარბიუ | დღეს |

### II დივიზიონი

#### XXI ტური

| | |
|---|---|
| ანგელჰოლმი-ენჩოპინგი | 4:1 |
| ბრომაპიოკარნა-კვიდინგი | 3:0 |
| სირიუსი-ასირისკა | 3:1 |
| ატვიდაბერგი-დეგერფორსი | დღეს |
| იონჩოპინგი-ლანდსკრონა | დღეს |

## შვეიცარია

### VII ტური

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-ლუცერნი | 4:2 |
| ბაზელი-ქსამაქსი | 4:3 |
| სიონი-ციურიხი | 1:3 |
| ვადუცი-ბელინცონა | 0:0 |
| იანგ ბოიზი-არაუ | 3:3 |

### ჩელენჯლიგა

#### V ტური

| | |
|---|---|
| გოსაუ-ვინტერტური | 0:1 |
| ლოზანა-ვოლენი | 1:3 |
| შო დე ფონი-სტად ნიონე | 0:2 |
| ლოკარნო-სტ. გალენი | 1:2 |
| ტუნი-შაფჰაუზენი | 0:3 |
| ბილ ბიენი-ივერდონი | 1:2 |
| სერვეტი-კონკორდია | 0:0 |
| ვილი-ლუგანო | დღეს |

## თურქეთი

### I ტური

| | |
|---|---|
| გალათასარაი-დენიზლი | 4:1 |
| ჰაჩეთეფე-ბურსა | 1:2 |
| ბუიუქშეჰირი-ესქიშეჰირი | 0:0 |
| წივასი-ქაისერი | 0:0 |
| გაზიანთეფი-ფენერბაჰჩე | 1:0 |
| ტრაბზონი-ანკარა | 2:0 |
| გენჩლერი-ქოჯაელი | 1:1 |
| ქონია-ანკარაგიუჯუ | 3:2 |
| ანთალია-ბეშიქთაში | 2:3 |

## უელსი

### II ტური

| | |
|---|---|
| ჰევერფორდვესტი-კარმარტენი | 1:1 |
| ნიუ-ტნს | 0:1 |
| ებერსვითი-პორტ ტელბოტი | 1:1 |
| ქერნარფონი-რილი | 0:1 |
| ქონეჰსი-ნითი | 5:0 |
| ლანელი-ქერსუოსი | 3:0 |
| ნიუთაუნი-ეირბასი | 0:1 |
| პორტმედოგი-ბანგორი | 0:6 |
| პრესტატინი-უელშპული | 2:2 |

## ბულგარეთი

### III ტური

| | |
|---|---|
| ვიჰრენი-ლოკომოტივი (ს) | 1:0 |
| ბოტევი-ჩერნო მორე | 2:2 |
| მინიორი-ლოკომოტივი (მ) | 2:0 |
| სპარტაკი-სლივენი | 2:2 |
| პირინი-ლიტექსი | 1:1 |
| ცსკა-ლოკომოტივი (პ) | 2:0 |
| სლავია-ბელასიცა | 3:0 |
| ჩერნომორეცი-ლევსკი | გადაიდო |

## ხორვატია

### V ტური

| | |
|---|---|
| ჰაიდუკი-სლავენი | 3:1 |
| ზადარი-დინამო | 2:3 |
| სიბალია-ინკერი | 4:3 |
| კროაცია-რიეკა | 0:1 |
| ზაგრები-ოსიეკი | 2:1 |
| ვარტექსი-შიბენიკი | 2:1 |

## ჩეხეთი

### IV ტური

| | |
|---|---|
| სლავია-ბოჰემიანსი | 5:0 |
| ლიბერეცი-პლზენი | 1:1 |
| ბუდეიოვიცე-სპარტა | 1:4 |
| კლადნო-ზლინი | 1:1 |
| სიგმა-იაბლონეცი | 1:1 |
| ტეპლიცე-პრშიბრამი | 0:0 |
| ვიქტორია-ბანიკი | 0:3 |
| ბრნო-ბოლესლავი | დღეს |

## უნგრეთი

### V ტური

| | |
|---|---|
| ჰალადაში-შიოფოკი | 5:0 |
| დებრეცენი-უიპეშტი | 1:1 |
| კეჩკემეტი-ნირედიაზა | 1:1 |
| რეაკ-ფეჰერვარი | 1:2 |
| ვაშაში-დიოშდიორი | 3:2 |
| კაპოშვარი-დიორი | 0:1 |
| მტკ-პაკსი | 3:1 |
| ჰონვედი-ზალაეგერსეგი | დღეს |

## პოლონეთი

### V ტური

| | |
|---|---|
| რუხი-პოლონია | 2:1 |
| ვისლა-ბელხატოვი | 2:1 |
| პიასტი-არკა | 1:2 |
| შლიონსკი-ოდრა | 4:0 |
| ლკს-პოლონია | 1:2 |
| ლეხი-გურნიკი | 3:0 |
| ლეხია-კრაკოვია | 2:0 |
| ლეგია-იაგელონია | 2:0 |

## რუმინეთი

### V ტური

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-ბრაშოვი | 0:0 |
| გლორია (ბის)-სტიაუა | 2:2 |
| უნივერსიტატეა-ოცელული | 1:0 |
| ვასლუი-კლუჟი | 2:1 |
| გლორია (ბუზ)-პოლიტეხნიკა (ტ) | 1:2 |
| რაპიდი-დინამო | 2:1 |
| ოტოპენი-უნირეა | დღეს |
| პანდური-არჯეში | დღეს |
| პოლიტეხნიკა (ი)-ფარული | გადაიდო |

## რუსეთი

### XIX ტური

| | |
|---|---|
| სპარტაკი-დინამო | 1:1 |
| ტერეკი-ლოკომოტივი | 2:1 |
| შინიკი-ტომი | 0:1 |
| რუბინი-ხიმკი | 2:0 |
| კრილია-ზენიტი | 0:3 |
| სატურნი-ლუჩი | 2:1 |
| ნალჩიკი-ცსკა | 0:0 |
| მოსკოვი-ამკარი | 0:1 |

## სერბეთი

### II ტური

| | |
|---|---|
| იაგოდინა-ბორაცი | 1:1 |
| პარტიზანი-ნაპრედაკი | 3:1 |
| ჩუკარიჩკი-რადი | 2:1 |
| ბანატი-ცრვენა ზვეზდა | 0:0 |
| ჰაიდუკი-ოფკ | 0:0 |
| იავორი-ვოივოდინა | 1:0 |

## სლოვაკეთი

### VI ტური

| | |
|---|---|
| დ. სტრედა-ბისტრიცა | 2:1 |
| ნიტრა-ტრნავა | 1:5 |
| ჟილინა-სლოვანი | 1:0 |
| მორავცე-რუჟემბეროკი | 1:1 |
| ტატრანი-დუბნიცა | 1:4 |
| არტმედია-კოშიცე | 2:3 |

## სლოვენია

### VI ტური

| | |
|---|---|
| პუბლიკუმი-მარიბორი | 3:3 |
| პრიმორიე-რუდარი | 3:1 |
| დრავა-კოპერი | 2:1 |
| ნაფტა-გორიცა | 1:0 |
| დომჟალე-ინტერბლოკი | 4:0 |

## უკრაინა

### VI ტური

| | |
|---|---|
| ვორსკლა-შახტარი | 1:0 |
| მეტალისტი-ილიჩივეცი | 2:0 |
| კრივბასი-ხარკოვი | 1:1 |
| კარპატი-დნიპრო | 0:0 |
| ჩერნომორეცი-ზორია | 1:3 |
| არსენალი-დინამო | 0:2 |
| მეტალურგი (დ)-ტავრია | 2:1 |
| მეტალურგი (ზ)-ლვოვი | 2:1 |

## არგენტინა

### III ტური

| | |
|---|---|
| როსარიო-კოლონი | 0:1 |
| ხიმნასია (ლ)-ურაკანი | 1:0 |
| ბანფილდი-რივერი | 2:1 |
| ხიმნასია (ხ)-ნიუელსი | 1:0 |
| არსენალი-გოდოი | 2:1 |
| ველესი-ტიგრე | 1:1 |
| რასინგი-ინდეპენდიენტე | 1:1 |
| ბოკა-ლანუსი | 2:1 |
| სან ლორენსო-ესტუდიან. | გვ. დასრულდა |
| სან მარტინი-არგ. ხუნიორ. | გვ. დასრულდა |

## ბრაზილია

### XXII ტური

| | |
|---|---|
| ფიგუერენსე-ვიტორია | 1:2 |
| ფლუმინენსე-სპორტ რესიფე | 1:1 |
| კურიტიბა-სან პაულუ | 2:2 |
| ინტერნასიონალი-ფლამენგო | 1:1 |
| იპატინგა-გოიაში | 1:0 |
| პალმეირასი-პორტუგეზა | 4:2 |
| სანტოსი-კრუზეირო | 2:0 |
| ნაუტიკო-გრემიო | გვ. დასრულდა |
| ვასკო-ბოტაფოგო | გვ. დასრულდა |
| ატ. მინეირო-ატ. პარანაენსე | გვ. დასრულდა |

## აშშ

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-სოლტ ლეიკი | 3:0 |
| ტორონტო-ნიუ ინგლენდი | 1:1 |
| დი სი იუნაიტედი-კოლორადო | 3:0 |
| კანზასი-დალასი | 1:1 |
| ჩივასი-სან ხოსე | 0:0 |
| ნიუ იორკი-ჰიუსტონი | 3:0 |

## ჩილე

### კლაუსურა

#### X ტური

| | |
|---|---|
| უაჩიპატო-პალესტინო | 1:2 |
| აუდაქსი-ოსორნო | 1:2 |
| უნ. ჩილე-უნ. კონსეპსიონი | 1:1 |
| ევერტონი-უნ. ესპანიოლა | 2:0 |
| დეპ. ნუბლენსე-კობრელოა | 1:1 |
| ო'ჰიგინსი-კოლო კოლო | 0:3 |
| ს. მორნინგი-რეინჯერსი | 1:1 |
| კობრესალი-ლა სერენა | 1:1 |
| დეპ. კონსეპს.-მელიპილია | გვ. დასრულდა |
| ანტოფაგას.-უნ. კატოლიკა | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

### VI ტური

| | |
|---|---|
| ამერიკა დე კალი-ინდეპენდიენტე | 1:0 |
| ატ. ნასიონალი-დეპ. კალი | 1:1 |
| ჩიკო-ბუკამარანგა | 1:2 |

## ეკვადორი

### აპერტურა

#### IX ტური

| | |
|---|---|
| დეპ. კუენსა-ტექ. უნივერსიტარიო | 2:0 |
| დეპ. მაკარა-უნ. კატოლიკა | 3:2 |
| ელ ნასიონალი-დეპ. კიტო | 2:1 |
| ლიგა დე კიტო-ესპოლი | 2:1 |
| ასოგესი-ემელეკი | 1:2 |
| ბარსელონა-ოლმედო | გვ. დასრულდა |

## პერუ

### აპერტურა

#### XXVIII ტური

| | |
|---|---|
| სესარ ვალეხო-სპორტ ბოისი | 3:0 |
| სპ. კრისტალი-სპორტი | 2:1 |
| უნ. პერუ-ატ. მინერო | 1:1 |
| ხოსე გალვესი-ალ. ლიმა | 4:3 |
| სან მარტინი-კორონელი | 3:1 |
| მელგარი-ალ. ატლეტიკო | გვ. დასრულდა |
| ხუან აურიჩი-სენსიანო | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

### I ტური

| | |
|---|---|
| სერო (ლ)-დანუბიო | 0:1 |
| დეფენსორი-სერო | 0:0 |
| ხუვენტუდი-ნასიონალი | 0:1 |
| რასინგი-რივერი | 1:1 |
| მონტევიდეო-პენიაროლი | 1:2 |
| პამპლა-სენტრალი | 0:0 |
| ტაკუარემბო-ბელა ვისტა | 3:0 |
| ვილა-ლივერპული | 0:0 |

## მექსიკა

### V ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ნეკაქსა | 2:2 |
| ჩივასი-ს. ლაგუნა | 3:5 |
| ინდიოსი-ტოლუკა | 1:1 |
| ატლანტე-ატლასი | 2:2 |
| სან ლუისი-ტიგრესი | 1:0 |
| კრუს ასული-მონტერეი | 3:2 |
| პუებლა-მორელია | 2:0 |
| პუმასი-პაჩუკა | 3:1 |
| ამერიკა-ხაგუარესი | გვ. დასრულდა |

## იაპონია

### XXII ტური

| | |
|---|---|
| ტოკიო-ვერდი | 1:2 |
| კაშიმა-ნაგოია | 1:2 |
| ურავა-ივატა | 3:1 |
| გამბა-კობე | 1:1 |
| კიოტო-ნიიგატა | 1:0 |
| შიმიცუ-კაშივა | 3:2 |
| ოიტა-ომიია | 1:0 |
| იოკოჰამა-საპორო | 1:0 |
| ჯეფ იუნაიტედი-კავასაკი | 0:1 |

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ვილემი-რაიო ვალეკანო | 1:0 |
| ოსასუნა-ვიტესი | 4:0 |
| ვალიადოლიდი-ბილბაო | 5:2 |
| ალმერია-ბეტისი | 3:1 |
| სპორტინგი (ხ)-მილანი | 2:0 |
| ესპანიოლი-უდინეზე | 1:0 |

# TV სპორტი

## 25 აგვისტო. ორშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ჩელსი.
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ნანტი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი.
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:55 ინგლისი ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
00:55 საფეხბურთო ღამე.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:15 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
07:40 პეკინი 2008. კალათბურთი. კაცები. ფინალი. აშშ-ესპანეთი.
09:30 პეკინი 2008.
10:20 ფეხბურთი. იტალიის სუპერთასი. ინტერი-რომა.
12:00 პეკინი 2008. მხატვრული ტანვარჯიში.
13:20 პეკინი 2008. კალათბურთი. ქალები. ფინალი. აშშ-ავსტრალია.
15:10 პეკინი 2008. ფრენბურთი. კაცები. ფინალი. აშშ-ბრაზილია.
16:40 პეკინი 2008. დახურვის ცერემონია.
19:00 სპორტის სამყარო.
19:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ჩელსი.
21:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე.
23:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
01:00 პროფესიული კრივი. მენი პაკიაომარკო ანტონიო ბარერა.
04:15 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
05:20 პეკინი 2008.
06:05 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
06:30 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.

### EUROSPORT

10:30 პეკინი 2008. ფრენბურთი. კაცები. ფინალი. აშშ-ბრაზილია.
11:30 პეკინი 2008. კალათბურთი. კაცები. ფინალი. აშშ-ესპანეთი.
12:30 პეკინი 2008. ფეხბურთი. კაცები. ფინალი. არგენტინა-ნიგერია.
13:30 მულტისპორტი.
14:00 პეკინი 2008. საუკეთესო მომენტები.
16:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. I დღე.
19:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. I დღე (LIVE).

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. საფრანგეთი.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. საფრანგეთი.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. საფრანგეთი.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. პორტუგალია.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნიუ ჰევენი. აშშ.
14:00 ახალი ამბები.
16:00 პლაჟის ფრენბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. პორტუგალია.
16:30 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. I რბოლა.
17:15 ველოსპორტი. ბენილუქსის ტური. V ეტაპი.
19:30 ხელბურთი საერთაშორისო ტურნირი. ფინალი.
19:45 სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა (LIVE).
20:30 ახალი ამბები.
21:00 ექსტრემალური სპორტი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. I დღე (LIVE).
01:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
02:30 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ევროპის გრანპრი

# არშემდგარი ზეიმი



ევროპის გრანპრის მიმართ აჟიოტაჟი მისი სტარტიდან კარგა ხნით ადრე აგორდა. ჩემპიონატი გადამწყვეტ სტადიაში შევიდა და ნებისმიერ ეტაპს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა ამისა, ჩემპიონატში ქუჩის მეორე რბოლის ჩატარება ამ გრანპრის დამატებით ინტრიგას მატებდა. მოკლედ, ვალენსიის ეტაპისგან ბევრს ელოდნენ: ტრიბუნებზე ანშლაგს, გასწრებებს, გუნდებს შორის ტაქტიკურ ბრძოლებს და უკომპრომისო დაპირისპირებას. სინამდვილეში კი გუშინდელმა რბოლამ ფორმულის გულშემატკივრებს იმედი გაუცრუა.

ახალ ტრასას ყველაზე უკეთ ალღო **ფელიპე მასამ** აუღო, რომელმაც კვალიფიკაციაში ყველას აჯობა. გუშინ სტარტზეც იყოჩაღა და დაწინაურებულმა ყოველგვარი გართულებების გარეშე გაიარა 57 წრე. "ფერარის" ბრაზილიელ პილოტს ერთადერთი პრობლემა მეორე პიტ-სტოპისას ჰქონდა, როცა ბოქსებიდან გასასვლელში კინაღამ **ადრიან სუტილს** შეასკდა. ბრაზილიელისთვის საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და მან სეზონში მეოთხე გამარჯვებას მიაღწია.

ბოქსებში "ფერარის" პრობლემები ამით არ ამოწურულა. **კიმი რაიკონენის** მეორე პიტ-სტოპი კინაღამ ტრაგედიით დასრულდა. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ბოქსებში **ჰეიკი კოვალაინენთან** ერთად შევიდა და მოუთმენლობისგან ისე სწრაფად დაძრა მანქანა, რომ მექანიკოსებმა საწვავის მილის ბოლიდიდან ამოღება ვერ მოასწრეს. შედეგად, ორი ინჟინერი ძირს დაეცა და როგორც ერთი შეხედვით ჩანდა, მათ ტრავმები ჰქონდათ მიღებული. რაიკონენს კი რამდენიმე წამით შეყოვნება ერთ დაკარგულ პოზიციად დაუჯდა. ის კოვალაინენის გარდა, **იარნო ტრულისაც** ჩამორჩა. თუმცა ცოტა ხანში რაიკონენს ეს აღარ აინტერესებდა. მისი ბოლიდის ძრავამ ბოლი აუშვა და ფინელი რბოლას გამოეთიშა.

რბოლის შემდეგ რაიკონენმა ასეთი კომენტარი მისცა თავის გამოსვლას: *"მანქანა ადრე დავძარი, რის გამოც მექანიკოსი დაზარალდა. ინციდენტში დამნაშავე მე ვარ, თუმცა უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ ეს ეპიზოდი.*

*რბოლიდან გამოთიშვას რაც შეეხება, ძრავის მუშაობაში პრობლემები არ შემიმჩნევია, ამიტომაც ამ კითხვაზე დღეს პასუხის გაცემა გამიჭირდება. ეს შემთხვევა იმის ანალოგიურია, რაც ფელიპე მასას უნგრეთში შეემთხვა. ვფიქრობ, გუნდს მოუწევს ამ მიმართულებით მუშაობა.*

*მჯერა, რომ ჯერ არ დამიკარგავს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის შანსი. უბრალოდ, საკვალიფიკაციო პრობლემები უნდა მოვაგვარო და დარჩენილ რბოლებში ბოლომდე გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები".*

კიმი ზედიზედ რვა ეტაპია ვერ ახერხებს გამარჯვებას და მისი ჩამორჩენა ლიდერ **ლუის ჰემილტონთან** 13 ქულას შეადგენს.

ჰემილტონს რაც შეეხება, ის მასას ვერაფრით დაეწია, სამაგიეროდ, მეორე ადგილში არავინ შესცილებია "მაკლარენის" ბრიტანელ პილოტს. საერთოდაც, პირველ ოთხ ადგილზე გასულმა პილოტებმა ზუსტად ის პოზიციები დაიკავეს, რაც წინა დღეს საკვალიფიკაციო რბოლის დროს ჰქონდათ.

გუშინდელი გამარჯვებით მასამ თანაგუნდელ რაიკონენს გაასწრო და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მისი ჩამორჩენა ჰემილტონთან 6 ქულას შეადგენს.

გია თვალაბეიშვილი




| ევროპის გრანპრი. XII ეტაპი | |
|---|---|
| ვალენსია (57 წრე, 310.080 კმ) | |
| 1 (1). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | 1:35.32,339 (2 პიტ-სტოპი) |
| 2 (2). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +5,600 (2) |
| 3 (3). რობერტ კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | +37,300 (2) |
| 4 (4). ჰეიკი კოვალაინენი (მაკლარენი, ფინეთი) | +39.700 (2) |
| 5 (7). იარნო ტრული (ტოიოტა, იტალია) | +50.600 (2) |
| 6 (6). სებასტიან ფეტელი (ტორო როსო, გერმანია) | +52.600 (2) |
| 7 (13). ტიმო გლოკი (ტოიოტა, გერმანია) | +1:07.900 (1) |
| 8 (9). ნიკო როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | +1:11.400 (2) |
| 9 (8). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | +1:22.100 (2) |
| 10 (10). სებასტიან ბურდე (ტორო როსო, საფრანგეთი) | +1:29.700 (2) |
| 11 (15). ნელსინიო პიკე (რენო, ბრაზილია) | +1:32.700 (1) |
| 12 (14). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 1 წრე (1) |
| 13 (16). ჯენსონ ბატონი (ჰონდა, ბრიტანეთი) | 1 წრე (1) |
| 14 (18). ჯანკარლო ფიზიკელა (ფორს-ინდია, იტალია) | 1 წრე (1) |
| 15 (11). კაზუკი ნაკაჯიმა (უილიამსი, იაპონია) | 1 წრე (2) |
| 16 (19). რუბენს ბარიკელო (ჰონდა, ბრაზილია) | 1 წრე (1) |
| 17 (17). დევიდ კულტჰარდი (რედ ბული, ბრიტანეთი) | 1 წრე (2) |
| 18 (4). კიმი რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | 12 წრე (2) |
| 19 (20). ადრიან სუტილი (ფორს-ინდია, გერმანია) | 16 წრე (2) |
| 20 (12). ფერნანდო ალონსო (რენო, ესპანეთი) | 56 წრე (1) |

კონსტრუქტორთა თასი: 1. ფერერი - 121; 2. მაკლარენი - 113; 3. BMW-ზაუბერი - 96; 4. ტოიოტა - 41; 5. რენო - 31; 6. რედ ბული - 24; 7. უილიამსი - 17; 8. ჰონდა - 14; 9. ტორო როსო - 11.

რაგბი. სამი ერი

# ბოკე თავის თავს აღარ ჰგავს



სამხრეთმა აფრიკამ სამი ერის მეორე საშინაო მატჩში ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. მსოფლიოს ჩემპიონებმა ამჯერად ავსტრალიის ნაკრებს ვერ მოუხერხეს ვერაფერი - 15:27.

ავსტრალიელებს სამხრეთ აფრიკაში რვა წელია, აღარ მოეგოთ და ამჯერადაც მათი წარმატების ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა. როგორც ჩანს, "ქურციკებს" სერიოზული პრობლემები აქვთ. ხუთ მატჩში ოთხი წაგება მსოფლიოს ჩემპიონისთვის სწორედაც რომ შეუფერებელი შედეგია. ამ მარცხით აფრიკელებმა სამი ერის მოგების შანსი საბოლოოდ დაკარგეს.

"ვოლაბებს" დურბანში მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ და მიაღწიეს კიდეც. პირველი ტაიმი სტუმრებმა სულაც მშრალი ანგარიშით 10:0 მოიგეს. ანგარიში საჯარიმოდან **მეტ გიტომ** მე-9 წუთზე გახსნა. რასაც ოცი წუთის შემდეგ შერკინების ბურჯის **ბენ რობინსონის** ლელო მოჰყვა და გიტომ გარდასახვა ისევ ზუსტად დაარტყა.

ბოკემ პირველი სამი ქულის მოპოვება მხოლოდ 44-ე წუთზე შეძლო. **ბუჩ ჯეიმზს** ახლო მანძილიდან საჯარიმოს გატანა არ გასჭირვებია. თუმცა ათქულიანი სხვაობა გიტომ ექვს წუთში ისევ აღადგინა. ფიცხელი თამაში კი მატჩის ბოლო 20 წუთში გაჩაღდა.

მე-60 წუთზე "ვოლაბების" გარემარბმა **ლოტე ტუქირიმ** ჩვეული რეიდი მოაწყო მოედნის სილრმიდან და მოწინააღმდეგის ლელომდე უწია. გიტომ ისევ გარდასახა და ანგარიშში სხვაობა 17 ქულამდე გაზარდა - 20:3.

"ქურციკები" ამ შეხვედრის გადამრჩენნი აღარ ჩანდნენ, მაგრამ საკუთარი ქომაგების თვალწინ საბოლოოდ გაბითურებას არაფრით შეურიგდნენ. მომდევნო ათ წუთის განმავლობაში მათ სტუმრებს ორი ლელო გაუტანეს, თუმცა შუალედში ავსტრალიელთა კაპიტანმა **სტირლინგ მორტლოქმა** მორიგი ლელოთი საბოლოოდ გადაუსვა ხაზი ბოკეს ძალისხმევას.

მორიგი შეხვედრა მომავალ შაბათს ამავე გუნდებს შორის იოჰანესბურგში გაიმართება. აქ გამარჯვების შემთხვევაში ვოლაბები პირველ ადგილზე გადავლენ. სამი ერის გამარჯვებულის ვინაობა კი 13 სექტემბერს ბოლო შეხვედრაში გაირკვევა: ბრისბენში ავსტრალია ზელანდიის ნაკრებს უმასპინძლებს.

ბესიკ ჯანგავაძე

| ს.აფრიკა-ავსტრალია | 15:27 |
|---|---|

ს.აფრიკა (15-9) იანჩისი, პიტერსენი, იაკობსი, დეფილიერსი, ნოკვე, ჯეიმზი, დიუპრე. (1-9) მთავარირა, დიუპლესი, ფანდრელინდე, ბეკერი, მეტფილდი, ბერგერი, სმითი, სპისი.

(16-22) სტრაუსი, მუჯათი, ფანიკერკი, ვოთსონი, იანარი, სტეინი, მონთგომერი.

2ლ (იაკობსი), გ (მონთგომერი), ს (ჯეიმზი).

ავსტრალია (15-9) მიჩელი, ჰაინსი, მორტლოქი, ბარნსი, ტუქირი, გიტო, ქორდინგლი. (1-8) რობინსონი, მური, დანინგი, ჰორვილი, ვიკერმანი, ქლსომი, სმითი, პალუ.

(16-22) პოლოტა-ნაუ, ბაქსთერი, მაკმენიმანი, ვო, შიანი, ტაჰუ, კროსი.

3ლ (რობინსონი, ტუქირი, მორტლოქი) 3გ, 2ს (გიტო)

მსაჯი: ლინდონ ბრეი (ზელანდია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზელანდია | 5 | 3 | 0 | 2 | +42 | 14 |
| 2.ავსტრალია | 4 | 3 | 0 | 1 | +5 | 13 |
| 3.ს.აფრიკა | 5 | 1 | 0 | 4 | -47 | 5 |